გამოცდების ეროვნული ცენტრი

# როგორ მოვემზადოთ

# პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

# პროფესიული უნარები

თბილისი 2012

გამოცდების ეროვნული ცენტრი

*როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის*

# პროფესიული უნარები

**კონსულტანტი: ნინო გორდელაძე**

# შესავალი

პედაგოგთა პროფესიული უნარების სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტი ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. სტანდარტში დეტალურადაა აღწერილი მასწავლებლის პროფესიული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთაც უნდა ფლობდეს პედაგოგი.

პროფესიული უნარების ტესტი მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ რამდენად აკმაყოფილებს პედაგოგი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რამდენად შეუძლია მას სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვა, მოსწავლეთა სწავლით დაინტერესება და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობებისა და კლასში ეთიკური ღირებულებების დამკვიდრება. მასწავლებლის პროფესიული უნარების გამოცდა იმის ერთგვარი წინაპირობაა, რომ სკოლებში იმუშავებენ პედაგოგები, რომელთაც არა მარტო შესაბამისი საგნის საფუძვლიანი ცოდნა ექნებათ, არამედ პროფესიისათვის აუცილებელი უნარებიც; ამიტომაც პროფესიული უნარების გამოცდა სავალდებულოა ყველა საგნის მასწავლებლისთვის.

2012 წელს უკვე მესამედ ჩატარდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები. პროფესიული უნარების გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 27 689-მა პედაგოგმა. მათგან 11 937-მა წარმატებით ჩააბარა გამოცდა, რაც გამოცდაში მონაწილეთა 43,11%-ს შეადგენს და წინა წლებთან შედარებით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ეს ტენდენცია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სერტიფიცირება მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს პედაგოგებს იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე.

იმისათვის, რომ დაგეხმაროთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებაში, გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ კრებულის – **„როგორ მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის -** პროფესიული უნარები“ – ელექტრონულ ვერსიას. კრებულში მოცემულია ინფორმაცია ***პროფესიული უნარების ტესტის*** შესახებ – საგამოცდო პროგრამა (დანართი №1) 2012 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი (I ვარიანტი) და მისი შეფასების სქემა (დანართი №2), განხილულია ტესტური დავალებები და შეფასების კრიტერიუმები. ამ კრებულში თქვენ გაეცნობით შეფასების პრინციპებს, ასევე, მასწავლებლების მიერ დაშვებულ ტიპურ შეცდომებსა და შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც დაგეხმარებათ, გაიაზროთ თქვენ წინაშე დასმული მოთხოვნები და გააგრძელოთ ზრუნვა კვალიფიკაციის მუდმივ ზრდასა და დახვეწაზე.

**გისურვებთ წარმატებას!**

# შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ........ 3

I თავი, პროფესიული უნარების ტესტი ........ 5

1.1. პროფესიული უნარების ტესტის სტრუქტურა ........ 6

1.2. პროფესიული უნარების ტესტი ........ 8

II თავი, ტესტურ დავალებათა ტიპები ........ 36

2.1. ღიადაბოლოებიანი დავალებები ........ 37

2.2. დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“ ........ 71

2.3 არჩევითპასუხიანი დავალებები ........ 79

2.4. შესაბამისობის დავალებები ........ 83

როგორ მოვემზადოთ პროფესიული უნარების გამოცდისათვის ........ 86

დანართი №1

საგამოცდო პროგრამა ........ 87

დანართი №2

შეფასების სქემა ........ 95

# I თავი

## პროფესიული უნარების ტესტი

*ტესტის სტრუქტურა*

*ტესტის ნიმუში*

# 1.1. პროფესიული უნარების ტესტის სტრუქტურა

პროფესიული უნარების ტესტი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, სამი ნაწილისაგან (სუბტესტისაგან) შედგება: (1) სწავლება და შეფასება, (2) განვითარებისა და სწავლის თეორიები და (3) პროფესიული გარემო.

(1) **სწავლება და შეფასება**. ტესტის ეს ნაწილი პედაგოგის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პროფესიულ უნარებს აფასებს და ამის გამო სასერტიფიკაციო ტესტში ყველაზე ვრცლადაა წარმოდგენილი. ამ სუბტესტში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 65%-ს შეადგენს და აფასებს, რამდენად შეუძლია მასწავლებელს სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვა და წარმართვა, კლასში ჯანსაღი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

(2) **განვითარებისა და სწავლის თეორიები**. ტესტის ამ ნაწილში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 20%-ს შეადგენს. ეს სუბტესტი ადგენს, რამდენად იცნობს მასწავლებელი ბავშვის ასაკობრივი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, ამასთანავე, აფასებს, როგორ იყენებს პედაგოგი ამ ცოდნას სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

(3) **პროფესიული გარემო**. ტესტის ამ ნაწილში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 15%-ს შეადგენს. ეს სუბტესტი ამოწმებს, რამდენად იცნობს მასწავლებელი საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებს და შეუძლია თუ არა მათი პრაქტიკაში გამოყენება. ტესტის მაქსიმალური ქულაა 70. პედაგოგმა სერტიფიკატის მოპოვებისათვის თითოეულ სასერტიფიკაციო გამოცდაში უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი – მან პროფესიული უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის 70-დან 43 ქულა მაინც უნდა მიიღოს. გამსვლელი ქულა განისაზღვრა ქართველი ექსპერტების მიერ სასერტიფიკაციო გამოცდებში აპრობირებული სამეცნიერო მეთოდოლოგიის – სტანდარტის დადგენის პროცედურის – გამოყენებით (**Angoff Standard-Setting Procedure**).

პროფესიული უნარების ტესტში ხუთი განსხვავებული ტიპის დავალებაა:

არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის, ე.წ. სიმულაციური დავალება – დავალება ღია დაბოლოებით და დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“.

არჩევითპასუხიანი, შესაბამისობისა და „ჭეშმარიტია–მცდარია" ტიპის ტესტური დავალებები ფასდება თითო ქულით. ღია დავალებებს სხვადასხვა მაქსიმალური ქულა აქვს. მაქსიმალური ქულა მითითებულია ყოველი დავალების გასწვრივ.

2012 წლის სასერტიფიკაციო ტესტი პროფესიულ უნარებში 50 დავალებას მოიცავდა. 2013 წლისათვის ტესტში დავალებათა რაოდენობა და ტესტის ფორმატი არსებითად არ შეიცვლება. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ეს კრებული მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას პროფესიული უნარების ტესტის შესახებ.

# 1.2. პროფესიული უნარების ტესტი

2012 წელი, I ვარიანტი

## სწავლება და შეფასება

### დავალება №1

საშინაო დავალება სასწავლო პროცესის არსებითი ნაწილია. იგი არა მხოლოდ ცოდნის შეძენასა და გამყარებას უწყობს ხელს, არამედ ისეთ უმნიშვნელოვანეს უნარებსაც ავითარებს მოსწავლეებში, როგორიცაა დამოუკიდებლად სწავლა, კვლევა-ძიება და სხვა.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ საშინაო დავალების სამ ფორმას: პრაქტიკულ, მოსამზადებელ და გაღრმავების დავალებას.

აღწერილთაგან რომელი წარმოადგენს მოსამზადებელი დავალების ნიმუშს?

ა) მე-19 საუკუნის პოეზიის ახსნამდე მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ამ ეპოქის შესახებ ისტორიული ცნობების მოძიებას.

ბ) შესაბამისი თემის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს თითოეული გეოგრაფიული სარტყლისთვის დამახასიათებელი თვისებების აღწერას.

გ) ფართობის გამოანგარიშების წესის ახსნის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს გამოთვალონ თავიანთი საძინებელი ოთახის ფართობი.

დ) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ადამიანის ნივთიერებათა ცვლის პროცესის მექანიზმები მიუსადაგონ ქიმიაში შესწავლილ კანონზომიერებებს.

### დავალება №2

პრეზენტაცია სააზროვნო უნარებთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარებას, ამიტომაც გამოიყენება ის ყველა საგანში. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი თავად იყოს კარგი პრეზენტატორის მოდელი და, ამასთან, შეეძლოს მოსწავლეებისათვის პრეზენტაციის მომზადებისათვის საჭირო რჩევების მიცემა.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევის/რჩევების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი პრეზენტაციის მომზადებისას?

I. პრეზენტაცია უნდა იყოს ლაკონიური, დაცული იყოს დროის ლიმიტი.

II. პრეზენტაციისას გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორიის ინტერესები და მომზადების დონე.

III. პრეზენტაცია მეტი დამაჯერებლობისათვის გაჯერებული უნდა იყოს სამეცნიერო ტერმინოლოგიით.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

## დავალება №3

*მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნა. ერთ-ერთი მოსწავლე მონდომებით მუშაობდა და პირველმა დაასრულა დავალება. მასწავლებელმა მისი ნაშრომი შეამოწმა და ნახა, რომ მოსწავლემ ამოცანის ამოხსნის სწორი გზა აირჩია, მაგრამ მცდარი პასუხი მიიღო.*

ჩამოთვლილთაგან რომელი კომენტარი შეუნარჩუნებს მოსწავლეს მოტივაციას?

ა) „პასუხი არ არის სწორი. ალბათ იჩქარე და უყურადღებოდ იმუშავე ამოცანაზე."

ბ) „თუ შეიძლება, ამოცანა თავიდან ამოხსენი. სამწუხაროდ, პასუხი არ არის სწორი."

გ) „სწორი გზა აგირჩევია, მაგრამ საბოლოო პასუხს დაუკვირდი და შეასწორე."

დ) „სწორი პასუხია „შვიდი" და არა „მინუს შვიდი". კიდევ ერთხელ გადახედე!"

## დავალება №4

დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდის სწავლების დასრულების შემდეგ მასწავლებელმა გადაწყვიტა, მოსწავლეებისათვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ამ თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ამასთან, განევითარებინა თანაგანცდის (ემპათიის) უნარი, რაც მოსწავლეებს დაეხმარებოდა შესწავლილის სიღრმისეულ გააზრებაში.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს *ყველაზე მეტად თანაგანცდის უნარის განვითარებაში?*

ა) სთხოვოს მოსწავლეებს, შესწავლილი მასალის საფუძველზე შეავსონ ე.წ. T სქემა, რომელშიც ჩაწერენ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს.

ბ) გამოიყენოს როლური თამაში. გადაუნაწილოს მოსწავლეებს აღმაშენებლის „ერთგული მოხელეების", მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების წარმომადგენლებისა და დასჯილი ქართველი ერისთავების შთამომავლების როლები.

გ) სთხოვოს მოსწავლეებს, წაიკითხონ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დავით აღმაშენებელი" და იმსჯელონ, რა არის რომანში ისტორიული და რა – გამონაგონი, შეაფასონ დავით აღმაშენებელი, როგორც მეფე და როგორც ადამიანი.

დ) წაუკითხოს მოსწავლეებს დავით აღმაშენებლის ანდერძი. წაკითხვის შემდეგ სთხოვოს მოსწავლეებს, იმსჯელონ, რამდენად არის წარმოჩენილი მასში მეფის დამსახურება და მისი პიროვნული თვისებები.

## დავალება №5

პედაგოგიურ პრაქტიკაში სწავლებისა და სწავლის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საკლასო ორგანიზაციის სხვადასხვა მოდელი არსებობს. ყოველ მათგანს მისთვის დამახასიათებელი უპირატესობა აქვს და კონკრეტული სასწავლო მიზნისთვის გამოიყენება.

ჩამოთვლილთაგან საკლასო ორგანიზაციის რომელ ფორმას ენიჭება უპირატესობა, როდესაც მასწავლებლის მიზანია *საგაკვეთილო დროის დაზოგვა და ინფორმაციის სწრაფად გადაცემა?*

ა) საერთო საკლასო მუშაობას

ბ) ინდივიდუალურ მუშაობას

გ) ჯგუფურ მუშაობას

დ) საკლასო დისკუსიას

## დავალება №6

*ნინო ახალგაზრდა მასწავლებელია. ის ყოველი საკონტროლო წერისათვის საგულდაგულოდ ემზადება და დარწმუნებულია, რომ მის მიერ დაწერილი ქულები ობიექტურია, მაგრამ მე-9 კლასის მოსწავლეებმაც და მათმა მშობლებმაც არაერთხელ გამოთქვეს ეჭვი შეფასების ობიექტურობასთან დაკავშირებით.*

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება დაეხმარება *ყველაზე მეტად* მასწავლებელს, დაარწმუნოს მოსწავლეები და მშობლები საკუთარი შეფასების ობიექტურობაში?

ა) მოსწავლეების ნამუშევრები შეაფასებინოს კოლეგას და შეადაროს ერთმანეთს ორივე შეფასების შედეგები.
ბ) საკონტროლო წერის პროცესს დაასწროს მშობლები და აჩვენოს მათ, როგორ მუშაობენ მოსწავლეები.
გ) მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმებით შეაფასებინოს მოსწავლეებს საკუთარი ნამუშევრები; მისცეს მათ ორივე შეფასების შედარების შესაძლებლობა.
დ) ესაუბროს მოსწავლეებს და განუმარტოს, რომ მათი შეფასება გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებიდან.

## დავალება №7

*სემესტრის ბოლოს ჩატარდა წერა, რომლის დროსაც მოსწავლეებს უნდა შეექმნათ სხვადასხვა სახის ფუნქციური ტექსტები (მოსაწვევი ბარათი, პირადი წერილი, განცხადება და ა.შ.). წერაში მიღებული შეფასებები მასწავლებელმა მოსწავლეთა მშობლებს გააცნო.*

შეფასების რომელი ტიპი გამოიყენა მასწავლებელმა?

ა) მიმდინარე განმსაზღვრელი
ბ) მიმდინარე განმავითარებელი
გ) შემაჯამებელი განმსაზღვრელი
დ) შემაჯამებელი განმავითარებელი

## დავალება №8

სწავლის დაქვეითებული უნარის მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვისათვის აუცილებელია სასწავლო გეგმის ცვლილება (მოდიფიკაცია) მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით.

ჩამოთვლილთაგან რა სახის ცვლილება არ არის მიზანშეწონილი ასეთ შემთხვევაში?

ა) სასწავლო მასალის გამარტივება (მაგალითად, თუ მოსწავლეს უჭირს ჩვეულებრივი სირთულის ტექსტების კითხვა, მასწავლებელი მათ ამარტივებს; ამარტივებს რთულ წინადადებებს, უცხო და რთულ სიტყვებს ცვლის სსსმ მოსწავლისთვის ნაცნობი სიტყვებით).
ბ) სასწავლო მასალის ფორმის ცვლილება (მაგალითად, ტექსტს, რომელიც სსსმ მოსწავლემ უნდა წაიკითხოს, მასწავლებელი მას აძლევს არა ნაწერის, არამედ თვალსაჩინო გამოსახულების, სიუჟეტური სურათების სახით).
გ) სასწავლო საქმიანობისათვის განკუთვნილი დროის ცვლილება (მაგალითად, მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს აძლევს მეტ დროს ტესტირების ან საკონტროლოს წერისას, ზრდის საშინაო დავალების შესრულებისათვის მიცემულ დროს).
დ) თავისუფლების მინიჭება დავალებების შესრულებისას (მაგალითად, მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს, მოსწავლეები მათ იწერენ რვეულში; სსსმ მოსწავლეს კი შეუძლია ამ დროს დაკავდეს მისთვის სასურველი საქმიანობით).

## დავალება №9

პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია კომფორტული და სასიამოვნო ფიზიკური გარემო. ამავდროულად, საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო უნდა ემსახურებოდეს სასწავლო ამოცანების შესრულებას და ითვალისწინებდეს მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებებს.

ჩამოთვლილთაგან რომელია დაწყებით კლასებში კითხვისა და წერის უნარების ხელშემწყობი სასწავლო გარემოს მოწყობის *ყველაზე ეფექტიანი* მაგალითი?

ა) კლასში არ არის გამოკრული თვალსაჩინოებები, სივრცე თავისუფალია, რათა არ შეუშალოს მოსწავლეებს ხელი ყურადღების მობილიზებაში და ადვილად მოახერხონ კონცენტრირება საკითხავ და საწერ მასალაზე.

ბ) საკლასო ოთახის ყველა კედელზე გამოკრულია სხვადასხვა საგნისათვის საჭირო თვალსაჩინოება, რათა მოსწავლემ თვალი შეაჩვიოს მრავალფეროვნებას და შეძლოს მათ შორის მსგავსება-განსხვავების დანახვა.

გ) საკლასო ოთახის კედლებზე კიდია ცარიელი ფურცლები იმისათვის, რომ მოსწავლეებმა სურვილის შემთხვევაში შეძლონ საკუთარი ჩანაწერების/ ნახატების შექმნა.

დ) საკლასო ოთახში გამოყოფილია სამუშაო სივრცე, სადაც არის საბავშვო, თემატური, ასევე თავად მოსწავლეების მიერ დამზადებული ხელნაწერი წიგნები, რომლებზედაც ყველას მიუწვდება ხელი.

## დავალება №10

მოსწავლეთა ჩართულობის დონის ასამაღლებლად და მასალის უკეთ შესწავლის მიზნით გაკვეთილზე მასწავლებლები ხშირად იყენებენ საკლასო დისკუსიას. ამ მეთოდის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მასწავლებლის როლი დისკუსიის წარმართვის პროცესში.

ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს მართებულად მასწავლებლის როლს საკლასო დისკუსიაში?

ა) მასწავლებელი შესასწავლი საკითხის შესახებ წარმართავს დისკუსიას, სვამს კითხვებს და არც ერთ მოსწავლეს არ ზღუდავს დროში, რომ თითოეულმა მოახერხოს საკუთარი პოზიციის სრულად წარმოჩენა.

ბ) მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს, სადისკუსიო საკითხის შესახებ დასვან შეკითხვები. მცდარი მსჯელობის შემთხვევაში პედაგოგი განმარტავს შეცდომას და აყალიბებს მისაღებ თვალსაზრისს.

გ) მასწავლებელი მოსწავლეთა მომზადების დონის გათვალისწინებით ირჩევს სადისკუსიო თემას, არ ერევა მათ მსჯელობაში. უზრუნველყოფს, რომ ყველას ჰქონდეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

დ) საკითხზე მსჯელობის დაწყებამდე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კარგად დაფიქრდნენ, ვიდრე კითხვაზე პასუხს გასცემენ და ამგვარად თავიდან აიცილონ მცდარი მსჯელობა. ამასთან, შეახსენებს მათ დისკუსიის წესებს.

## დავალება №11

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა მოსწავლეებში *კრიტიკული აზროვნების* განსავითარებლად?

I. ნუ შეზღუდავთ მოსწავლეთა იმპულსურ პასუხებს. თქვენი ამგვარი ჩარევით მათში აღძრავთ შეცდომის დაშვების შიშს და დაუკარგავთ საკუთარი შესაძლებლობების რწმენას.

II. მიიღეთ კრიტიკა მოსწავლეებისაგან. ამით მისცემთ მათ მაგალითს, რომ ნებისმიერი მოსაზრების გადახედვა და კრიტიკული შეფასება შეიძლება.

III. წაახალისეთ მოსწავლეთა დამოუკიდებელი მსჯელობა. ამით თავიდან აიცილებთ მასწავლებელზე ზედმეტ მიჯაჭვულობას და დაარწმუნებთ მათ საკუთარ შესაძლებლობებში.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №12

გაკვეთილის შესავლის მიზანია ასახსნელი თემისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება და სათანადო მზაობის ჩამოყალიბება. მან მოსწავლეთა ყურადღების მაქსიმალურ მობილიზებასა და შენარჩუნებას უნდა შეუწყოს ხელი, ამასთან, შეუქმნას მოტივაცია ახალი მასალის ასათვისებლად.

ქვემოთ მოცემულია ფიზიკის გაკვეთილის შესავლის ოთხი მაგალითი. რომელია *ყველაზე ეფექტიანი* მოსწავლეთა მოტივაციისა და ინტერესის გაღვივებისათვის?

ა) მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა ფიზიკაში ოპტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული ცნებებით კროსვორდის შევსება და წაახალისა ის მოსწავლე, რომელმაც ყველაზე ადრე და სწორად შეასრულა სამუშაო.

ბ) მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა იციან ოპტიკური მოვლენების შესახებ და, ამასთან, გამოკვეთონ საკითხები, რომელთა შესწავლაც გაუჭირდათ.

გ) მასწავლებელმა საგაკვეთილო თემისათვის მოსწავლეთა მზაობისა და წინა ცოდნის დასადგენად მისცა მათ მინი ტესტი ოპტიკური მოვლენების შესწავლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

დ) მასწავლებელმა უჩვენა მოსწავლეებს ოპტიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტური ფილმის კადრები და სთხოვა, ემსჯელათ ამ მოვლენების შესწავლის მნიშვნელობის შესახებ.

## დავალება №13

*22 მარტი გაერომ წყლის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ დღესთან დაკავშირებით XI კლასში მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში წყლის უხვი რესურსების არსებობასა და არაგონივრულ ხარჯვაზე. მან სთხოვა მოსწავლეებს, დაფიქრდნენ და სიტყვიერად ჩამოაყალიბონ, რა შეიძლება გაკეთდეს წყლის რესურსების გაფრთხილებისა და რაციონალური გამოყენებისათვის.*

ჩამოთვლილთაგან პრობლემის გადაჭრის რომელ ეტაპს შეესაბამება მოცემული დავალება?

ა) ინფორმაციის მოძიებას
ბ) პრობლემის გამომწვევი შესაძლო მიზეზების დადგენას
გ) პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზის მოფიქრებას
დ) პრობლემის განსაზღვრას

## დავალება №14

*ბოლო დროს კლასში შესვლისას მასწავლებელს უკვე მერამდენედ ხვდება ასეთი სიტუაცია: მისი ორი მოსწავლე ჩხუბობს და ერთმანეთს უცენზურო სიტყვებით მიმართავს, სხვები კი ცდილობენ მათ დაწყნარებას.*

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება/ქმედებებია *ყველაზე მართებული* მოცემული სიტუაციის დასარეგულირებლად?

I. აუხსნას მოსწავლეებს, რომ კლასში ამგვარი ვითარება ცუდ ზეგავლენას მოახდენს სასწავლო პროცესზე და, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

II. ყურადღებით მოუსმინოს დაპირისპირებულ მხარეებს, სთხოვოს მათ, თავი წარმოიდგინონ ერთმანეთის ადგილას და ჩამოაყალიბონ მოწინააღმდეგის პოზიციის გასამყარებელი არგუმენტები.

III. სთხოვოს მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ზოგადად კონფლიქტს და მოიფიქრონ, რა გზით შეიძლება ურთიერთგაგებისა და შეთანხმების მიღწევა.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №15

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება ასახავს *პორტფოლიოს (საქაღალდის) მეთოდის* უპირატესობას შეფასების სხვა მეთოდებთან შედარებით?

პორტფოლიოს მეთოდი:

ა) გამორიცხავს მასწავლებლის სუბიექტურობას მოსწავლის შეფასების დროს.
ბ) იძლევა მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას.
გ) ზოგავს მასწავლებლის დროსა და ენერგიას, აადვილებს შეფასების პროცესს.
დ) იძლევა კლასში მოსწავლეთა შედეგების ერთმანეთთან შედარების საშუალებას.

## დავალება №16

*მეშვიდეკლასელ მოსწავლეს პრობლემები ექმნება კლასელებთან ურთიერთობაში. იგი ძალიან მგრძნობიარეა მათი ნებისმიერი რეპლიკისა და კომენტარის მიმართ. ხშირად გულნატკენია; მიაჩნია, რომ კლასელებს არ უყვართ, დასცინიან კიდეც და ცდილობენ, თავი აარიდონ მასთან ურთიერთობას. თუმცა, გარშემომყოფთა აზრით, ასეთი დასკვნის ობიექტური საფუძველი არ არსებობს.*

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა დაეხმარება *ყველაზე მეტად* ამგვარ მოსწავლეს სოციალურ ინტეგრაციაში?

ა) სთხოვოს მოსწავლეს, დაფიქრდეს, რატომ არიდებენ თავს თანაკლასელები მასთან ურთიერთობას, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი. ურჩიოს, ისე მოიქცეს, რომ თავი მოაწონოს თანაკლასელებს.

ბ) დააკვირდეს მოსწავლეთა ურთიერთობებს, ურჩიოს მათ, როგორ დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობა თანატოლებთან. შესაბამისი ჩვევების ჩამოსაყალიბებლად დაგეგმოს სიმულაციური სიტუაციები.

გ) ყოველი თემის დასრულების შემდეგ დაავალოს მოსწავლეებს ინდივიდუალური პროექტების მომზადება და ერთმანეთის ნამუშევრების შეფასება. ამასთან, უბიძგოს მათ, გამოთქვან საკუთარი აზრი ყოველ ნაშრომზე.

დ) პრობლემების მქონე მოსწავლისაგან დამოუკიდებლად ესაუბროს დანარჩენ მოსწავლეებს კლასში მიმდინარე პროცესებზე, სთხოვოს მათ, მოერიდონ და არ გააღიზიანონ თანაკლასელი.

## დავალება №17

ქიმიის მასწავლებლის მიერ შეთავაზებული რომელი აქტივობა/აქტივობები შეუწყობს ხელს მოსწავლეთა კვლევითი უნარის განვითარებას?

I. მოსწავლეებმა ცდის საფუძველზე განსაზღვრონ ნივთიერებათა თვისებები და დაადგინონ, რა პრაქტიკული გამოყენება შეიძლება ჰქონდეს ამ ნივთიერებებს.
II. მოსწავლეებმა მოიძიონ ინფორმაცია ნივთიერებათა თვისებების შესახებ და დაადგინონ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები.
III. მოსწავლეებმა სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე აღწერონ ნივთიერებების თვისებები.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №18

წაკითხულის გააზრებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტექსტის წაკითხვამდე მისი შინაარსის შესახებ ვარაუდების გამოთქმა სათაურის, ილუსტრაციების, ძირითადი ცნებების მიხედვით. სწორედ ვარაუდების გამოთქმაზეა აგებული მეთოდი *ტექსტის პაუზებით კითხვა*. ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ მხატვრული, სასწავლო, საინფორმაციო და სამეცნიერო-პოპულარული ტექსტის კითხვისას (მაგალითად, რაიმე მოვლენის/ექსპერიმენტის აღწერისას მოსწავლეებმა შეიძლება გამოთქვან ჰიპოთეზები მისი მიმდინარეობის შესახებ).

ჩამოთვლილთაგან *ყველაზე მეტად* რომელი რჩევის გათვალისწინება შეუწყობს ხელს პაუზებით კითხვის მეთოდის ეფექტიან გამოყენებას?

ა) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ძალიან მოკლე, მარტივი, ნაცნობი ლექსიკით და არ უნდა შეიცავდეს უცნობ ტერმინებს.
ბ) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ვრცელი, რათა იძლეოდეს შინაარსობრივად დასრულებულ ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობას.
გ) წასაკითხი ტექსტი უცნობი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის და პირობითად იმგვარად დაყოფილი, რომ აღძრავდეს მათში ცნობისმოყვარეობას.
დ) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ნაცნობი, რომ მოსწავლეებს არ გაუჩნდეთ შეცდომის დაშვების შიში და არ დაკარგონ ვარაუდების გამოთქმის სურვილი.

## დავალება №19

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეთა შორის ურთიერთგაგებისა და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობა: მათემატიკის პედაგოგმა IV კლასი შემთხვევითობის პრინციპით გაყო ორ ჯგუფად და ასეთი თამაში შესთავაზა: – „ჩემი მინიშნების შემდეგ *თითოეული ჯგუფი ისე უნდა განლაგდეთ, რომ რომელიმე გეომეტრიული ფიგურა გამოისახოს. დავალება განსაზღვრულ დროში უნდა შეასრულოთ. მე დავასახელებ ფიგურას და მის „ასაგებად“ გამოყოფილ დროს. მაგალითად, მართკუთხედი უნდა შეადგინოთ 12 წმ-ში; კვადრატი – 10 წმ-ში და ა.შ. გამარჯვებული ჯგუფი დაჯილდოვდება.*“

მასწავლებლის აქტივობა დასახული მიზნის:

ა) ადეკვატურია. ჯილდოს მიღების სურვილი სტიმულს აძლევს თითოეულ მოსწავლეს, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, მოიფიქროს დავალების შესრულების საუკეთესო ხერხი და მიიყვანოს თავისი გუნდი გამარჯვებამდე.

ბ) არაადეკვატურია. შერჩეული თამაშის თემა იმდენად მარტივია, რომ ინტერესს არ აღუძრავს მოსწავლეებს და ისინი შეთავაზებულ აქტივობაში ხალისით ვერ ჩაერთვებიან.

გ) ადეკვატურია. მოსწავლეების ყურადღება მიმართულია ჯგუფის წევრებთან შეთანხმებულ მოქმედებაზე. მათ სწრაფად უნდა გაცვალონ ინფორმაცია - გამოიყენონ როგორც ვერბალური, ისე არავერბალური სტიმულები.

დ) არაადეკვატურია. დავალება ჯგუფებს შორის შეჯიბრის პრინციპზეა აგებული და შეიცავს მოსწავლეთა შორის უთანხმოებისა და დაძაბულობის რისკს, საფრთხეს უქმნის ურთიერთობებს.

## დავალება №20

პროექტი, როგორც სწავლების მეთოდი, მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს. იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურება, ერთმანეთისაგან განასხვავებენ კვლევით, შემოქმედებითსა და გამოყენებით პროექტებს.

შეუსაბამეთ A სვეტში აღწერილი საპროექტო აქტივობა B სვეტში მოცემული პროექტის კონკრეტულ სახეს.

**დასაშვებია, რომ **B** სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთი პასუხი სწორი იყოს **A** სვეტში მოცემული ერთზე მეტი პირობისათვის.*

| საპროექტო აქტივობა (A) | პროექტის სახე (B) |
|---|---|
| I. მოსწავლეებმა შეისწავლეს მათ რაიონში მდებარე ისტორიული ძეგლები, მოპოვებული ინფორმაცია დაამუშავეს და წარადგინეს სასკოლო კონფერენციაზე. | ა) შემოქმედებითი<br>ბ) კვლევითი<br>გ) თეორიული<br>დ) გამოყენებითი |
| II. მოსწავლეებმა ოსკარ უაილდის ზღაპრების მიხედვით დადგეს სპექტაკლი ინგლისურ ენაზე და წარმოადგინეს სასწავლო წლის ბოლოს. | |
| III. მოსწავლეებმა დაამუშავეს საოჯახო პირობებში საპნის ხარშვის ტექნოლოგია და საკუთარი პროდუქცია გააცნეს ადგილობრივ მცხოვრებლებს. | |

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში.

(*შენიშვნა: პირველი აქტივობის შესაბამისი პასუხი უკვე ჩაწერილია ცხრილში*)

✍ *ჩაწერეთ:*

| საპროექტო აქტივობა (A) | I | II | III |
|---|---|---|---|
| პროექტის სახე (B) | ბ | | |

## დავალება №21

*მაქსიმალური ქულა – 4*

სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი, საინტერესო და უფრო შედეგიანი ხდება. სწავლების თანამედროვე მეთოდები ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, მოითხოვს მათგან ინიციატივის გამოვლენას და ხელს უწყობს სააზროვნო პროცესების გააქტიურებას. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია „გონებრივი იერიში“, რომლის მიზანია ახალი იდეების გენერირება, არასტანდარტული პასუხების პოვნა.

– აღწერეთ ის ეტაპები, რომლებიც „გონებრივი იერიშის“ ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფს.

– დაასახელეთ ერთი მნიშვნელოვანი პირობა/მოთხოვნა, რომელიც უნდა დაიცვას პედაგოგმა გონებრივი იერიშის გამოყენებისას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალება №22

*მაქსიმალური ქულა – 4*

ანალიტიკური აზროვნება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია. იგი ეხმარება მოსწავლეებს მიწოდებული ინფორმაციის სრულყოფილად გაგება-გააზრებაში, რთული კონცეფციებისა და მოვლენების არსის წვდომაში. მის მნიშვნელოვნებას განაპირობებს ისიც, რომ სწავლის პროცესში შეძენილი ეს უნარი მოსწავლეთა აზროვნებას უფრო ეფექტიანსა და მოქნილს ხდის ყოველდღიურობაშიც.

– აღწერეთ ორი პრაქტიკული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში.
– დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიების ადეკვატურობა ანალიტიკური აზროვნების განვითარებისათვის.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალება №23

*მაქსიმალური ქულა - 3*

სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა გადაწყვიტა, დახმარებოდა უფროსკლასელებს იმის გაცნობიერებაში, რომ „ისტორია არ არის აბსტრაქცია, ის თვითონ მათშია, მათ ოჯახებშია.“ ამ მიზნით, პედაგოგმა მოსწავლეებს საპრეზენტაციოდ ასეთი თემა შეურჩია: „1937 წელი ჩემს ოჯახში“. მოსწავლეებს უნდა აეღოთ ინტერვიუები - გამოეკითხათ თავიანთი მშობლები, ბებია-ბაბუები, ნათესავები, მოეტანათ კლასში ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ იყო მათი ოჯახიდან ან ახლობელთა წრიდან საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი და განეხილათ ეს ფაქტები ეპოქის კონტექსტში.

- აღწერეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალებები №24–28 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

დამწყები პედაგოგების პროფესიულ განვითარებაში მნიშვნელოვანია მენტორის როლი. ჩვეულებრივ, მენტორი კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგია. დიდწილად მასზეა დამოკიდებული, რა გამოცდილებას შეიძენს ახალბედა მასწავლებელი და როგორი განწყობა ჩამოუყალიბდება საკუთარი პროფესიის მიმართ.

წარმოიდგინეთ, რომ მენტორის ფუნქცია თქვენ დაგეკისრათ. სკოლაში მასწავლებლობის სამი მაძიებელია, რომელთაც უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღეს და თქვენთან იძენენ გამოცდილებას. მაძიებლობის პერიოდში მათ უკვე მოსინჯეს სწავლების სხვადასხვა მეთოდი, კლასის მართვის სტრატეგიები და გამოსცადეს კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობის პირველი სირთულეები.

დამწყები მასწავლებლები თქვენ, მენტორ პედაგოგს, ხშირად მოგმართავენ კითხვებით. ახალგაზრდები გულწრფელად, დაუფარავად გიზიარებენ საკუთარ პრობლემებს, გთხოვენ რჩევებს. მაძიებლებისაგან ხშირად იღებთ ელექტრონულ წერილებსაც.

ქვემოთ მოცემულია მაძიებელ მასწავლებელთა ელექტრონული წერილები. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მასში აღწერილი პრობლემის არსი. აღწერეთ, რა რჩევას მისცემდით მომავალ მასწავლებელს, რა გზით შეიძლება დასმული პრობლემების მოგვარება. შეეცადეთ, პასუხი იყოს კონკრეტული და არგუმენტირებული.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც დაეხმარება ახალბედა პედაგოგს წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

*თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.*

# ამონარიდები მენტორის ელექტრონული ფოსტიდან:

**დავალება №24** ჰიპერაქტიური მოსწავლე

ჰიპერაქტიური მოსწავლე - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Nino Lomidze [lomidze_nino@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: ჰიპერაქტიური მოსწავლე

პედაგოგობა ყოველთვის მინდოდა და მაძიებლობა რომ მოვიპოვე, გამიხარდა, ახლა კი ისეთ ხასიათზე ვარ, არ ვიცი, დავრჩე თუ არა სკოლაში. მეხუთე კლასში ერთი მოსწავლე მყავს, რომელსაც ვერაფერი მოვუხერხე. ადგილზე ვერ ვაჩერებ, გამუდმებით ცქმუტავს, უნებართვოდ დგება მერხიდან და ისე დადის კლასში, თითქოს ვერც მამჩნევს. ხან წიგნი რჩება სახლში, ხან _ რვეული. დავალებას როცა ვაძლევ, იწყებს და შუა გზაში ტოვებს. გამოვკითხე, რა ინტერესები ჰქონდა და დავალება ამის მიხედვით შევურჩიე, მაგრამ ვერც ამას დაუდო გული. ის რომ რაღაცას უადგილოდ და გაუაზრებლად წამოიყვირებს, მთელი კლასი ირევა. არც შენიშვნები ჭრის და არც მოფერება. აღარ ვიცი, რა ვქნა.

იქნებ მირჩიოთ, როგორ შეიძლება ამგვარი ჰიპერაქტიური მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.

**დავალება №25** მოსწავლე – მასწავლებლის ურთიერთობები

მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობები - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Teona Eliava [teoeliava@gmail.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა

გუშინ თავისუფალი წერის გაკვეთილი მქონდა. მოსწავლეებს ასარჩევად რამდენიმე თემა შევთავაზე. მათ შორის ერთ-ერთი იყო „ჩემი მასწავლებელი“. ნაშრომების გასწორება უკვე დავიწყე და მოსწავლეები ხვალ ჩემს შეფასებებს ელიან, მე კი გამოუვალ მდგომარეობაში ვარ. ერთ მოსწავლეს თემის ნაცვლად რვეულში ჩემი შარჟი დაუხატავს. ნახატი საკმაოდ მახვილგონივრულადაა შესრულებული, ჩემი ხასიათის ნიუანსებიც კარგად ჩანს, მაგრამ ნახატით შევაფასო მოსწავლე?!. რა გავაკეთო იმისთვის, რომ ბავშვთან ურთიერთობა არ გამიფუჭდეს და არც რეაგირების გარეშე დავტოვო მისი ქცევა?

პატივისცემით

თეონა

## **ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №26** გაკვეთილის შეჯამების სტრატეგიები

გაკვეთილის შეჯამების სტრატეგიები - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Tamar Dvali [tdvali@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: გაკვეთილის შეჯამების სტრატეგიები

შევიტყვე, რომ გუშინ წარმატებული ღია გაკვეთილი ჩაგიტარებიათ. კოლეგებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ გაკვეთილი ძალიან ეფექტურად შეაჯამეთ. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ შეჯამებას კარგად ვახერხებ, არადა, ეს ხომ გაკვეთილის ერთ-ერთი საკვანძო ნაწილია. იქნებ მირჩიოთ, შეჯამების რომელი სტრატეგიები გამოვიყენო, გაკვეთილი რომ უფრო ეფექტიანი გავხადო.

წინასწარ დიდი მადლობა.

## **ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ№27**

მოსწავლეთა დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ

მოსწავლეთა დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Nino Lomidze [lomidze_nino@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: მოსწავლეთა დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ

ყოველ გაკვეთილს საშინაო დავალების შემოწმებით ვიწყებ – მოსწავლეებს ვთხოვ რვეულების გადაშლას და ყველასთან ინდივიდუალურად მივდივარ იმის გადასამოწმებლად, შესრულებული აქვთ თუ არა დავალება. თუმცა, უკვე რამდენჯერმე შევამჩნიე, რომ გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლეები საშინაო დავალებას თანაკლასელებისაგან იწერდნენ. განსაკუთრებით გამიკვირდა, როდესაც ამ „ეშმაკობაში" წარჩინებული მოსწავლეც შევნიშნე. არადა, ვერ ვიტყვი, რომ სუსტი კლასია და მასალის გაგების მხრივ აქვთ პრობლემები.

იქნებ მირჩიოთ, რა გავაკეთო იმისთვის, რომ ბავშვებმა შეიცვალონ დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ და მის შესრულებას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ.

წინასწარ გიხდით მადლობას.

ნინო

**დავალება №28** მშობლებთან კომუნიკაცია


მშობლებთან კომუნიკაცია - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Teona Eliava [eliava_teo@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: მშობლებთან კომუნიკაცია

ამ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად ჩემთვის მშობლებთან ურთიერთობა რჩება. ვიცი, რომ მათი ნდობის მოსაპოვებლად პირისპირ საუბარი ყველაზე კარგი საშუალებაა, ამიტომაც გადავწყვიტე, მშობელთა კრებაზე არაფერი მეთქვა და პრობლემების მქონე მოსწავლეების მშობლებს ცალკე გავსაუბრებოდი. პირდაპირ ვუთხარი, რა სირთულეებს მიქმნიან მათი შვილები, არ დამიმალავს მათი სისუსტეები და პრობლემების გადაჭრაში თანამშრომლობა შევთავაზე… არ ესიამოვნათ სიმართლე, უფრო მეტიც, ვატყობ, თავს არიდებენ ჩემთან შეხვედრას. როგორც ჩანს, ასაკისა და გამოუცდელობის გამო მათი ნდობა ვერ მოვიპოვე.

იქნებ მირჩიოთ, როგორ მივაღწიო სასურველ შედეგს მშობლებთან საუბრის დროს, როგორ მოვიპოვო მათი ნდობა?

თეონა

ყოველი დავალებისათვის (№24-28) განკუთვნილ არეში აღწერეთ მასწავლებლის ერთი *კონკრეტული* აქტივობა/სტრატეგია, რომელიც იქნება ახალბედა მასწავლებლის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზა. დაასაბუთეთ, თუ რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

დავალება №24

დავალება №25

დავალება №26

დავალება № 27

დავალება №28

# განვითარებისა და სწავლის თეორიები

## დავალება №29

კოლბერგის თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მაგალითი შეესაბამება მორალური განვითარების ყველაზე მაღალ დონეს?

ა) მოსწავლე კლასის აყოლიებას ყოველთვის ისე ახერხებს, რომ მასწავლებელი ვერასოდეს იგებს, ვინ დაიწყო „არევა“. გაკვეთილი იშლება, მოსწავლე ამით კმაყოფილია და სულაც არ აქვს დანაშაულის განცდა.
ბ) მოსწავლე თავად ცუდად არასოდეს იქცევა და მასწავლებლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მზად არის, თანაკლასელებსაც შეეწინააღმდეგოს; არასოდეს აჰყვება უდისციპლინობაში და მათაც წესიერებისკენ მოუწოდებს.
გ) მოსწავლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კლასში პოპულარული იყოს, ამიტომ ის არასოდეს უფიქრდება საკუთარი ქცევის შედეგებს, მთავარია, მისმა ქცევამ მეგობრების მოწონება დაიმსახუროს.
დ) მოსწავლეს მიაჩნია, რომ არ არის აუცილებელი, ყოველთვის დაემორჩილოს წესებს, რადგან ადამიანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქცეოდეს სიტუაციიდან და ზნეობრივი პოზიციებიდან გამომდინარე.

## დავალება №30

ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან დასწავლის სტილით, მიდრეკილებებითა და უნარებით. ამ განსხვავების საფუძველზე გარდნერი გამოყოფს ინტელექტის ტიპებს. მისი თეორიის მიხედვით, მოსწავლეთა აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში უფრო ადვილია, როდესაც დავალებები და აქტივობები მათი ინტელექტის ტიპებს შეესაბამება.

გაეცანით სიტუაციას:

*მასწავლებელმა კლასში გადაანაწილა საშობაო სპექტაკლისთვის მოსამზადებელი სამუშაოები. დაგეგმვა, ორგანიზება და მართვა დაევალა ნიკას. თინას მისცა საშობაო ზღაპარი და მისი პიესად გადაკეთება სთხოვა. რამდენიმე მოსწავლეს მხატვრული გაფორმება ევალებოდა. ერეკლეს კი სპექტაკლის პრემიერის შემდეგ რეცენზია უნდა დაეწერა სკოლის გაზეთისთვის.*

ინტელექტის რომელ ტიპს მიაკუთვნებს მასწავლებელი თინას და ერეკლეს, როცა მათთვის დავალებას არჩევს?

ა) ინტრაპერსონალურს
ბ) სხეულებრივ-კინესთეტიკურს
გ) ლინგვისტურს
დ) მხედველობით-სივრცითს

## დავალება №31

*გაკვეთილზე, რომლის თემაცაა „ჩემი ოჯახის წევრები“, მასწავლებელი კითხვით მიმართავს პირველკლასელებს: გყავთ და-ძმა? რამდენი? ერთ-ერთი გოგონა უპასუხებს, რომ ორი ძმა და ერთი და ჰყავს. მასწავლებელის დამატებითი შეკითხვაზე – „ე.ი შენს ძმებს რამდენი და ჰყოლიათ?“ – მოსწავლე დარწმუნებით ამბობს: „ერთი“.*

ამგვარი შეცდომა დამახასიათებელია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის. პიაჟეს თეორიის მიხედვით, რომელი ცნების მეშვეობით აიხსნება კოგნიტური განვითარების ეს თავისებურება?

ა) ფორმალური აზროვნების
ბ) ეგოცენტრული აზროვნების
გ) კონკრეტული აზროვნების
დ) ხატოვანი აზროვნების

## დავალება №32

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეთა გააქტიურებისა და ინიციატივის გამოჩენის ხელშეწყობა.

აქტივობა: მასალის ახსნისას პედაგოგი იყენებს ახალი ტიპის მრავალფეროვან და რთულ დავალებებს, მოითხოვს მათ დამოუკიდებლად გადაჭრას, მიუხედავად იმისა, რომ იცის, მოსწავლეებს გაუჭირდებათ და შეიძლება, ვერც შეასრულონ დავალება.

როჯერსის თეორიის მიხედვით, აღწერილი აქტივობა მიზნის:

ა) ადეკვატურია, რადგან ძალიან რთული დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა მობილიზებას და ამაღლებს მათ მოტივაციას. შედეგად ისინი აქტიურდებიან და ცდილობენ ამოცანის დაძლევის გზების მოფიქრებას.
ბ) არაადეკვატურია, რადგან მსგავსი მოთხოვნები თრგუნავს მოსწავლეებს და უარყოფითად აისახება მათ თვითშეფასებაზე. შედეგად ისინი ხდებიან პასიურები და უყალიბდებათ სწავლის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება.
გ) ადეკვატურია, რადგან მოსწავლეები ეჩვევიან სირთულეებს, ხედავენ მრავალფეროვანი იდეებისა და სიახლეების სარგებლიანობას. შედეგად ცდილობენ, იყვნენ უფრო აქტიურები და ინიციატივიანები.
დ) არაადეკვატურია, რადგან მოსწავლეები ვერ ახერხებენ სწავლის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ფერხდება მათი განვითარება. შედეგად მოსწავლეებს და ეუფლებათ უმწეობის განცდა და ხდებიან პასიურები.

## დავალება №33

ბავშვის კოგნიტურ განვითარებაზე დაკვირვებისა და ემპირიული ექსპერიმენტების საფუძველზე პიაჟემ აღმოაჩინა, რომ ერთი და იმავე ასაკის ბავშვები უშვებენ მსგავს შეცდომებს, რომლებიც შინაარსითა და ფორმით სრულიად განსხვავდება სხვა ასაკის ბავშვების შეცდომებისაგან. ამ დაკვირვების საფუძველზე პიაჟემ გამოყო კოგნიტური განვითარების ოთხი სტადია და აღწერა მათი ტიპური მახასიათებლები.

ჩამოთვლილთაგან რომელი ოპერაციის/ოპერაციების შესრულება შეუძლია კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე მყოფ მოსწავლეს?

I. ერთდროულად საგნის რამდენიმე თავისებურებაზე ყურადღების გამახვილება და ძირითადი ნიშნების მიხედვით მათი კლასიფიკაცია.
II. საგნებზე მოქმედებების წარმოსახვით განხორციელება და მათი შექცევადი მიმართულებით წარმოდგენა.
III. თვალსაჩინო საყრდენის გარეშე სიტყვიერად წარმოდგენილი ლოგიკური დავალებების გადაჭრა.

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ III

## დავალება №34

ბლუმის აზრით, მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, მასწავლებელი იცნობდეს მოსწავლის სააზროვნო პროცესებს და შეძლოს მათი სტიმულირება. ამდენად, დავალებები მასწავლებლის მიერ უნდა იყოს შერჩეული სასწავლო მიზნების შესაბამისად.

*მოსწავლეებმა ნაწარმოების შესწავლა დაასრულეს. მასწავლებელმა მათთვის აზროვნების სხვადასხვა დონის შესაბამისი დავალებები შეადგინა.*

ჩამოთვლილთაგან რომელი დავალებაა ორიენტირებული *ანალიზის დონეზე* და არ მოითხოვს უფრო მაღალი დონის სააზროვნო უნარებს?

ა) მოიფიქრეთ ნაწარმოების მთავარი გმირის მსგავსი პერსონაჟი და შექმენით სიუჟეტი, რომელშიც მისი ხასიათი კარგად გამოჩნდება.
ბ) შეარჩიეთ ნაწარმოების გმირის რამდენიმე ქმედება და დაუკავშირეთ ისინი მისი ხასიათის თავისებურებებს.
გ) აირჩიეთ რომელიმე გმირი ნაწარმოებიდან და შეაფასეთ მისი როლი მოცემულ ნაწარმოებში.
დ) აღწერეთ, როგორ განვითარდებოდა ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები, მოქმედება რომ ჩვენს დროში ხდებოდეს.

## დავალება №35

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება/დებულებები ასახავს პერკინსის თეორიის ძირითად პრინციპებს?

I. თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად მოსწავლეებს ბუნებრივად უვითარდებათ მისი ტრანსფერის უნარიც. შესაბამისად, თუ საკითხი თეორიულად საფუძვლიანად არის შესწავლილი, მოსწავლეებს უადვილდებათ მისი პრაქტიკაში გამოყენება.
II. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში სწავლის უნარის განვითარებას, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებლად სწავლა და იცოდნენ, როგორ უნდა შეუწყონ ხელი საკუთარი სწავლის პროცესს.
III. სწავლა ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარია. ყოველდღიურად ჩვენ „ცნობიერი ძალისხმევის" გარეშეც ვიძენთ ახალ ცოდნას. მასწავლებელი უნდა იცნობდეს და ეფექტიანად იყენებდეს ე.წ. ბუნებრივი სწავლების კანონზომიერებებს.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ II და III
დ) მხოლოდ III

## დავალება №36

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებება/დებულებები ასახავს ბიჰევიორისტული თეორიის ძირითად პრინციპს?

I. შეუძლებელია ადამიანის შინაგან სამყაროზე დაკვირვება, ამიტომ მისი ფსიქიკური პროცესების შესახებ მსჯელობა უნდა დაეფუძნოს გარემოდან წამოსულ სტიმულებსა და მათზე საპასუხო რეაქციებს.
II. ადამიანი წარმოადგენს „სუფთა დაფას", რომელსაც არ გააჩნია თანდაყოლილი მიდრეკილება კონკრეტული ქცევის/ქცევებისაკენ. ადამიანი ყალიბდება გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.
III. ფსიქიკის ჩამოყალიბებას გენეტიკური ფაქტორები განსაზღვრავს და მასზე გარემო ფაქტორებს არ აქვთ გავლენა. შესაბამისად, ფსიქიკური პროცესების ახსნა გენეტიკური ფაქტორებით არის შესაძლებელი.

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ III

## დავალება №37

*მასწავლებელმა მოსწავლეს ამოსახსნელად მისცა ამოცანა, რომელსაც მოსწავლემ თავი ვერ გაართვა.*

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს საკითხის გააზრებაში და ამავდროულად ხელი შეუწყოს მის კოგნიტურ განვითარებას?

ა) შეურჩიოს მოსწავლეს უფრო მარტივი დავალება.
ბ) მისცეს მოსწავლეს საშუალება, დავალება სახლში შეასრულოს.
გ) დაეხმაროს მოსწავლეს მინიშნებებით დავალების შესრულებაში.
დ) სთხოვოს მოსწავლეს იმავე თემაზე მსგავსი დავალების შესრულება.

## დავალება №38

ბრუნერის თეორიის მიხედვით, რომელია *სწავლების ძირითადი პრინციპი?*

ა) მნიშვნელოვანია ბავშვის ცალკეული სენსორული, მოტორული ფუნქციებისა და კოგნიტური უნარების განვითარების ხელშემწყობი ბუნებრივი გარემოს შექმნა.
ბ) მნიშვნელოვანია ორიენტაცია ბავშვის განვითარების უახლოეს ზონაზე. რთული, მაგრამ დაძლევადი დავალებების მიცემა, საჭიროების შემთხვევაში თანატოლების ან უფროსების დახმარება.
გ) მნიშვნელოვანია დემოკრატიულ იდეალებზე ფოკუსირება, სწავლების მიზნების განსაზღვრასა და საერთო ღირებულებების შექმნაში მოსწავლეთა თანამონაწილეობა.
დ) მნიშვნელოვანია ე.წ. „სპირალური კურიკულუმის“ გამოყენება: სასწავლო გეგმის ისე ორგანიზება, რომ ყოველი ახალი ცნება უკვე დასწავლილსა და წინა გამოცდილებას ეფუძნებოდეს.

## დავალება №39

უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს, ესენია: ექსტეროგენური ქცევა და ინტროგენური ქცევა.

ჩამოთვლილთაგან რომელია *ექსტეროგენური ქცევის* მაგალითი?

ა) გიორგი ზაფხულში მიეხმარა მამას, რომელიც მშენებლობაზე მუშაობდა, რათა გამომუშავებული თანხით სასურველი მობილური ტელეფონი შეეძინა.
ბ) ნიკო მშობლების საყვედურების მიუხედავად, მეცადინეობის ნაცვლად ძალიან დიდ დროს უთმობს ფილმების ყურებას. მას განსაკუთრებით უყვარს ფილმები ხელოვანთა ცხოვრების შესახებ.
გ) დათომ ამ ბოლო დროს სწავლას მოუკლო, რადგან მთელი დღის განმავლობაში ფეხბურთს თამაშობს, რომელიც მას ყველაფერს ურჩევნია.
დ) ანოს ძალიან მოსწონს კომპიუტერული თამაშები, იმდენად, რომ მისი საშინაო დავალების რვეული ამ თამაშებიდან გადმოტანილი ნახატებით არის აჭრელებული.

## დავალება №40

*მაქსიმალური ქულა – 3*

ფიზიკის მასწავლებელმა გადაწყვიტა მეათე კლასში ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის გამოყენება. მან მოდელად შეარჩია გიორგი, რომელიც ფეხბურთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და თანაკლასელთა შორის პოპულარობით სარგებლობს. მასწავლებლის ვარაუდით, გიორგი მისაბაძი გახდება თანაკლასლებისათვის და ისინიც აქტიურად ჩაერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. სასწავლო პროცესს მასწავლებელი ასე წარმართავს:

*მასალის ახსნის დროს პედაგოგს დაფასთან გამოჰყავს გიორგი, სადემონსტრაციოდ ხსნის ახალ თემასთან დაკავშირებულ ამოცანას და კარნახობს გიორგის ამოცანის ამოხსნის თითოეულ ნაბიჯს. მოსწავლეს ამოხსნა დაფაზე გადააქვს. პედაგოგი მადლობას უხდის გიორგის დახმარებისათვის.*

ორი კვირის შემდეგ მასწავლებელმა შეამჩნია, რომ მისი მოლოდინები არ გამართლდა: საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობამ იკლო; გიორგისაც მობეზრდა ამ „როლის“ შესრულება და გაცდენებს მოუხშირა.

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიაზე დაყრდნობით. ახსენით, რატომ ვერ მიაღწია მასწავლებელმა დასახულ მიზანს.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების გათვალისწინებით:

- განმარტეთ, რა შეცდომა დაუშვა პედაგოგმა ე.წ. მოდელის შერჩევისას.
- დაასახელეთ ფაქტორები/წინაპირობები, რომლებიც განაპირობებენ სოციალური დასწავლის პროცესის ეფექტიანობას. განმარტეთ, რატომაა ეს პირობები მნიშვნელოვანი *სამაგალითო ქცევაზე დაკვირვებით* სწავლისთვის.

**იმ შემთხვევაში, თუ ბანდურას თეორიას არ იცნობთ, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.*

✍ *ჩაწერეთ:*

# პროფესიული გარემო

ყურადღებით გაეცანით წარმოდგენილ სიტუაციებს და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, საკმარისია, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში რაიმე კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ.
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორად – მოქმედი კანონის შესაბამისად.

## დავალებები №41– 45 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

*სკოლის დირექტორისთვის ცნობილი გახდა, რომ მე-11 კლასის მოსწავლეებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს ბიოლოგიის გაკვეთილი. ბავშვები ითხოვდნენ მასწავლებლის შეცვლას მისი არაკომპეტენტურობისა და არაობიექტურობის გამო. ბავშვების პროტესტს მშობლებმაც დაუჭირეს მხარი. მათი აზრით, ამ პირობებში მოსწავლეები ვერ ჩააბარებდნენ საატესტატო გამოცდას. მშობლები რამდენჯერმე შეიკრიბნენ სკოლაში პროტესტის გამოსახატავად. შეხვედრები, როგორც წესი, არ იყო შეთანხმებული დირექციასთან, თუმცა ზოგჯერ მათ სკოლის ადმინისტრაციაც ესწრებოდა.*

*შექმნილ ვითარებაში გარკვევა დირექტორმა სკოლის მანდატურს დაავალა. პარალელურად მან ბიოლოგიის კათედრას ტესტით მოსწავლეთა ცოდნის შეფასება სთხოვა. დირექტორის ამგვარმა რეაგირებამ უფრო შეაგულიანა მშობლები და მათ სკოლაში განათლების ხარისხის კონტროლის მიზნით სპეციალური გაერთიანების ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. სკოლის დირექცია მიესალმა მშობელთა ამ ინიციატივას და გაერთიანებაში ჩართვის მიზნით სკოლის ერთი თანამშრომელიც კი გამოყო.*

41. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლეთა მშობლებს ჰქონდათ დირექციის გაფრთხილების გარეშე სკოლაში შეკრებების უფლება, თუ ეს შეხვედრები ემთხვეოდა არასაგაკვეთილო დროს.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

42. სკოლის დირექციას ჰქონდა მშობელთა შეკრებაზე დასწრების კანონიერი უფლება, მათგან მოწვევის გარეშეც, თუკი ადმინისტრაცია ამის საჭიროებას ხედავდა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

43. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მანდატური უფლებამოსილია, გამოიკვლიოს მოსწავლეთა და მშობელთა პრეტენზიების საფუძვლიანობა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

44. მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებს მშობლებს სხვადასხვა გაერთიანების ჩამოყალიბების უფლებას, მათ შორის განათლების ხარისხის კონტროლის მიზნითაც.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

45. დაუშვებელია სკოლის დირექციის ჩარევა მოსწავლეთა მშობლების მიერ ჩამოყალიბებული გაერთიანების საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

**დავალებები №46– 50 შემდეგ პირობას ეყრდნობა**

*ვახო 13 წლისაა. იგი ბუნებით საკმაოდ აქტიური და ცელქი ბავშვია, რის გამოც სკოლაში ხშირად პრობლემები ექმნება. მორიგი ინციდენტის შემდეგ ვახოს დამრიგებელმა გადაწყვიტა მის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით მან ჯერ სკოლის დირექციას, ხოლო შემდეგ სკოლის დისციპლინურ კომიტეტს მიმართა. დისციპლინურმა კომიტეტმა დეტალურად შეისწავლა ვახოს შემთხვევა - მოისმინა მანდატურისა და ვახოს სხვა მასწავლებლების აზრი და დამრიგებლის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება მიიღო. ამის თაობაზე სკოლის დირექციამ ვახოს მშობლებსაც აცნობა და შესთავაზა ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანა ან დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულება. მშობლებმა პრობლემებისთვის თავის ასარიდებლად ვახო სხვა სკოლაში გადაიყვანეს.*

46. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გადამისამართება არასრულწლოვანი მოსწავლის განსხვავებულ კულტურულ-საგანამანათლებლო პროგრამაში ჩართვას ან მის მიმართ სხვა ღონისძიებების გამოყენებას გულისხმობს.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

47. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, გადამისამართების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ 14 წელს მიღწეული მოსწავლეების მიმართ.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

48. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გადამისამართების გამოყენება შესაძლებელია ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეების მიმართ, რომლებიც სისტემატურად უქმნიან საფრთხეს საკუთარ ან გარშემომყოფთა უსაფრთხოებას.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

49. არასრულწლოვანის გადამისამართების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი მანდატურისა და მოსწავლის მასწავლებლების შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

50. გადამისამართების შესახებ განხილვის პროცესში უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

# II თავი

## ტესტურ დავალებათა ტიპები

*შეფასების პრინციპები*

*განმარტებები*

*რეკომენდაციები*

# 2.1. ღიადაბოლოებიანი დავალებები

2012 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ პედაგოგებს ყველაზე მეტი სირთულეები, წინა წლების მსგავსად, ექმნებათ ღიადაბოლოებიან დავალებებზე მუშაობისას. ამიტომ, ამგვარ დავალებებზე მუშაობის სპეციფიკაში უკეთ გარკვევის მიზნით, მათზე განსაკუთრებულად გავამახვილებთ ყურადღებას.

ღიადაბოლებიანი დავალების პირობა შედგება ორი ნაწილისაგან: **ა) წარმოდგენილი სიტუაცია და ბ) შესაბამისი შეკითხვა/მოთხოვნა**, რომელსაც არა აქვს თანდართული სავარაუდო პასუხები; აპლიკანტს ევალება, თავად იმსჯელოს დავალებაში გამოკვეთილ პრობლემაზე. მოთხოვნა შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე მითითებას. მითითება ეხმარება აპლიკანტს, კარგად გაიაზროს პირობა და განსაზღვროს, რა მიმართულებით უნდა წარმართოს მსჯელობა.

ღიადაბოლოებიანი დავალების ნიმუში

პირობა:

ა) სიტუაცია — დამწყებ პედაგოგს მეცხრე კლასში დისციპლინის პრობლემები შეექმნა. ამ პრობლემების მოსაგვარებლად მან გადაწყვიტა კლასში მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება და რჩევისთვის თქვენ მოგმართათ.

ბ) მოთხოვნა/მითითება —

- მიეცით პედაგოგს ორი რჩევა, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავებისას.
- ახსენით, როგორ დაეხმარება თქვენი რჩევა დამწყებ პედაგოგს დისციპლინის პრობლემების მოგვარებაში. დაასახელეთ თითოეული რჩევის დადებითი შედეგი.

ღიადაბოლოებიანი დავალება, ჩვეულებრივ, მოითხოვს **სიტუაციის ანალიზს, არგუმენტაციას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, პრობლემის პრევენციასა ან დაძლევაზე ორიენტირებული აქტივობების აღწერასა და მათი შესაძლო შედეგების შეფასებას**. ამ ტიპის დავალებას არა აქვს ერთი სწორი პასუხი, რადგან შეიძლება დავალებაში აღწერილი პრობლემა სხვადასხვა კუთხით გაანალიზდეს ან ერთი და იგივე პრობლემა განსხვავებული გზით დაიძლიოს. სწორედ ამიტომ, თითოეული დავალებისათვის წინასწარ არის შემუშავებული შეფასების სქემა, რომელშიც განხილული და დასაბუთებულია ყველა შესაძლო „სწორი პასუხი“. შეფასების სქემაში დეტალურადაა აღწერილი, რა შემთხვევაში ფასდება აპლიკანტი „ნაწილობრივი“ ან მაქსიმალური ქულით. სწორედ სქემაში აღწერილი შეფასების საერთო პრინციპისა და შინაარსის ადეკვატურობის გათვალისწინებით ფასდება თითოეული აპლიკანტის ნაშრომი. იმისათვის, რომ დავალება სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული, ამასთან, პასუხი არ უნდა იყოს დავალების პირობის პერიფრაზი.

ღიადაბოლოებიანი დავალების შეფასებისას ხშირად გამოიყენება შეფასების რუბრიკები. რუბრიკა შეფასების სქემის გზამკვლევია. შეფასების რუბრიკა შეიძლება იყოს: **ჰოლისტური, ანუ მთლიანი და ანალიტიკური. ჰოლისტური რუბრიკა** ნამუშევარს აფასებს მთლიანობაში, თუ როგორ არის შესრულებული ნამუშევრები ზოგადად, ხოლო **ანალიტიკური რუბრიკა** აფასებს მის ცალკეულ კომპონენტებს. პროფესიული უნარების ტესტში ღიადაბოლებიანი დავალებების შეფასებისას გამოყენებულია როგორც ჰოლისტური, ისე ანალიტიკური რუბრიკა.

პედაგოგთა ნამუშევრების თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების საილუსტრაციოდ გთავაზობთ 2012 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ზოგიერთი ღიადაბოლოებიანი დავალების პასუხების ნიმუშებს თანდართული განმარტებებით. ნიმუშები აღებულია პროფესიული უნარების ტესტის I ვარიანტიდან.

| **დავალება 22** | *მაქსიმალური ქულა – 4* |
|---|---|
| ანალიტიკური აზროვნება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია. იგი ეხმარება მოსწავლეებს მიწოდებული ინფორმაციის სრულყოფილად გაგება-გააზრებაში, რთული კონცეფციებისა და მოვლენების არსის წვდომაში. მის მნიშვნელოვნებას განაპირობებს ისიც, რომ სწავლის პროცესში შეძენილი ეს უნარი მოსწავლეთა აზროვნებას უფრო ეფექტიანსა და მოქნილს ხდის ყოველდღიურობაშიც.<br>– აღწერეთ ორი პრაქტიკული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში.<br>– დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიების ადეკვატურობა ანალიტიკური აზროვნების განვითარებისათვის. | |

***რას ვაფასებთ***. მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელვანია, მასწავლებელმა ისე დაგეგმოს და წარმართოს სწავლების პროცესი, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს სხვადასხვა უნარის განვითარებაში. ამ დავალებით ფასდება, ესმის თუ არა პედაგოგს ანალიტიკური აზროვნების არსი, ამასთან, რამდენად კარგად ფლობს იგი სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას და შეუძლია თუ არა ამ სტრატეგიების მიზნობრივად გამოყენება.

***შეფასების კრიტერიუმები***. დავალება 4-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა აღწეროს ორი პრაქტიკული სტრატეგია, რომელთა საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში და (2) დაასაბუთოს საკუთარი პასუხი – ახსნას, კონკრეტულად რა ფაქტორები განაპირობებს მასწავლებლის მიერ გამოყენებული სტრატეგიების ადეკვატურობას. შესაბამისად, მაქსიმალური 4 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ორივე მითითებაზე სრულად არის პასუხი გაცემული: აღწერილია ანალიტიკური აზროვნების განვითარების ხელშემწყობი ორი სტრატეგია და დასაბუთებულია მათი ადეკვატურობა (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. დანართი 2).
22-ე დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ზოგიერთ ნიმუშს.

## ნიმუში №1

*პასუხი შეფასებულია 4 ქულით.*



### განმარტება

წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტის მსჯელობა პირობის ადეკვატურია, ლოგიკურია და უპასუხებს დავალების ორივე მითითებას – მასში აღწერილია ანალიტიკური აზროვნების ხელშემწყობი სტრატეგიები და მოცემულია ამ სტრატეგიების ადეკვატურობის დამაჯერებელი დასაბუთება.

## ნიმუში №2

*პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება***. მოცემულ პასუხში აპლიკანტი ასახელებს მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების განვითარების ხელშემწყობ ორ კონკრეტულ სტრატეგიას (*ვენის დიაგრამა და 3,2,1.*), თუმცა სრულფასოვნად აღწერს და ასაბუთებს მხოლოდ ერთს – *ვენის დიაგრამას.* მეორე სტრატეგია მხოლოდ დასახელებულია, არ არის აღწერილი, ამასთან, მისი ადეკვატურობაც სქემატურადაა დასაბუთებული, არ არის მოცემული ახსნა, რატომ ან როგორ ეხმარება მოსწავლეს დასახელებული სტრატეგია ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში. ხაზგასმულია მხოლოდ ის, რომ ეს სტრატეგია ეხმარება მოსწავლეს მასალის ათვისებაში. შეფასების სქემიდან გამომდინარე, მოცემული პასუხი შეფასდა 3 ქულით.

**ნიმუში №3**

*პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*


22. შეიძლება გამოვიყენოთ 3, 2, 1 მეთოდი, ვენის
დიაგრამა, ვიცი, გავიგე, მინდა გავიგო სტრატეგიები

***განმარტება:*** მოცემულ ნიმუშში აპლიკანტის მსჯელობა სქემატური და ზედაპირულია. ნაწილობრივ არის პასუხი გაცემული დავალების პირველ მითითებაზე – ანალიტიკური აზროვნების ხელშემწყობი ორი პრაქტიკული სტრატეგიის **აღწერის** ნაცვლად აპლიკანტი მხოლოდ **ასახელებს** ადეკვატურ სტრატეგიებს (*3,2,1, ვენის დიაგრამა, „ვიცი, გავიგე, მინდა გავიგო“*). პასუხის მეორე, დასაბუთების ნაწილი დამაჯერებელია, დასახელებული სტრატეგიების ადეკვატურობის შესახებ აპლიკანტი მართებულად მსჯელობს, თუმცა პასუხს აკლა მკაფიობა. ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის ანალიტიკური აზროვნების არსი, მაგრამ დავალებაზე პასუხი ნაწილობრივია. აქედან გამომდინარე, აპლიკანტის პასუხი შეფასდა 2 ქულით.

**ნიმუში №4**

*პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*

22. ინფორმაციის მოპოვება, შედარება, დახარისხება

ინფორმაციის მოპოვება ხდება, ჯგუფურად მუშაობით წყაროს და აქვე' დაკვირვების გზით.

შედარება, დახარისხება ანალიზის პროცესში ეხმარება.

***განმარტება.*** მოცემული პასუხი სქემატურია. მასში არ არის აღწერილი კონკრეტული სტრატეგიები. აპლიკანტი მხოლოდ ასახელებს რამდენიმე ტერმინს (*ინფორმაციის მოპოვება, შედარება, დახარისხება*) და გაუგებარია, სასწავლო სტრატეგიებია დასახელებული, თუ ანალიზის პროცესის საფეხურები, რადგან აპლიკანტის მიერ დასახელებული ტერმინები გამოიყენება ანალიზის, როგორც კოგნიტური პროცესის აღწერის დროსაც. პასუხის დასაბუთების ნაწილიც ზედაპირულია, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ უწყობს ხელს ეს სტრატეგიები/სასწავლო აქტივობები მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების განვითარებას. მხოლოდ ნათქვამია, რომ ისინი ეხმარება მოსწავლეს საკითხის ანალიზში, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის არასაკმარისი ცოდნა. ამიტომ, შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №5**

*პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*

22. პედაგოგმა მოსწავლეს ჯერ უნდა მიაწოდოს მასალა, რომ მან შეძლოს მიღებული ინფორმაციის სწორად გაგება და თუ დასჭირდა, პრაქტიკაში გამოყენება. პედაგოგი აწვდის ინფორმაციას და სთხოვს ამ ინფორმაციის გაანალიზებას. თუ მოსწავლეს შეუძლია ანალიზის გაკეთება და მიღებული ინფორმაცია სხვა ფაქტებთან დააკავშიროს, ეს შეუწყობს ხელს ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში.

**ნიმუში №6**

*პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



***განმარტება.*** მოცემულ ნიმუშებში წარმოდგენილი პასუხები შეფასებულია 0 ქულით. მათში სხვადასხვა ტიპის საკმაოდ გავრცელებული შეცდომებია დაშვებული, ამიტომ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად მათი კრებულში განხილვა.

მე-5 ნიმუშში წარმოდგენილია ტიპური შემთხვევა, როდესაც აპლიკანტი მსჯელობს დასმულ საკითხზე, მაგრამ სცდება დავალების მითითებებს. ამ შემთხვევაში აპლიკანტის პასუხი ზოგადია. აქცენტი გადატანილია მასწავლებლის ძალისხმევის მნიშვნელობაზე იმისათვის, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიგონ მიწოდებული მასალა და არაფერია ნათქვამი იმაზე, როგორი უნდა იყოს ეს ძალისხმევა; რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ საკითხის მიმართ ლოგიკური, სისტემატიზებული და თანამიმდევრული მიდგომა. ამასთან, აპლიკანტის მიერ გაკეთებული დასკვნაც ბუნდოვანია. რომ განვაზოგადოთ, მასში ნათქვამია: თუ მოსწავლეს რაიმე შესაძლებლობა გააჩნია, მაშინ იგი შეუწყობს ხელს ამ შესაძლებლობის განვითარებას (*თუ მოსწავლეს შეუძლია ანალიზის გაკეთება და მიღებული ინფორმაციის სხვა ფაქტებთან დაკავშირება, ეს შეუწყობს ხელს ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში*). ცხადია, ამგვარი პასუხი არ არის მისაღები და ამიტომაც შეფასდა 0 ქულით.

განსხვავებული შეცდომაა დაშვებული მეორე ნიმუშში (№6). აპლიკანტის პასუხი არაადეკვატურია, მსჯელობს ზოგადად და არ უპასუხებს დავალების არც ერთ მითითებას. ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს და, შესაბამისად, შეფასებულია 0 ქულით.

## დავალება №22-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **სასწავლო სტრატეგიის აღწერის ნაცვლად მხოლოდ დასახელება.** აპლიკანტები ხშირად სასწავლო სტრატეგიების დასახელებით შემოიფარგლებოდნენ. ამგვარი პასუხი ერთგვარ გაუგებრობას ქმნიდა იმ შემთხვევებში, როდესაც აპლიკანტი ასახელებდა ისეთ სტრატეგიებს, როგორიცაა: შედარება, კლასიფიკაცია, შეჯამება და სხვა. ამ დროს ერთმნიშვნელოვნად ძნელია იმის განსაზღვრა, პასუხში სასწავლო სტრატეგიებია დასახელებული თუ ანალიზის, როგორც შემეცნებითი პროცესის, საფეხურები.
- **დავალების პირობას აცდენილი პასუხები.** ხშირად აპლიკანტები კითხვაში დასმულ მოთხოვნებზე პასუხის ნაცვლად საუბრობდნენ სწავლების პროცესში ანალიტიკური აზროვნების მნიშვნელობაზე. პასუხები იყო ზოგადი, მოკლებული კონკრეტულობას და მათში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილი იყო პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზი.
- **ზედაპირული დასაბუთება.** ასევე ხშირი იყო სტრატეგიების აღწერის შემდგომ მათი ადეკვატურობის ზედაპირული, სუსტი არგუმენტაცია. მაგალითად, მსჯელობაში ხშირად გამოიყენებოდა ფრაზები: „იმიტომ, რომ მნიშვნელოვანია“, „რადგან ეს ეხმარება ანალიტიკური უნარის განვითარებაში“ და სხვ. ეს დავალება სწორედ იმას აფასებს, თუ რამდენად ესმის აპლიკანტს სტრატეგიის მნიშვნელობა და მხოლოდ ასეთი ზოგადი ფრაზა ვერ ჩაითვლება არგუმენტად.

**რეკომენდაცია**

მასწავლებლებს ვურჩევთ, ანალიტიკური აზროვნებისა და სწავლის სტრატეგიების შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად და უკეთ გასააზრებლად წაიკითხონ: „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007); „სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 38).

**დავალება 23** *მაქსიმალური ქულა – 3*

სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა გადაწყვიტა, დახმარებოდა უფროსკლასელებს იმის გაცნობიერებაში, რომ „ისტორია არ არის აბსტრაქცია, ის თვითონ მათშია, მათ ოჯახებშია.“ ამ მიზნით პედაგოგმა მოსწავლეებს საპრეზენტაციოდ ასეთი თემა შეურჩია: „1937 წელი ჩემს ოჯახში“. მოსწავლეებს უნდა აეღოთ ინტერვიუები - გამოეკითხათ თავიანთი მშობლები, ბებია-ბაბუები, ნათესავები, მოეტანათ კლასში ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ იყო მათი ოჯახიდან ან ახლობელთა წრიდან საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი და განეხილათ ეს ფაქტები ეპოქის კონტექსტში.

– აღწერეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

***რას ვაფასებთ.*** დავალება აფასებს იმას, თუ რამდენად შეუძლია მასწავლებელს კონკრეტული სასწავლო ქმედების ანალიზი, რამდენად ესმის თეორიული მასალის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებული სწავლების მნიშვნელობა შედეგების მიღწევისათვის. ეს არის იმის წინაპირობა, რომ პედაგოგი წარმატებით გამოიყენებს მას სასწავლო პრაქტიკაში. მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ისე შეარჩიოს აქტივობები, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ მასალის უკეთ გააზრებასა და ათვისებას. ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან თეორიული მასალის დაკავშირება არა მხოლოდ სახალისოა, არამედ ის მამოტივირებელი და ინტერესის აღმძვრელიცაა, რადგან მოსწავლეები იაზრებენ შესწავლილი მასალის მნიშვნელობას, მის ღირებულებას, უყალიბდებათ საგნის მიმართ დადებითი დამოკიდებულება („ისტორია არ არის აბსტრაქცია, ის თვითონ მათშია, მათ ოჯახებშია“). ასე დამუშავებული მასალა (ინტერვიუების შედეგად მოპოვებული მასალის პრეზენტაცია) ხელს უწყობს მათში ზნეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებას, ზრდის პასუხისმგებლობასა და დამოუკიდებლობის ხარისხს, ორიენტირებულია არა მარტო შემეცნებითი, არამედ სოციალური და კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე.

***შეფასების კრიტერიუმები.*** ეს დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) **უნდა აღწეროს მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები** და (2) **დაასაბუთოს საკუთარი პასუხი –**

ახსნას, კონკრეტულად რა ფაქტორები განაპირობებს მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობის დადებით ეფექტს.

******შენიშვნა: რადგან პირობაში „დადებითი შედეგები“ მრავლობით რიცხვშია მოცემული, შესაბამისად, პედაგოგმა უნდა აღწეროს მინიმუმ ორი* **სასწავლო აქტივობის დადებითი** *შედეგი.*

მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, აღწერილია მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის მინიმუმ ორი დადებითი შედეგი, ამასთან, პასუხი გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებით.

23-ე დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ზოგიერთ ნიმუშს.

**ნიმუში №1**

*პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტი ასახელებს და აღწერს სასწავლო ქმედების ორ ადეკვატურ შედეგს, ანალიტიკური აზროვნებისა და ემპათიის უნარის განვითარებას. ამასთან, განმარტავს, რატომ შეუწყობს ეს აქტივობა ხელს ამ უნარების განვითარებას და თითოეულს ასაბუთებს სპეციფიკური არგუმენტებით (ცხოვრებისეული მაგალითების დაკავშირება ეპოქასთან, მსჯელობა და ქვეყნის ისტორიის სიღრმისეული ანალიზი, რეპრესირებულთა ტრაგედიისა და რეპრესიების შედეგების არა მარტო ანალიზი, არამედ გაცნობიერება და განცდა). პასუხში ჩანს კონკრეტული სასწავლო ქმედების ანალიზისა და ადეკვატური შეფასების უნარი, ამიტომ ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური ქულით.

## ნიმუში №2

*პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*

23. კონკრეტული დავალების შესრულებით მოსწავლეებს უვითარდებათ კვლევა-ძიების უნარი, ისინი ეძებენ ინფორმაციას, მსჯელობენ, ასაბუთებენ და ასკვნიან. მათ უყალიბდებათ ანალიტიკური უნარი, ჩართულია მსჯელობაში, ფაქტების მოვლენების [illegible] და ტრანსფერი [illegible] შედეგები; ამით მოსწავლეებში ინტერესი. ასევე გამოიწვია ინტერესი მოტივაცია, განვითარდა კვლევა-ძიების ანალიტიკური უნარი, აფასებენ ფაქტებს და მოვლენებს და ახდენენ ამ თემის ტრანსფერს.

**განმარტება.** პასუხის პირველ ნაწილში აპლიკანტი აღწერს სასწავლო ქმედების დადებით შედეგებს (კვლევა-ძიების, ანალიტიკური უნარის განვითარება), ცდილობს დასაბუთებას, თუმცა ძალიან სქემატურად. მეორე ნაწილში, რომელსაც ის გამოყოფს და განსაზღვრავს, როგორც დადებით შედეგებს, ასახელებს ინტერესსა და მოტივაციას და იმეორებს პირველ ნაწილში აღწერილ უნარებს. დასაბუთება, ანუ იმის განმარტება, თუ რა განაპირობებს ამ შედეგებს (რატომ აღძრავს მოსწავლეების ინტერესსა და მოტივაციას), პასუხში არ ჩანს. აპლიკანტი არც იმას განმარტავს, რატომ მიაჩნია მას, რომ დასახელებული აქტივობით მოსწავლეები *„ახდენენ ამ თემის ტრანსფერს“*. ზოგადად, პასუხი სწორია, ადეკვატური, თუმცა არ არის სრულყოფილი, არგუმენტაციას აკლია სიცხადე, რის გამოც ნაშრომი შეფასდა 2 ქულით.

## ნიმუში №3

*პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*

23. ეს მეთოდი ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას, უვითარებს კვლევა-ძიების უნარს, პასუხისმგებლობას, სხვისი აზრის მოსმენას და პატივისცემას ისწავლიან. ავითარებს ურთიერთობას კომუნიკაციას, ავითარებს დამოუკიდებლობის უნარს, ზრდის მოტივაციას.

**ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ.** აპლიკანტი მხოლოდ ასახელებს რამდენიმე შედეგს, მაგრამ არ აღწერს. ყველა დასახელებული შედეგი ადეკვატურია, თუმცა არც ერთი არ არის დასაბუთებული, არ არის ახსნილი, რატომ უზრუნველყოფს დასახელებული შედეგების მიღწევას დავალების პირობაში აღწერილი სასწავლო ქმედება. ამიტომ პასუხი მიჩნეულია არასრულყოფილად და შეფასებულია 1 ქულით.

**ᲜᲘᲛᲣᲨᲘ №4**

*პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



**ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი სცდება დავალების მითითებებს. სასწავლო ქმედების ანალიზის ნაცვლად, აპლიკანტი გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას დასამუშავებელი საკითხის, კერძოდ, რეპრესიების მიმართ. ნაშრომის ბოლოს ის გვაძლევს გაკვეთილის შესაძლო გაგრძელების საკუთარ ვერსიას, თუმცა ისევ არ გამოკვეთს მკაფიოდ დადებით შედეგს. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს შეუძლია სასწავლო ქმედების ანალიზი და შეფასება. ამიტომ ნაშრომი შეფასებულია 0 ქულით.

## დავალება №23 –ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალების პირობის პერიფრაზირება.** შედეგების ანალიზის ნაცვლად აპლიკანტები ხშირად საკუთარი სიტყვებით აღწერენ სასწავლო ქმედებას, ანუ იმეორებენ იმას, რაც დავალების პირობაშია მოცემული.
- **პრობლემები დავალების პირობის გააზრებაში.** სასწავლო ქმედების შედეგების აღწერისა და დასაბუთების ნაცვლად აპლიკანტები გამოხატავენ გაკვეთილზე დასამუშავებელი საკითხის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას, მსჯელობენ არა ამ სასწავლო ქმედების ეფექტიანობაზე, არამედ, ზოგადად, რეპრესიების შედეგებზე, ანუ სცდებიან დავალების მითითებებს.

**რეკომენდაცია**

მასწავლებლებს ვურჩევთ, სასწავლო ქმედების ეფექტიანობის უკეთ გასააზრებლად წაიკითხონ „ეფექტიანი სწავლება" (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 6-8, 13-14), „განვითარებისა და სწავლის თეორიები", (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 41-45), „ინტერვიუს ტექნოლოგია და ცოდნის აგების პროცედურები" (ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი", 19 ოქტომბერი, 2012), „ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი" (ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი", 28 თებერვალი, 2012).

**დავალება 40** *მაქსიმალური ქულა – 3*

ფიზიკის მასწავლებელმა გადაწყვიტა მეათე კლასში ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის გამოყენება. მან მოდელად შეარჩია გიორგი, რომელიც ფეხბურთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და თანაკლასელთა შორის პოპულარობით სარგებლობს. მასწავლებლის ვარაუდით, **გიორგი მისაბაძი გახდება თანაკლასლებისათვის და ისინიც აქტიურად ჩაერთვებიან საგაკვეთილო პროცესში.** სასწავლო პროცესს მასწავლებელი ასე წარმართავს:

***მასალის ახსნის დროს პედაგოგს დაფასთან გამოჰყავს გიორგი, სადემონსტრაციოდ ხსნის ახალ თემასთან დაკავშირებულ ამოცანას და კარნახობს გიორგის ამოცანის ამოხსნის თითოეულ ნაბიჯს. მოსწავლეს ამოხსნა დაფაზე გადააქვს. პედაგოგი მადლობას უხდის გიორგის დახმარებისათვის.***

ორი კვირის შემდეგ მასწავლებელმა შეამჩნია, რომ მისი მოლოდინები არ გამართლდა: საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობამ იკლო; გიორგისაც მობეზრდა ამ „როლის“ შესრულება და გაცდენებს მოუხშირა.

**გააანალიზეთ** აღწერილი **სიტუაცია ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიაზე დაყრდნობით**. ახსენით, რატომ ვერ მიაღწია მასწავლებელმა დასახულ მიზანს.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების გათვალისწინებით:

- **განმარტეთ,** რა შეცდომა დაუშვა პედაგოგმა ე.წ. მოდელის შერჩევისას.

- დაასახელეთ ფაქტორები/წინაპირობები, რომლებიც განაპირობებენ სოციალური დასწავლის პროცესის ეფექტიანობას. **განმარტეთ,** რატომაა ეს პირობები მნიშვნელოვანი სამაგალითო ქცევაზე დაკვირვებით სწავლისთვის.

****იმ შემთხვევაში, თუ ბანდურას თეორიას არ იცნობთ, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.***

***რას ვაფასებთ.*** მოცემული დავალება აფასებს იმას, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიას ან რამდენად ეთანადება მისი პედაგოგიური ალღო აღნიშნული თეორიის შინაარსს და როგორ იყენებს მას საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში. ბანდურას აზრით, სოციალური დასწავლა მუდმივი პროცესია, რომელიც არ საჭიროებს არც ქცევის წინაპირობას და არც ქცევის შემდგომ განმტკიცებას – დასწავლა ხდება ყველა შემთხვევაში, განურჩევლად გარემო ფაქტორებისა. ამასთან, ბანდურა წინაპირობის სახით აღწერს ოთხ პროცესს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებობა გვაქვს, ზეგავლენა მოვახდინოთ დაკვირვებით დასწავლაზე და წარვმართოთ ის ჩვენთვის სასურველი მიმართულებით. ბანდურას თეორიის თანახმად, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამაგალითო ქცევაზე დაკვირვების დროს მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, მივიპყროთ მოსწავლის ***ყურადღება***, შემდგომ მივაწოდოთ ინფორმაცია ისეთი სახით, რომ ხელი შევუწყოთ მის უკეთ ***შენარჩუნებას*** მეხსიერებაში, მივცეთ მოსწავლეებს ***გამეორების*** შესაძლებლობა და აღვუძრათ სამაგალითო ქცევის დამოუკიდებლად გამეორების ***მოტივაცია***, მაშინ ადვილად მივაღწევთ ეფექტს დაკვირვებით სწავლის დროს.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა განმარტოს, რა შეცდომა დაუშვა მასწავლებელმა ე.წ. მოდელის შერჩევისას, (2) აღწეროს ის ფაქტორები/წინაპირობები, რომლებიც განსაზღვრავს დაკვირვებით სწავლის ეფექტიანობას და ახსნას, რატომაა ეს ფაქტორები დასწავლის ეფექტიანობის განმსაზღვრელი. ამასთან, აპლიკანტს შესაძლებლობა აქვს, დასმულ საკითხს უპასუხოს საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, პასუხში ჩანს **ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის ცოდნა და/ან ამ ცოდნაზე დაყრდნობით პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალების პირობა; პასუხში ჩანს პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი; არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა; აპლიკანტის პასუხი ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია.

მე-40 დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გასააზრებლად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეული ზოგიერთი ნიმუში.

**ნიმუში №1**

*პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხი არის სრული, დავალების პირობაში დასმულ ყველა მითითებას უპასუხებს ამომწურავად. განმარტებები, რომლებიც ავტორს მოჰყავს საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად, იძლევა იმის საფუძველს, რომ დავასკვნათ: აპლიკანტი კარგად იცნობს ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიას, იცის, მოდელის რომელი თვისებებია განმსაზღვრელი დაკვირვებით სწავლის დროს და სწორად აანალიზებს მასზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელობას. შესაბამისად, პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით*



**განმარტება.** მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში წარმოდგენილ ყველა მითითებას – ასახელებს მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომას და დაკვირვებით დასწავლის ეფექტიანობის განმაპირობებელ ოთხივე ფაქტორს, ნაშრომი შეფასებულია 2 ქულით, რადგან ავტორი არ განმარტავს თავის არც ერთ მოსაზრებას. მოცემული ნიმუშის განხილვა, ზემოთ წარმოდგენილი **№1** ნიმუშის პარალელურად, გვაძლევს შეფასების პრინციპის ილუსტრირების შესაძლებლობას. ასე მეტად თვალსაჩინოა სხვაობაა 2 და 3-ქულიან პასუხებს შორის. **№2** ნიმუშის მიხედვით რთულია იმსჯელო, რომ ავტორი ფლობს გააზრებულ ცოდნას და საჭიროების შემთხვევაში ადეკვატურად გამოიყენებს მას საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში, მაშინ, როდესაც **№1** ნიმუშში აპლიკანტს ყოველი თავისი მოსაზრება გამყარებული აქვს შესაბამისი არგუმენტით.

**ნიმუში №3**

*პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*



**განმარტება.** ნაშრომი მოიცავს ადეკვატურ პასუხს მხოლოდ პირველ მითითებაზე – ავტორი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით სწორად განმარტავს, რატომ არ გამოიღო შედეგი მოდელის ამგვარად შერჩევამ. რაც შეეხება მეორე მითითებას, აპლიკანტი მას უპასუხოდ ტოვებს და საკუთარი სიტყვებით გადმოგვცემს მასწავლებლის შეცდომის შედეგს, რაც დავალების პირობის პერიფრაზია. შეფასების სქემის მიხედვით, ამგვარი არასრული პასუხი ფასდება 1 ქულით.

**ნიმუში №4**

*პასუხი შეფასებულია 0 ქულით*



**ნიმუში №5**

*პასუხი შეფასებულია 0 ქულით*



***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშებში (**№4 და №5**) აპლიკანტები არასწორად გაიაზრებენ დასმულ საკითხს. უპასუხოდ ტოვებენ დავალების პირობაში წარმოდგენილ მითითებებს და გვთავაზობენ ზოგად, უნივერსალურ მსჯელობებს მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციაზე. არაადეკვატური აქცენტები მიუთითებს იმაზე, რომ ნაშრომების ავტორები არ იცნობენ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიას. მსგავსი პასუხები მიიჩნევა დავალების პირობის არარელევანტურად და ფასდება 0 ქულით.

## დავალება №40-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **საკითხის არსის არაადეკვატური გააზრება.** აპლიკანტებს ყურადღების მიღმა რჩებათ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია. ძირითადად, იყენებენ უნივერსალურ ფრაზებს, ზოგადად, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობისა და მოტივაციის მნიშვნელობაზე. მსჯელობები ისეა წარმართული, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არც ავტორის პედაგოგიური გამოცდილება იკვეთება.
- **დავალების პირობის პერიფრაზირება.** მოცემული პრობლემის გაანალიზებისა და ბანდურას თეორიაზე დაყრდნობით მასწავლებლის შეცდომის ახსნის ნაცვლად აპლიკანტები უფრო ხშირად საკუთარი სიტყვებით მოგვითხრობენ დავალების პირობაში წარმოდგენილი სიტუაციის შინაარსს.

**რეკომენდაცია**

ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის უკეთ გააზრების მიზნით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ: „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 91-106), „როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის – პროფესიული უნარები“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008, გვ. 113-117).

## სიმულაციური დავალება („მენტორის ელექტრონული ფოსტა“)

სიმულაციური დავალება რეალური სიტუაციის მოდელირებას ეფუძნება. დავალების პირობა სხვადასხვა სახის ინფორმაციას მოიცავს და აპლიკანტისაგან მოითხოვს პირობაში აღწერილი პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად ეფექტიანი აქტივობების შერჩევას. 2012 წლის სასერტიფიკაციო ტესტში წარმოდგენილი სიმულაციური დავალება „მენტორის ელექტრონული ფოსტა“ (დავალება №24-28) დამწყები მასწავლებლების 5 წერილისაგან შედგება. თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს. მათი გაცნობის შემდეგ მასწავლებლის წინაშე იკვეთება ხუთი განსხვავებული ტიპის პრობლემა. მან უნდა წარმოიდგინოს, რომ თავად არის მენტორი და დასმული პრობლებების მოგვარებაში უნდა დაეხმაროს ახალბედა პედაგოგებს. მოცემულ დავალებებზე საპასუხოდ საჭიროა:

- კონკრეტული სტრატეგიის აღწერა, რომელიც დაეხმარება ახალბედა მასწავლებელს წერილში მოცემული პრობლემის/პრობლემების მოგვარებაში
- აღწერილი სტრატეგიის მართებულობის დასაბუთება – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეულ პრობლემასთან დაკავშირებული მსჯელობა ფასდება 3 ქულით. მაქსიმალური ქულით ფასდება ადეკვატური, სრული და არგუმენტირებული პასუხი, რომელშიც აღწერილია პრობლემის გადაჭრის კონკრეტული სტრატეგია და დასაბუთებულია მისი მართებულობა (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. დანართი №2).

განვიხილოთ რამდენიმე ნიმუში:

## **დავალება №24** ჰიპერაქტიური მოსწავლე

*მაქსიმალური ქულა – 3*




პედაგოგობა ყოველთვის მინდოდა და მაძიებლობა რომ მოვიპოვე, გამიხარდა, ახლა კი ისეთ ხასიათზე ვარ, არ ვიცი, დავრჩე თუ არა სკოლაში. მეხუთე კლასში ერთი მოსწავლე მყავს, რომელსაც ვერაფერი მოვუხერხე. ადგილზე ვერ ვაჩერებ, გამუდმებით ცქმუტავს, უნებართვოდ დგება მერხიდან და ისე დადის კლასში, თითქოს ვერც მამჩნევს. ხან წიგნი რჩება სახლში, ხან – რვეული. დავალებას როცა ვაძლევ, იწყებს და შუა გზაში ტოვებს. გამოვკითხე, რა ინტერესები ჰქონდა და დავალება ამის მიხედვით შევურჩიე, მაგრამ ვერც ამას დაუდო გული. ის რომ რაღაცას უადგილოდ და გაუაზრებლად წამოიყვირებს, მთელი კლასი ირევა. არც შენიშვნები ჭრის და არც მოფერება. აღარ ვიცი, რა ვქნა.

იქნებ მირჩიოთ, როგორ შეიძლება ამგვარი ჰიპერაქტიური მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.

***რას ვაფასებთ.*** მოცემული დავალება აფასებს, რამდენად კარგად იცნობს პედაგოგი ინკლუზიური განათლების პრინციპებს, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის სტრატეგიებს და როგორ იყენებს მათ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში. ჰიპერაქტიური მოსწავლე განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს და იმისათვის, რომ ის სხვა მოსწავლეებთან ერთად თანაბრად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, მნიშვნელოვანია, პედაგოგი კარგად იცნობდეს მისი განვითარების ინდივიდუალურ თავისებურებებს. ჰიპერაქტიური მოსწავლე იმპულსურია, არ აანალიზებს საკუთარ ქცევას, არ რეაგირებს ზოგად მითითებებზე, ამიტომ მასთან სამუშაოდ პედაგოგმა აუცილებლად უნდა შეიმუშავოს ინდივიდუალური გეგმა, რომელიც დაეხმარება მას მოსწავლის როგორც სოციალურ ადაპტაციაში, ისე მისთვის სასწავლო მასალაზე ყურადღების კონცენტრირების უნარის გამომუშავებაში.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) დეტალურად უნდა აღწეროს სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს ჰიპერაქტიური მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში და (2) დაასაბუთოს საკუთარი პასუხი – ახსნას, თუ რატომ და როგორ შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარებას მის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია, რატომ მოახდენს ის გავლენას ჰიპერაქტიური ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვაზე.

მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, პასუხში ჩანს **ჰიპერაქტიურ მოსწავლესთან მუშაობის სტრატეგიების სრულყოფილი ცოდნა და/ან ამ ცოდნაზე დაყრდნობით პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალების პირობა; პასუხში ჩანს პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი; აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით; არ არის დაშვებული უხეში შეცდომა (მაგ. დასახელებულია აქტივობა/სტრატეგია, რომლის გამოყენებაც დაუშვებელია ჰიპერაქტიურ მოსწავლესთან მუშაობის დროს); აპლიკანტის პასუხი ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია.

24-ე დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეული ზოგიერთი ნიმუში.

## ნიმუში №1

*პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



**განმარტება.** პასუხში დასახელებულია ჰიპერაქტიურ მოსწავლესთან მუშაობის ადეკვატური სტრატეგია. თითოეული აქტივობა, რომელსაც ასახელებს აპლიკანტი, გამყარებულია სათანადო არგუმენტით. უნდა აღინიშნოს, რომ აპლიკანტი სხვადასხვა კუთხით გაიაზრებს მოცემულ პრობლემას და გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს. აპლიკანტი სრულად უპასუხებს დავალების პირობით განსაზღვრულ ყველა მითითებას და შეფასებულია მაქსიმალური (3) ქულით.

## ნიმუში №2

*პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტი ასახელებს ადეკვატურ სტრატეგიას, მიუთითებს ინდივიდუალური გეგმის შედგენის აუცილებლობაზე და აკონკრეტებს აქტივობებს, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფს ჰიპერაქტიური მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აპლიკანტს საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს ძალიან ზედაპირული, მწირი არგუმენტი („*რომ ხმაურმა არ გაუფანტოს აზრი*“). პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს მოცემული პრობლემის გადაჭრის უნარი, მაგრამ ის დავალების პირობით განსაზღვრულ მითითებებს არასრულად უპასუხებს, ამდენად, პასუხი შეფასებულია 2 ქულით.

**ნიმუში №3**

*პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტი პასუხში სწორად მიუთითებს ინდივიდუალური გეგმის აუცილებლობაზე და ასახელებს იმ ფაქტორებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა მოსწავლის თავისებურებებზე მორგებული სასწავლო გეგმის შედგენის დროს. მაგრამ არ ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას, არ განმარტავს, რატომ მიიჩნევს მოცემულ სტრატეგიას დასახელებული პრობლემის ადეკვატურად. მოცემული ნიმუში განსაკუთრებით საყურადღებოა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დაშვებული ტიპური შეცდომის საილუსტრაციოდ. ადეკვატური სტრატეგიის პარალელურად აპლიკანტი ასახელებს ისეთ აქტივობას, რომლის გამოყენებაც დაუშვებელია ჰიპერაქტიურ მოსწავლესთან მუშაობის დროს (სიმკაცრე და იძულება: „*მივცეთ მკაცრი გაფრთხილება, თუ ვერ მივაღწიეთ მიზანს, ვთხოვოთ მანდატურს, გაიყვანოს გარეთ*“) – ასეთი წინააღმდეგობრივი მსჯელობა გვაფიქრებინებს, რომ აპლიკანტი არ ფლობს გააზრებულ ცოდნას და უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარ პრაქტიკაში მსგავსი პრობლემის გადაჭრა გაუჭირდება. ვინაიდან აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობით განსაზღვრულ მხოლოდ ერთ მითითებას, ნაშრომი შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №4**

*პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



**ნიმუში №5**

*პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



***განმარტება***. მოცემული ორი ნიმუშის (**№4, №5**) ავტორებს არა აქვთ სწორად გააზრებული დავალების არსი. აპლიკანტები ან მიუთითებენ, რომ ჰიპერაქტიურ მოსწავლესთან განსაკუთრებული მიდგომაა აუცილებელი (**ნიმუში №4**) და არაფერს ამბობენ ამ მიდგომების შესახებ, ან ასახელებენ სტრატეგიებს, რომლებიც ადეკვატურია, ზოგადად, მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად, მაგრამ ვერაფრით უზრუნველყოფს ჰიპერაქტიური მოსწავლის ჩართულობას (**ნიმუში №5**). პირველ შემთხვევაში (**№4**) პასუხი იმდენად ზოგადია, რომ რთულია იმსჯელო იმის თაობაზე, რა სახის ცოდნას ფლობს აპლიკანტი და რამდენად შეძლებს პრობლემასთან გამკლავებას საჭიროების შემთხვევაში. რაც შეეხება მეორე ნაშრომს (**№5**) - ნათელია, რომ აპლიკანტს არასწორი წარმოდგენა აქვს ჰიპერაქტიურობის შესახებ და, შესაბამისად, სტრატეგიებსაც არაადეკვატურს გვთავაზობს („*მისცეს მას ლიდერის ფუნქცია*“). შეფასების სქემის თანახმად, როდესაც აპლიკანტის პასუხი ბუნდოვანია და/ან არარელევანტური შინაარსისაა, ნაშრომი ფასდება 0 ქულით.

## დავალება №24-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალების პირობის პერიფრაზირება.** პასუხის გაცემისას აპლიკანტები საკმაოდ ხშირად პრობლემის დასაძლევად გარკვეული სტრატეგიების წარმოდგენის ნაცვლად დავალების პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზს გვთავაზობენ. აღწერენ სიტუაციას, რომელიც იქმნება კლასში ჰიპერაქტიური მოსწავლის არაადეკვატური ქცევის გამო, ან დაწვრილებით ახასიათებენ მოსწავლეს – ფაქტობრივად, საკუთარი სიტყვებით გადმოგვცემენ დავალების პირობაში მოცემულ ინფორმაციას.
- **ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობები.** ხშირია შემთხვევები, როდესაც აპლიკანტი აღწერს ადეკვატურ სტრატეგიას, მსჯელობის გასამყარებლად მოჰყავს მისაღები არგუმენტები, მაგრამ პარალელურად გვთავაზობს სტრატეგიას, რომელიც არა მხოლოდ მიუღებელია კონკრეტული პრობლემის დასაძლევად, არამედ ეწინააღმდეგება თავად აპლიკანტის მიერ უკვე გამოთქმულ მსჯელობას. რაც გვაფიქრებინებს, რომ აპლიკანტს არა აქვს გააზრებული ცოდნა და გაუჭირდება მსგავსი პრობლემის დაძლევა.
- **პრობლემის არსის არაადეკვატური გააზრება.** აპლიკანტებს ყურადღების მიღმა რჩებათ მოსწავლის ჰიპერაქტიურობა და პრობლემად აღიქვამენ მხოლოდ იმას, რომ ის რთულად ერთვება საგაკვეთილო პროცესში. შესაბამისად, აპლიკანტთა უმეტესობა გვთავაზობს ისეთ სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებაც ადეკვატურია „ჩვეულებრივი“ ცელქი, უდისციპლინო მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად, მაგრამ სრულიად უშედეგო და გაუმართლებელიც კია ჰიპერაქტიურ მოსწავლესთან მიმართებით.

**რეკომენდაცია**

ინკლუზიური სწავლების ძირითადი ამოცანების უკეთ გააზრებისა და კონკრეტული პრობლემის შესატყვისი სტრატეგიების გაცნობის მიზნით, მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ: „სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 150-160).

## დავალება №26 გაკვეთილის შეჯამების სტრატეგიები

*მაქსიმალური ქულა – 3*


გაკვეთილის შეჯამების სტრატეგიები - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Tamar Dvali [tdvali@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: გაკვეთილის შეჯამების სტრატეგიები

შევიტყვე, რომ გუშინ წარმატებული ღია გაკვეთილი ჩაგიტარებიათ. კოლეგებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ გაკვეთილი ძალიან ეფექტურად შეაჯამეთ. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ შეჯამებას კარგად ვახერხებ, არადა, ეს ხომ გაკვეთილის ერთ-ერთი საკვანძო ნაწილია. იქნებ მირჩიოთ, შეჯამების რომელი სტრატეგიები გამოვიყენო, გაკვეთილი რომ უფრო ეფექტიანი გავხადო.

წინასწარ დიდი მადლობა.

***რას ვაფასებთ.*** მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გაკვეთილის დაგეგმვას. გაკვეთილი სასწავლო პროცესის, ერთი მთლიანი ჯაჭვის, უმნიშვნელოვანესი რგოლია, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ესგ-ით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ეს დავალება აფასებს სწორედ იმას, თუ რამდენად კარგად იცნობს პედაგოგი გაკვეთილის ეტაპებს და, კერძოდ, შეჯამებას; შეუძლია თუ არა მას გაკვეთილის ეფექტიანი დასრულება, რათა მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ და დაიმახსოვრონ მიწოდებული მასალა, არ გაუნელდეთ და, პირიქით, გაუძლიერდეთ ინტერესი ამ მასალის მიმართ.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად, ორ მითითებას უნდა უპასუხოს: (1) აღწეროს პრაქტიკული სტრატეგია, რომელიც დასახელებულ პრობლემას გადაჭრის და (2) დაასაბუთოს, თუ რატომ შეუწყობს ხელს აღწერილი სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, დასახელებული და აღწერილია გაკვეთილის შეჯამების ადეკვატური სტრატეგია და დასაბუთებულია/განმარტებულია, რატომ იქნება გაკვეთილის დასასრული ეფექტიანი ამ სტრატეგიის გამოყენებით.

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომების ნიმუშები.

### ნიმუში №1

*პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.*



**განმარტება.** აპლიკანტი აღწერს ადეკვატურ და არაშაბლონურ სტრატეგიას. მნიშვნელოვანი ამ სტრატეგიაში ის არის, რომ მთელი კლასი ერთმანეთის ნამუშევრების გაცნობით იაზრებს მასალის/საკითხის ღირებულებას, მის პრაქტიკულ დანიშნულებას. აღწერას მოსდევს ლაკონიური, მაგრამ არსებითი დასაბუთება, რომელიც სწორედ იმას გვიჩვენებს, რატომ არის აღწერილი სტრატეგია ეფექტიანი მოსწავლეებისათვის. პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, ამიტომაც ნაშრომი შეფასდა 3 ქულით.

### ნიმუში №2

*პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტი სქემატურად აღწერს გაკვეთილის შეჯამებისათვის ადეკვატურ სტრატეგიას (3, 2, 1), ასაბუთებს, რა დახმარებას გაუწევს იგი თავად პედაგოგს შემდგომი გაკვეთილის დაგეგმვაში და არა გაკვეთილის ეფექტიან შეჯამებაში. პასუხში მკაფიოდ არ ჩანს, რამდენად შეუწყობს ის ხელს მოსწავლეების მიერ გაკვეთილის მთლიანობითად აღქმას, მასალის გააზრებასა და ხანგრძლივ დამახსოვრებას, მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნებას და სხვ. ზოგადად, ნაშრომში ვლინდება საკითხის ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი, თუმცა პასუხი ორივე მითითებაზე სქემატურია, ამიტომ შეფასების სქემის მიხედვით, ნაშრომი შეფასდა 2 ქულით.

**ნიმუში №3**

*პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*


26. გამოყოთ და მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ არსებითი და მნიშვნელოვანი ფაქტები.

ყურადღება გაამახვილოთ ეხლა არსებულ და ახლად შეძენილ ცოდნის ურთიერთკავშირზე.

***განმარტება.*** აპლიკანტი სქემატურად (არ ჩანს, ვინ ასრულებს დასახელებულ მოქმედებებს – მასწავლებელი თუ მოსწავლეები) აღწერს ერთ ადეკვატურ სტრატეგიას (არსებითი და მნიშვნელოვანი ფაქტების გამოყოფა და მკაფიოდ ჩამოყალიბება) და სწორად მიუთითებს იმაზე, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს არსებული და ახლად შეძენილი ცოდნის ურთიერთკავშირზე. ნაწერის მიხედვით ძნელია იმის გარკვევა, ეს არის ერთი სტრატეგიის აღწერის მცდელობა თუ ორი სტრატეგიის დასახელება. ორივე შემთხვევაში, შეფასების სქემის მიხედვით, ნაწერი იმსახურებს 1 ქულას, რადგან *„პასუხი მოიცავს ორი სავალდებულო მითითებიდან მხოლოდ ერთს – სტრატეგიის სქემატურ აღწერას. დასაბუთება საერთოდ არ არის“*, ან *„ასახელებს რამდენიმე (ორზე მეტ) ადეკვატურ სტრატეგიას მათი დეტალური აღწერისა და დასაბუთების გარეშე“* (იხ. დანართი 2).

**ნიმუში №4**

*პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



26. შეჯამება გაკვეთილის ერთ-ერთი საკვანძო და მნიშვნელოვანი ნაწილია. მასწავლებელი სწორად უნდა იყენებდეს შეჯამების სტრატეგიებს.
მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს [illegible] განმავითარებელი ტიპის შეჯამების სტრატეგიები.

***განმარტება.*** პასუხის პირველ ნაწილში აპლიკანტი იმეორებს დავალების პირობის ფრაზას შეჯამების მნიშვნელობის შესახებ და იფარგლება ზოგადი „რეკომენდაციით“, რომ *„მასწავლებელი სწორად უნდა იყენებდეს შეჯამების სტრატეგიებს“.* მეორე ნაწილში პასუხი ბუნდოვანია, გაურკვეველია, რას გულისხმობს აპლიკანტი „განმავითარებელი ტიპის შეჯამების სტრატეგიაში“. თავისთავად, განმავითარებელი შეფასების გამოყენება გაკვეთილის ბოლოს შეიძლება მივიჩნიოთ შეჯამების ერთ-ერთ სტრატეგიად იმისდა მიხედვით, როგორ და რა კონტექსტში ახორციელებს ამას მასწავლებელი, მაგრამ ეს აპლოკანტის პასუხში არ იკითხება. ამიტომ ნაშრომი შეფასდა 0 ქულით.

## დავალება №26-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები

- **პრობლემები დავალების პირობის გააზრებაში.** გაკვეთილის შეჯამების სტრატეგიის აღწერის ნაცვლად აპლიკანტთა ნაწილი საუბრობს შემაჯამებელი შეფასების ფორმებზე, რაც დავალების პირობის არასწორ გაგებაზე მიუთითებს.
- **არასწორი აქცენტები.** სტრატეგიის ადეკვატურობის დასაბუთებისას აპლიკანტები საუბრობენ იმაზე, თუ რით არის ეს სტრატეგია მნიშვნელოვანი თავად მასწავლებლისათვის (ეხმარება მომდევნო გაკვეთილის დაგეგმვაში, საკუთარი საქმიანობის რეფლექსიაში), რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ მხედველობიდან რჩებათ, რას აძლევს აღწერილი ქმედება მოსწავლეს.
- **ზოგადი მსჯელობები.** მასწავლებელთა ნაწილი მსჯელობს ზოგადად გაკვეთილის დაგეგმვისა და, კერძოდ, შეჯამების მნიშვნელობაზე, მაგრამ არ აღწერს კონკრეტულ სტრატეგიას, რაც არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, იცის თუ არა აპლიკანტმა საკითხი.

### რეკომენდაცია

ამ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ ეფექტიანი სწავლება (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 125-147), რ. მარზანო, ეფექტური სწავლება სკოლაში (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009, გვ. 33-57).

## ღიადაბოლოებიანი დავალების შესრულებისას ხშირად დაშვებული შეცდომები

- **შინაარსიის რელევანტურობა.** ღია დავალების შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია შინაარსიის რელევანტურობა – იმისათვის, რომ ყველა სხვა კრიტერიუმით დავალების პასუხი შეფასდეს, იგი, პირველ რიგში, უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ პირობებს და თანდართულ შეკითხვას/მითითებებს. აპლიკანტთა ნაწილი ყურადღებას არ აქცევდა თანდართულ შეკითხვას/მითითებებს. შედეგად ვიღებდით შეუსაბამო, არარელევანტურ პასუხს. **იმისთვის, რომ დავალება გასწორდეს, პასუხი უნდა შეესაბამებოდეს კითხვის შინაარსს.**
- **ზოგადი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ.** აპლიკანტების მიერ დაშვებული ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შეცდომა არის ის, რომ დასმულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხის ნაცვლად, აპლიკანტები საკითხის შესახებ ზოგადად მსჯელობენ – საუბრობენ თემის მნიშვნელოვნებაზე, მის როლზე მასწავლებლის პროფესიაში და ა.შ. ხშირად პრობლემის დაძლევის **კონკრეტული** გზების აღწერის ნაცვლად აპლიკანტები შემოიფარგლებიან ზოგადი ფრაზებით. ამგვარ ფრაზებში არ ჩანს პედაგოგის კომპეტენცია და უნარები. ზოგადი პასუხი არ გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენად შეუძლია აპლიკანტს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა.
- **დავალების მითითების უგულებელყოფა**. ღიადაბოლოებიან დავალებათა უმეტესობა აპლიკანტისაგან რამდენიმე კომპონენტიან პასუხს მოითხოვს, შესაბამისად, მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტმა ამომწურავად უპასუხოს პირობაში მითითებულ ყველა კომპონენტს. პასუხები, რომლებშიც დავალების პირობის მხოლოდ ნაწილია შესრულებული, არ მიიჩნევა სრულად და ერთ-ერთ კომპონენტზე სწორი და სრული პასუხის შემთხვევაშიც კი არ ფასდება მაქსიმალური ქულით. ჩვეულებრივ, აპლიკანტები უფრო ხშირად ასახელებენ პრობლემის გადაჭრის გზას, მაგრამ *ნაკლებად გვხვდება დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხები.*
- **დავალებაში აღწერილი სიტუაციის პერიფრაზირება.** აპლიკანტის ნაშრომებში ხშირად მოცემულია დავალების პირობაში წარმოდგენილი ინფორმაციის ციტირება ან პერიფრაზი. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სტრატეგიის

აღწერის ნაცვლად, აპლიკანტები ყოველგვარი კომენტირებისა და ინტერპრეტაციის გარეშე აღწერენ სიტუაციას.

- **არგუმენტაციის სიმწირე.** აპლიკანტების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს იმის დასაბუთებას, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ესა თუ ის სტრატეგია კონკრეტული უნარის განსავითარებლად ან პრობლემის გადასაჭრელად. უფრო ხშირად არგუმენტები იმდენად ზოგადი და უნივერსალურია, რომ არ გვაძლევს ინფორმაციას აპლიკანტის ცოდნისა და უნარების შესახებ.
- **ვრცელი, მაგრამ არასრული პასუხი.** ღიადაბოლოებიანი დავალებების პირობაში, როგორც წესი, მითითებულია, თუ კონკრეტულად რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს „კარგი“ პასუხი. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც აპლიკანტები ასახელებენ ერთზე მეტ სტრატეგიას ან რაიმე სხვა მიზეზით აჭარბებენ პასუხის მოთხოვნილ მოცულობას. ბუნებრივია, ამგვარი, ვრცელი პასუხები თავისთავად არ ჩაითვლება შეცდომად, თუმცა საყურადღებოა ის გარემოება, რომ საკმარისზე მეტი კომპონენტის აღწერაზე აპლიკანტს მეტი დრო და პასუხისთვის გამოყოფილი უფრო დიდი ადგილი სჭირდება, რაც პასუხის გამართულად, ამომწურავად და თანმიმდევრულად ფორმულირების ამოცანას რისკის ქვეშ აყენებს. აპლიკანტი ან „ხტება“ ერთი სტრატეგიიდან მეორეზე დავალების პირობასთან მათი ლოგიკური კავშირის წარმოჩენის გარეშე, ან ყურადღების მიღმა ტოვებს დავალების პირობის სხვა (მაგ., დასაბუთების) კომპონენტებს, რის გამოც გაცემული პასუხის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს.
- **დავალების პირობის გააზრების პრობლემა.** ზოგიერთი აპლიკანტი არ უკვირდება დავალების პირობაში აღწერილ სიტუაციას. მაგალითად, თუ სიტუაციაში აღწერილია, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს გარკვეული ტიპის დავალებას, აპლიკანტები მითითებაზე პასუხის ნაცვლად აღწერენ, თავად როგორ შეასრულებდნენ ამ დავალებას.
- **ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობების შემცველი პასუხი.** ხშირია შემთხვევები, როდესაც აპლიკანტი პრობლემის გადასაჭრელად გვთავაზობს ორ სტრატეგიას, რომელთაგან ერთი ადეკვატურია, ხოლო მეორე სრულიად არაადეკვატური, მეტიც, წინააღმდეგობრივი. ხშირ შემთხვევაში მსგავს შეცდომას განაპირობებს საკითხის გაუაზრებელი ცოდნა.

ამგვარ პრობლემებს რომ თავი დავაღწიოთ, გთავაზობთ ზოგად რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ყველა ტიპის ღია დავალებებზე მუშაობის დროს; რეკომენდაციები შემუშავებულია მასწავლებელთა ნამუშევრებში არსებული ხარვეზებისა და ტიპური შეცდომების გათვალისწინებით.

***რეკომენდაციები***

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, საკითხზე პასუხის გაცემისას გაითვალისწინეთ დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია და თქვენი მსჯელობა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმართეთ.
- დავალების პირობის შემდეგ ყურადღებით წაიკითხეთ, რას მოითხოვენ თქვენგან; დავალებათა უმეტესობას თან ერთვის მითითებები, რომლებიც გეხმარებათ იმის განსაზღვრაში, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მსჯელობა და რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს პასუხი.
- ყურადღება მიაქციეთ, რამდენ მითითებაზე ითხოვს პასუხს თქვენგან დავალება. უპასუხეთ ყველა მითითებას – პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს ყველა კითხვას / მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალება. გახსოვდეთ, თუ გთხოვენ, აღწეროთ პრობლემის გადაჭრის ორი გზა, შეფასდება თქვენ მიერ ადეკვატურად დაწერილი ორი პასუხი. მესამე ან მეტი ვარიანტის შემოთავაზების შემთხვევაში დამატებითი ქულები არ იწერება.
- ნუ გასცდებით დავალების პირობასა და მითითებებს. თქვენი პასუხი უნდა იყოს ზუსტი და ლაკონიური. ქულა იწერება კონკრეტულ პასუხებში. შეეცადეთ, თავი აარიდოთ მოცემული საკითხის შესახებ ზოგად მსჯელობებსა და შეფასებებს.
- პასუხის გაცემისას თავი აარიდეთ ტესტში მოცემული ინფორმაციის გამეორებას/პერიფრაზს. შეფასების სქემაში მკაფიოდ წერია, რომ ღია დავალება სწორდება იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: (1) შეესაბამება მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორადაა გააზრებული, (2) არ წარმოადგენს დავალების პირობის პერიფრაზს. მაგ., იმ შემთხვევაში, თუ დავალება მოითხოვს პრობლემის გადასაჭრელი სტრატეგიის აღწერასა და მისი ეფექტიანობის დასაბუთებას, **დავალების პირობაში**

**მოცემული ინფორმაციის/ფაქტების მხოლოდ ციტირება ან სხვა სიტყვებით გადმოცემა არ მიიჩნევა სწორ პასუხად.**

- სასურველია, თქვენი ნაწერი არ გასცდეს პასუხისათვის განკუთვნილ არეს. ტესტის ბუკლეტში შეგიძლიათ დაწეროთ პასუხის გეგმა ან სრულყოფილი პასუხი. **მაგრამ გახსოვდეთ, რომ სწორდება არა ტესტის ბუკლეტი, არამედ პასუხების ფურცელი.** ყურადღება მიაქციეთ, რა მოცულობის არეა გამოყოფილი პასუხების ფურცელზე კონკრეტული დავალებისთვის, შესაბამისად, განსაზღვრეთ, რა მოცულობის ტექსტით უნდა უპასუხოთ დავალებაში მოცემულ მითითებებს. **გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ტექსტის ის ნაწილი, რომელიც პასუხისთვის სპეციალურად გამოყოფილ არეს გასცდება.**

## 2.2. დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

ტესტური დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“ პროფესიული უნარების ტესტში გამოყენებულია იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად იცნობს აპლიკანტი პედაგოგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს. ამ ტიპის დავალებაში აღწერილია გარკვეული სიტუაცია (დავალების პირობა), შემდეგ კი მოცემულია რამდენიმე დებულება. აპლიკანტი ყურადღებით უნდა გაეცნოს სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელოს თანდართული დებულებების ჭეშმარიტება/მცდარობაზე. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი დებულებას ჭეშმარიტად მიიჩნევს, მან მხოლოდ უნდა მონიშნოს შესაბამისი პასუხი დასაბუთების ან კომენტარების გარეშე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი მოცემულ დებულებას მცდარად მიიჩნევს, მას მოეთხოვება, ჩაწეროს იგი სწორი ფორმით – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განმარტოს, როგორ უნდა იყოს ფორმულირებული ეს დებულება (გაასწოროს შეცდომა).

ამ ტიპის დავალებების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად განვიხილოთ 2012 წლის სასერტიფიკაციო ტესტის I ვარიანტში წარმოდგენილი დავალებები.

### დავალებები №41– 45 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

*სკოლის დირექტორისთვის ცნობილი გახდა, რომ მე-11 კლასის მოსწავლეებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს ბიოლოგიის გაკვეთილი. ბავშვები ითხოვდნენ მასწავლებლის შეცვლას მისი არაკომპეტენტურობისა და არაობიექტურობის გამო. ბავშვების პროტესტს მშობლებმაც დაუჭირეს მხარი. მათი აზრით, ამ პირობებში მოსწავლეები ვერ ჩააბარებდნენ საატესტატო გამოცდას. მშობლები რამდენჯერმე შეიკრიბნენ სკოლაში პროტესტის გამოსახატავად. შეხვედრები, როგორც წესი, არ იყო შეთანხმებული დირექციასთან, თუმცა ზოგჯერ მათ სკოლის ადმინისტრაციაც ესწრებოდა.*

*შექმნილ ვითარებაში გარკვევა დირექტორმა სკოლის მანდატურს დაავალა. პარალელურად მან ბიოლოგიის კათედრას ტესტით მოსწავლეთა ცოდნის შეფასება სთხოვა. დირექტორის ამგვარმა რეაგირებამ უფრო შეავულიანა მშობლები და მათ სკოლაში განათლების ხარისხის კონტროლის მიზნით სპეციალური გაერთიანების ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. სკოლის დირექცია მიესალმა მშობელთა ამ ინიციატივას და გაერთიანებაში ჩართვის მიზნით სკოლის ერთი თანამშრომელიც კი გამოყო.*

41. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლეთა მშობლებს ჰქონდათ დირექციის გაფრთხილების გარეშე სკოლაში შეკრებების უფლება, თუ ეს შეხვედრები ემთხვეოდა არასაგაკვეთილო დროს.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

42. სკოლის დირექციას ჰქონდა მშობელთა შეკრებაზე დასწრების კანონიერი უფლება, მათგან მოწვევის გარეშეც, თუკი ადმინისტრაცია ამის საჭიროებას ხედავდა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

43. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მანდატური უფლებამოსილია, გამოიკვლიოს მოსწავლეთა და მშობელთა პრეტენზიების საფუძვლიანობა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

44. მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებს მშობლებს სხვადასხვა გაერთიანების ჩამოყალიბების უფლებას, მათ შორის განათლების ხარისხის კონტროლის მიზნითაც.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

45. დაუშვებელია სკოლის დირექციის ჩარევა მოსწავლეთა მშობლების მიერ ჩამოყალიბებული გაერთიანების საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

***რას ვაფასებთ***. ამ დავალებებით ფასდება ის, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი სკოლასთან, პედაგოგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს. კერძოდ, საქართველოს კანონს ზოგადი განათლების შესახებ. აპლიკანტს არ მოეთხოვება ამ კანონის ზედმიწევნით (მუხლობრივად/პუნქტობრივად) ცოდნა. დავალების მიზანია განსაზღვროს, იცის თუ არა აპლიკანტმა ამ დოკუმენტით რეგულირებული სამართლებრივი ნორმები მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და მანდატურის უფლება-მოვალეობების შესახებ.

***შეფასების კრიტერიუმები***. ამ ტიპის დავალებებში თითოეული მსჯელობა ფასდება მაქსიმუმ ერთი ქულით. ამისათვის აპლიკანტს მოეთხოვება, აღწერილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეაფასოს თითოეული დებულების ჭეშმარიტობა-მცდარობა. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, ჭეშმარიტია 42-ე, 44-ე და 45-ე დებულებები. მათზე პასუხი მაქსიმალური, ერთი, ქულით ფასდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშვნა გაკეთდება მხოლოდ გრაფაში „ჭეშმარიტიას“ გასწვრივ, მასზე კომენტარის გაკეთება არ არის საჭირო. ხოლო 41-ე და 43-ე დავალებები მცდარია. ამ დავალებებიდან თითოეულზე პასუხი ერთი ქულით ფასდება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი სწორად მონიშნავს შესაბამის გრაფას და სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერს დებულებას კორექტულად, შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტიდან გამომდინარე (დავალების შეფასების დეტალური სქემა იხ. დანართი 2).

*საგამოცდო ნამუშევრების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ტიპის ტესტურ დავალებებზე მუშაობის დროს აპლიკანტებს სირთულეები შეექმნათ სწორედ მცდარად მოცემული დებულების კორექტულად ჩაწერის დროს. ამიტომაც თქვენს ყურადღებას მხოლოდ მათზე გავამახვილებთ.*

## ნიმუში №1

*პასუხი შეფასდა 5 ქულით.*

**41 – 45** III - პროფესიული გარემო

41. ჭ ☐ მ ☒ [illegible]

42. ჭ ☒ მ ☐

43. ჭ ☐ მ ☒ [illegible]

44. ჭ ☒ მ ☐

45. ჭ ☒ მ ☐

***განმარტება:*** მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტს სწორად აქვს გაკეთებული საჭირო აღნიშვნები – „ჭეშმარიტია“(42, 44 და 45) და „მცდარია“(41 და 43) პასუხები სწორად არის მონიშნული, ხოლო „მცდარია“ დებულებებისთვის განმარტებაც ადეკვატურია. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტი არ აზუსტებს, რომელი სამართლებრივი აქტით ხელმძღვანელობდა პასუხის გაცემისას, მისი პასუხები შეფასდა მაქსიმალური (1) ქულით. როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის სწორედ ამგვარი, ძირითადი პრინციპების დონეზე, ცოდნა სრულიად საკმარისია „ჭეშმარიტია-მცდარია“ დავალებებში მაქსიმალური შეფასების მისაღებად. აქედან გამომდინარე, პასუხი შეფასდა მაქსიმალური 5 ქულით.

## ნიმუში №2

*პასუხი შეფასებულია 3 ქულით*

**41 – 45** III - პროფესიული გარემო

41. ჭ ☐ მ ☐ [illegible]

42. ჭ ☒ მ ☐

43. ჭ ☒ მ ☐

44. ჭ ☒ მ ☐

45. ჭ ☒ მ ☐

**ნიმუში №3**

*პასუხი შეფასებულია 3 ქულით*



41 – 45

III - პროფესიული გარემო

41. ჭ ☒ მ ☐

42. ჭ ☒ მ ☐

43. ჭ ☐ მ ☒

44. ჭ ☒ მ ☐

45. ჭ ☒ მ ☐

**განმარტება:** ნიმუშები №2 და №3 საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ისინი „ჭეშმარიტია-მცდარია“ ტიპის დავალებებზე მუშაობისას ორ საკმაოდ ხშირად დაშვებულ შეცდომას ასახავს. №2 ნიმუში 41-ე დებულებაზე პასუხისას აპლიკანტმა „ჭეშმარიტია“ ან „მცდარია“ ვარიანტებიდან არც ერთი არ აირჩია, თუმცა დაწერა კომენტარი. ასეთ შემთხვევაში, კომენტარის მართებულობა-მცარობა არ განიხილება, პასუხი მიიჩნევა მცდარად და ფასდება ნული ქულით. მას სწორად აქვს მონიშნული პასუხები 42-ე, 44-ე და 45-ე დავალებებზე და, შესაბამისად, შეფასებულია 3 ქულით. რაც შეეხება №3 ნიმუშში აპლიკანტის პასუხებს, აღსანიშნავია, რომ 43-ე დებულებაზე აპლიკანტმა სწორად მონიშნა პასუხი „მცდარია“, თუმცა არ დაურთო კომენტარი და ამიტომ პასუხი შეფასდა 0 ქულით. ვფიქრობთ, აპლიკანტებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია და გაითვალისწინონ მოთხოვნა – თუ დებულებას მიიჩნევენ მცდარად, ის აუცილებლად ჩაწერონ კორექტული (სწორი) ფორმით.

**ნიმუში №4**

*პასუხი შეფასებულია 3 ქულით*


41 – 45

III - პროფესიული გარემო

41. ჭ ☐ მ ☒

42. ჭ ☒ მ ☐

43. ჭ ☒ მ ☐

44. ჭ ☒ მ ☐

45. ჭ ☒ მ ☐

***განმარტება.*** აპლიკანტების პასუხების ანალიზისას გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია – ხშირია შემთხვევები, როდესაც პასუხი აცდენილია კითხვას. მაგალითად, 41-ე დებულების მცდარობის განმარტების დროს სკოლის ტერიტორიაზე შეკრების თავისუფლებასა და მშობელთა უფლება-ვალდებულებებზე მსჯელობის ნაცვლად აპლიკანტები საუბრობდნენ დირექციისა და პედაგოგების უფლებამოსილებაზე, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებაზე და სხვ. სწორედ ეს შემთხვევაა წარმოდგენილი მე-4 ნიმუშში. აპლიკანტი მსჯელობს დირექტორის უფლებამოსილებაზე და არაფერს ამბობს დებულებაში დასმულ საკითხზე. ამ შემთხვევაშიც „ჭეშმარიტია“ პასუხები (42, 44, 45) სწორადაა მონიშნული, 43-ე დებულებაზე პასუხი არაა გაცემული და აპლიკანტის პასუხი შეფასებულია 3 ქულით.

**ნიმუში №5**

პასუხი შეფასებულია 3 ქულით



41 – 45

III - პროფესიული გარემო

| | | |
|---|---|---|
| 41. | ჭ ☒ | მ ☐ |
| 42. | ჭ ☒ | მ ☐ |
| 43. | ჭ ☐ | მ ☒ [illegible] |
| 44. | ჭ ☒ | მ ☐ |
| 45. | ჭ ☒ | მ ☐ |

***განმარტება***. „ჭეშმარიტია-მცდარია" ტიპის დავალებებში ყველაზე ხშირად გვხვდებოდა დავალების პირობის შებრუნება. ამ შეცდომის საილუსტრაციოდაა წარმოდგენილი მოცემული ნიმუში. აპლიკანტი უბრალოდ უარყოფს 43-ე დებულებას, მაშინ, როდესაც ის ვალდებული იყო მიეთითებინა დებულება კორექტული ფორმით, ესაუბრა მანდატურის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებზე. შეფასების სქემის თანახმად, ამგვარ შემთხვევებში პასუხი ქულას არ იმსახურებს.

## ტიპური შეცდომები

- **„ჭეშმარიტი" პასუხის დასაბუთება.** დავალების ინსტრუქციაში ხაზგასმულია, რომ დასაბუთება (კორექტული ფორმით პასუხის ჩაწერა) საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტი მიიჩნევს, რომ დებულება მცდარია. „ჭეშმარიტია"-ს მონიშვნის დროს კომენტარი არ არის საჭირო.
- **„მცდარია" პასუხის დასაბუთება დავალების პირობის შებრუნებით.** ხშირად აპლიკანტები ცდილობდნენ „მცდარია" პასუხის დასაბუთებას დავალების პირობაში მოცემული ტექსტის შებრუნებით.

**რეკომენდაციები დავალება „ჭეშმარიტია-მცდარიას“ შესრულებისათვის:**

- ყოველ კონკრეტულ დებულებაზე პასუხის გაცემის დროს მოცემული პასუხის ორი ვარიანტიდან მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი („ჭეშმარიტია“ ან „მცდარია“);
- მცდარად ფორმულირებული პასუხის კორექტული ფორმით ჩაწერის დროს აპლიკანტს არ მოეთხოვება კანონის შესაბამისი მუხლების ან კონკრეტული პუნქტების მითითება. სრულიად საკმარისია, აპლიკანტმა გამოავლინოს, რომ მისთვის გასაგებია კანონის შესაბამისი ნორმის არსი.
- გაითვალისწინეთ, თუ დებულების რომელიმე ნაწილი მცდარია, მაშინ მთლიანი დებულებაც მცდარია – თუ წინადადების რომელიმე ნაწილი მცდარია, მაშინ ის მთლიანად მცდარია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწილი ჭეშმარიტია.
- თავი აარიდეთ მოცემული დებულების შებრუნებას. პოზიტიური ფორმით ფორმულირებული დებულების (მაგალითად, მასწავლებელს უფლება აქვს...) მხოლოდ უარყოფით ფორმაში გადაყვანა (მასწავლებელს უფლება არა აქვს...) არ მიიჩნევა სწორ პასუხად, და – პირიქით. უნდა განიმარტოს, რისი უფლება აქვს ან არა აქვს პედაგოგს მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

# 2.3 არჩევითპასუხიანი დავალებები

დავალებები არჩევითი პასუხით შედგება მოცემულობის/პირობისაგან, შეკითხვისა და სავარაუდო პასუხებისაგან. ამ ტიპის დავალებას ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგანაც ***სწორი მხოლოდ ერთია.*** არჩევითპასუხიანი დავალებები ფასდება 1 ქულით.

პროფესიული უნარების ტესტში სხვადასხვა სახის ე.წ. დახურულბოლოიანი ანუ არჩევითპასუხიანი დავალებაა გამოყენებული: *კითხვის ფორმით მოცემული დავალება, არასრული მოცემულობა, ილუსტრირებული მოცემულობა, რთული პირობა-სტიმული, რამდენიმე პასუხის მოთხოვნა, დავალება ნეგატივის (უარყოფის) შემცველი ფორმულირებით, მიზანი და მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები.*

(1) **კითხვის ფორმით მოცემული დავალება**. დავალების ეს ფორმა მარტივია, შეკითხვა პირდაპირაა დასმული და ნაკლებ სავარაუდოა, შეიქმნას რაიმე პრობლემა დავალების გაგებასთან დაკავშირებით.

**ნიმუში**

საშინაო დავალება სასწავლო პროცესის არსებითი ნაწილია. იგი არა მხოლოდ ცოდნის შეძენასა და გამყარებას უწყობს ხელს, არამედ ისეთ უმნიშვნელოვანეს უნარებსაც ავითარებს მოსწავლეებში, როგორიცაა დამოუკიდებლად სწავლა, კვლევა-ძიება და სხვა.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ საშინაო დავალების სამ ფორმას: პრაქტიკულ, მოსამზადებელ და გაღრმავების დავალებას.

აღწერილთაგან რომელი წარმოადგენს მოსამზადებელი დავალების ნიმუშს?

ა) მე-19 საუკუნის პოეზიის ახსნამდე მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ამ ეპოქის შესახებ ისტორიული ცნობების მოძიებას.
ბ) შესაბამისი თემის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს თითოეული გეოგრაფიული სარტყლისთვის დამახასიათებელი თვისებების აღწერას.
გ) ფართობის გამოანგარიშების წესის ახსნის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს გამოთვალონ თავიანთი საძინებელი ოთახის ფართობი.
დ) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ადამიანის ნივთიერებათა ცვლის პროცესის მექანიზმები მიუსადაგონ ქიმიაში შესწავლილ კანონზომიერებებს.

*პროფესიული უნარების ტესტი. I ვარიანტი. დავალება №1. სწორი პასუხი: ა.*

(2) **რთული პირობა/სტიმული**. პირობაში აღწერილია სიტუაცია, მოყვანილია ფაქტები, მაგალითები, რომელთა გაცნობის შემდეგაც უნდა უპასუხოთ შეკითხვას.

**ნიმუში**

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება ასახავს *პორტფოლიოს (საქაღალდის) მეთოდის* უპირატესობას შეფასების სხვა მეთოდებთან შედარებით?

პორტფოლიოს მეთოდი:

ა) გამორიცხავს მასწავლებლის სუბიექტურობას მოსწავლის შეფასების დროს.
ბ) იძლევა მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას.
გ) ზოგავს მასწავლებლის დროსა და ენერგიას, აადვილებს შეფასების პროცესს.
დ) იძლევა კლასში მოსწავლეთა შედეგების ერთმანეთთან შედარების საშუალებას.

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №15 სწორი პასუხი: ბ.*

(3) **რამდენიმე პასუხის მოთხოვნა –** ასეთი ფორმატის დავალებები იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ჩამოთვლილ დებულებათაგან ერთი ან ერთზე მეტია მართებული. აპლიკანტი ყურადღებით უნდა გაეცნოს დავლების პირობასა და რომაული ციფრებით აღნიშნულ დებულებებს, შემდეგ კი სავარუდო პასუხებს. რომაული ციფრებით აღნიშნული დებულებები პირობის ნაწილია. ასეთი ტიპის დავალებებში სავარაუდო პასუხები, ისევე, როგორც სხვა არჩევითპასუხიან დავალებებში, ანბანით არის აღნიშნული, თუმცა, განსხვავებულადაა ფორმულირებული: მაგ., სწორია მხოლოდ I, სწორია I და III და სხვ. ან მხოლოდ I, მხოლოდ I და III და სხვ.

**ნიმუში**

ქიმიის მასწავლებლის მიერ შეთავაზებული რომელი აქტივობა/აქტივობები შეუწყობს ხელს მოსწავლეთა კვლევითი უნარის განვითარებას?

I. მოსწავლეებმა ცდის საფუძველზე განსაზღვრონ ნივთიერებათა თვისებები და დაადგინონ, რა პრაქტიკული გამოყენება შეიძლება ჰქონდეს ამ ნივთიერებებს.
II. მოსწავლეებმა მოიძიონ ინფორმაცია ნივთიერებათა თვისებების შესახებ და დაადგინონ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები.
III. მოსწავლეებმა სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე აღწერონ ნივთიერებების თვისებები.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ III
დ) მხოლოდ II და III

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №17 სწორი პასუხი: ბ.*

(4) **არჩევითპასუხიანი დავალება ნეგატივის (უარყოფის) შემცველი ფორმულირებით** (დავალებები, რომელთა კითხვაში ფიგურირებს სიტყვები: ***არ არის შესაძლებელი, არ გამომდინარეობს, არ შეესაბამება*** და ა.შ.). ამ ტიპის დავალება ტესტში შედარებით იშვიათად შეგხვდებათ. მასზე მუშაობისას ყურადღებიდან არ გამოგრჩეთ კითხვის ნეგატივის შემცველი ფორმულირება, ის გამუქებული და ხაზგასმულია.

**ნიმუში**

სწავლის დაქვეითებული უნარის მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვისათვის აუცილებელია სასწავლო გეგმის ცვლილება (მოდიფიკაცია) მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით.

ჩამოთვლილთაგან რა სახის ცვლილება არ არის მიზანშეწონილი ასეთ შემთხვევაში?

ა) სასწავლო მასალის გამარტივება (მაგალითად, თუ მოსწავლეს უჭირს ჩვეულებრივი სირთულის ტექსტების კითხვა, მასწავლებელი მათ ამარტივებს; ამარტივებს რთულ წინადადებებს, უცხო და რთულ სიტყვებს ცვლის სსსმ მოსწავლისთვის ნაცნობი სიტყვებით).
ბ) სასწავლო მასალის ფორმის ცვლილება (მაგალითად, ტექსტს, რომელიც სსსმ მოსწავლემ უნდა წაიკითხოს, მასწავლებელი მას აძლევს არა ნაწერის, არამედ თვალსაჩინო გამოსახულების, სიუჟეტური სურათების სახით).
გ) სასწავლო საქმიანობისათვის განკუთვნილი დროის ცვლილება (მაგალითად, მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს აძლევს მეტ დროს ტესტირების ან საკონტროლოს წერისას, ზრდის საშინაო დავალების შესრულებისათვის მიცემულ დროს).
დ) თავისუფლების მინიჭება დავალებების შესრულებისას (მაგალითად, მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს, მოსწავლეები მათ იწერენ რვეულში; სსსმ მოსწავლეს კი შეუძლია ამ დროს დაკავდეს მისთვის სასურველი საქმიანობით).

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №8 სწორი პასუხი: დ.*

(5). არჩევითპასუხიანი დავალება, რომელშიც აღწერილია **მიზანი და მიზნის მისაღწევად განხორციელებული აქტივობა.** აპლიკანტმა უნდა გააანალიზოს, თუ რამდენად უწყობს ხელს აქტივობა დასახული მიზნის მიღწევას. დავალებაში ორი სავარაუდო პასუხი იწყება ფრაზით „ადეკვატური არ არის, რადგან..“, ორი სავარუდო პასუხი კი ფრაზით – „ადეკვატურია, რადგან“. პირველ რიგში, უნდა წაიკითხოთ ოთხივე სავარაუდო პასუხი, გადაწყვიტოთ, აღწერილი აქტივობა

მიზნის ადეკვატურია თუ არა, შემდეგ დარჩენილი ორი სავარაუდო პასუხიდან შეარჩიოთ ერთ-ერთი. შერჩევისას ყურადღება უნდა გაამახვილოთ არგუმენტაციის ნაწილზე.

**ნიმუში**

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეთა შორის ურთიერთგაგებისა და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობა: მათემატიკის პედაგოგმა IV კლასი შემთხვევითობის პრინციპით გაყო ორ ჯგუფად და ასეთი თამაში შესთავაზა: – „ჩემი მინიშნების შემდეგ *თითოეული ჯგუფი ისე უნდა განლაგდეთ, რომ რომელიმე გეომეტრიული ფიგურა გამოისახოს. დავალება განსაზღვრულ დროში უნდა შეასრულოთ. მე დავასახელებ ფიგურას და მის „ასაგებად“ გამოყოფილ დროს. მაგალითად, მართკუთხედი უნდა შეადგინოთ 12 წმ-ში; კვადრატი – 10 წმ-ში და ა.შ. გამარჯვებული ჯგუფი დაჯილდოვდება.*“

მასწავლებლის აქტივობა დასახული მიზნის:

ა) ადეკვატურია. ჯილდოს მიღების სურვილი სტიმულს აძლევს თითოეულ მოსწავლეს, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, მოიფიქროს დავალების შესრულების საუკეთესო ხერხი და მიიყვანოს თავისი გუნდი გამარჯვებამდე.
ბ) არაადეკვატურია. შერჩეული თამაშის თემა იმდენად მარტივია, რომ ინტერესს არ აღუძრავს მოსწავლეებს და ისინი შეთავაზებულ აქტივობაში ხალისით ვერ ჩაერთვებიან.
გ) ადეკვატურია. მოსწავლეების ყურადღება მიმართულია ჯგუფის წევრებთან შეთანხმებულ მოქმედებაზე. მათ სწრაფად უნდა გაცვალონ ინფორმაცია - გამოიყენონ როგორც ვერბალური, ისე არავერბალური სტიმულები.
დ) არაადეკვატურია. დავალება ჯგუფებს შორის შეჯიბრის პრინციპზეა აგებული და შეიცავს მოსწავლეთა შორის უთანხმოებისა და დაძაბულობის რისკს, საფრთხეს უქმნის ურთიერთობებს.

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №19 სწორი პასუხი: გ.*

**რეკომენდაციები არჩევითპასუხიანი დავალებების შესასრულებლად:**

- გაიაზრეთ დავალების პირობა.
- პასუხის გაცემამდე ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვა.
- დავალებებს უპასუხეთ პირობაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- აუცილებლად წაიკითხეთ **პასუხის ყველა ვარიანტი**, ვიდრე საბოლოო პასუხზე შეჩერდებით. შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი, ერთი შეხედვით, სწორი/მსგავსი ვარიანტი. გახსოვდეთ, რომ ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთი პასუხია სწორი, ამდენად, ყურადღება მიაქციეთ პასუხების ვარიანტებში წარმოდგენილ ყველა დეტალს.
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გამუქებული ან ხაზგასმულია. მაგ., „ჩამოთვლილთაგან რომელი ***„არ არის“, „ყველაზე ადეკვატური“*** და ა. შ.
- შეკითხვები, რომლებშიც არის სიტყვები: ***„ყველაზე ნაკლებად“, „გარდა“ ან „არ“,*** მიგვითითებს იმაზე, რომ არასწორი (პირობის საწინააღმდეგო) პასუხი უნდა ამოვიცნოთ. ასეთი შეკითხვები მაშინ დაისმება, როცა ჩამონათვალში ყველა პასუხი სწორია, გარდა ერთისა.

# 2.4. შესაბამისობის დავალებები

შესაბამისობის დავალება, როგორც წესი, ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში (A) მოცემულია დავალების პირობა (მოვლენები, ფრაზები...), მეორე სვეტში კი (B) – სავარაუდო პასუხები (ტერმინები, ცნებები, ავტორები...). აპლიკანტს ევალება, სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს შეუსაბამოს.

ასეთი ტიპის დავალებებში დასაშვებია:

- B სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთ-ერთი **პასუხი იყოს სწორი** A სვეტში მოცემული ორი პირობისათვის (ორი პირობა, ერთი სწორი პასუხი).
- ალტერნატივებიდან რომელიმე სავარაუდო პასუხი **არ შეესაბამებოდეს არც ერთ მსჯელობას** A სვეტიდან.
- ერთ-ერთ სვეტში **ჩამონათვალი იყოს მეორე სვეტის ჩამონათვალზე ერთით** ნაკლები.

შესაბამისობის დავალება ფასდება მთლიანობაში, 1 ქულა მიიღება აპლიკანტის მიერ ორივე სვეტის ყველა კომპონენტის სწორად დაკავშირებისათვის.

**ნიმუში**

პროექტი, როგორც სწავლების მეთოდი, მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს. იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურება, ერთმანეთისაგან განასხვავებენ კვლევით, შემოქმედებითსა და გამოყენებით პროექტებს.

შეუსაბამეთ A სვეტში აღწერილი საპროექტო აქტივობა B სვეტში მოცემული პროექტის კონკრეტულ სახეს.

***დასაშვებია, რომ B სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთი პასუხი სწორი იყოს A სვეტში მოცემული ერთზე მეტი პირობისათვის.***

| საპროექტო აქტივობა (A) | პროექტის სახე (B) |
|---|---|
| I. მოსწავლეებმა შეისწავლეს მათ რაიონში მდებარე ისტორიული ძეგლები, მოპოვებული ინფორმაცია დაამუშავეს და წარადგინეს სასკოლო კონფერენციაზე. | ა) შემოქმედებითი<br>ბ) კვლევითი<br>გ) თეორიული<br>დ) გამოყენებითი |
| II. მოსწავლეებმა ოსკარ უაილდის ზღაპრების მიხედვით დადგეს სპექტაკლი ინგლისურ ენაზე და წარმოადგინეს სასწავლო წლის ბოლოს. | |
| III. მოსწავლეებმა დაამუშავეს საოჯახო პირობებში საპნის ხარშვის ტექნოლოგია და საკუთარი პროდუქცია გააცნეს ადგილობრივ მცხოვრებლებს. | |

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში.

(*შენიშვნა: პირველი აქტივობის შესაბამისი პასუხი უკვე ჩაწერილია ცხრილში*)

✍ *ჩაწერეთ:*

| საპროექტო აქტივობა (A) | I | II | III |
|---|---|---|---|
| პროექტის სახე (B) | ბ | | |

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №20 მაქსიმალური ქულა – 1*

## შეფასების სქემა

<table>
<tr><td>1 ქულა</td><td>თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:<br><table><tr><td>საპროექტო აქტივობა (A)</td><td>I</td><td>II</td><td>III</td></tr><tr><td>პროექტის სახე (B)</td><td>ბ</td><td>ა</td><td>დ</td></tr></table></td></tr>
<tr><td>0 ქულა</td><td>ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი</td></tr>
</table>

***რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებების შესასრულებლად:***

- გაიაზრეთ A სვეტში მოცემული მსჯელობები.
- ყურადღებით წაიკითხეთ B სვეტში მოცემული სავარაუდო პასუხის ალტერნატივები.
- აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. არ დაგავიწყდეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.
- პირველ რიგში, მონიშნეთ ის შესაბამისობა, რომლის სისწორეშიც დარწმუნებული ხართ (დავალებაზე მუშაობისას შეიძლება გამოიყენოთ ისრები შესაბამისობის აღსანიშნავად). საბოლოოდ, სწორი პასუხი უნდა ჩაიწეროს პასუხებისათვის განკუთვნილ ცხრილში.

# როგორ მოვემზადოთ პროფესიული უნარების გამოცდისათვის

თქვენ გაეცანით პროფესიული უნარების ტესტის ფორმატსა და ტესტური დავალებების ტიპურ ნიმუშებს, ტესტის შეფასების პრინციპებს. კრებულში ტესტური დავალებების გარდა, დანართის სახით წარმოდგენილია საგამოცდო პროგრამა (დანართი N 1). **ყურადღებით გაეცანით საგამოცდო პროგრამას.** საგამოცდო პროგრამა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს ეყრდნობა, მასში უფრო დეტალურადაა აღწერილი საკითხები, რომელთა ცოდნაც მოეთხოვება პედაგოგს სასერტიფიკაციო გამოცდაზე. ყურადღება მიაქციეთ, რომ *პროფესიული გარემოს* ნაწილში მნიშვნელოვნადაა შემცირებული და აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანილი იმ სამართლებრივი აქტების რაოდენობა, რომელთა ცოდნაც სტანდარტით მოეთხოვება აპლიკანტს. საგამოცდო პროგრამა კარგი გზამკვლევი იქნება სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადების პროცესში.

პედაგოგს უდიდესი პასუხისმგებლობა აქვს მომავალი თაობისა და ქვეყნის წინაშე, ამიტომაც მოითხოვს ეს პროფესია მუდმივ ზრუნვას თვითგანვითარებაზე. სასერტიფიკაციო გამოცდებს წინ უძღოდა მასწავლებელთა პროფესიული სრულყოფის პროგრამების შემუშავება და დანერგვა, დამხმარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების გამოცემა. პედაგოგთათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და სხვა აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ მომზადდა ტრენინგ-პროგრამები და ინტენსიურად ტარდება ტრენინგები.

სერტიფიცირების ძირითადი მიზანი სწორედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაა. მნიშვნელოვანია არა ერთი კონკრეტული სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადება, არამედ უწყვეტი ზრუნვა კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ დაოსტატებაზე. ეს არა მარტო სასერტიფიკაციო გამოცდის, არამედ იმ გამოცდის წარმატებით ჩაბარების წინაპირობაა, რომელსაც ყოველდღიურად თქვენი საქმიანობით „აბარებთ“ თქვენსავე მოსწავლეებს.

ყურადღებით გაეცანით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ თქვენთვის მომზადებულ გამოცემებს, სწავლების ახალ მიდგომებსა და მოდელებს, გადახედეთ თქვენთვის ხელმისაწვდომ სხვა პროფესიულ ლიტერატურას.

***გისურვებთ წარმატებას!***

# დანართი №1

## *საგამოცდო პროგრამა*

# პროფესიული უნარები

## საგამოცდო პროგრამა

## I. განვითარებისა და სწავლის თეორიები - 15%

მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე და მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

სწავლის ძირითადი თეორიები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

### განვითარებისა და სწავლის თეორიები

| | |
|---|---|
| კონსტრუქტივიზმი | ძირითადი პოსტულატები |
| ბიჰევიორიზმი | ძირითადი პოსტულატები |
| კოგნიტური განვითარების თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| სოციალური დასწავლის თეორა; | ძირითადი პოსტულატები |
| სოციო-კულტურული თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| მორალური განვითარების თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| ჰუმანისტური თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| მრავალმხრივი ინტელექტის თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| განწყობის თეორია | ძირითადი პოსტულატები |

| ავტორები | |
|---|---|
| ჟან პიაჟე – *ინტელექტის განვითარების თეორია* | ➘ კოგნიტური სქემები; კოგნიტური სქემების ფორმირება:<br>- ასიმილაცია,<br>- აკომოდაცია,<br>- კოგნიტური წონასწორობა;<br>➘ განვითარების სტადიები და მათი თავისებურებები:<br>- სენსომოტორული სტადია<br>- ოპერაციამდელი სტადია<br>- კონკრეტული ოპერაციების სტადია<br>- ფორმალური ოპერაციების სტადია |
| ლევ ვიგოტსკი – *განვითარების სოციალურ –კულტურული თეორია* | ➘ განვითარების სოციალური და კულტურული ფაქტორები.<br>➘ ბავშვის კოგნიტური განვითარება – განვითარების აქტუალური ზონა, განვითარების უახლოესი ზონა.<br>➘ ბავშვის განვითარების ხელშეწყობა – მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონის აქტუალური განვითარების ზონად გარდაქმნის ხელშეწყობა. |
| ლორენს კოლბერგი – *მორალური განვითარების თეორია.* | ➘ კოლბერგის მორალური განვითარების ძირითადი დონეები:<br>- პრეკონვენციური<br>- კონვენციური<br>- პოსტკონვენციური<br>➘ მოსწავლეთა მორალური განვითარების დონის დადგენა.<br>➘ მოსწავლეთა მორალური განვითარების ხელშეწყობა. |
| ალბერტ ბანდურა – *სოციალურ –კოგნიტური დასწავლის თეორია* | ➘ სოციალური ფაქტორების როლი სწავლისა და სწავლების პროცესში.<br>➘ სოციალური მოდელირება (მოდელის თვისებები).<br>➘ დაკვრებით სწავლისათის აუცილებელი ფაქტორები (ყურადღება, დამახსოვრება, გამეორება, მოტივაცია).<br>➘ ქცევისა და გარემოს ურთიერთმიმართება |
| ბერას ფ. სკინერი – *ოპერანტული განპირობებულობის თეორია* | ➘ სკინერის თეორიის ძირითადი პოსტულატები.<br>➘ ოპერანტული განპირობებულობა.<br>➘ პოზიტიური და ნეგატიური განმამტკიცებელი სტიმულები.<br>➘ პოზიტიური და ნეგატიური დასჯა.<br>➘ მოტივირების ბიჰევიორისტული ფორმები.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| აბრაჰამ მასლოუ – *მოტივაციის იერარქიული თეორია* | ➘ მოთხოვნილებათა იერარქია.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |

| | |
|---|---|
| ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲣᲖᲜᲐᲫᲔ – *განწყობის თეორია* | ➘ ფუნქციონალური ტენდენცია.<br>➘ ადამიანის ქცევის ფორმათა კლასიფიკაცია:<br>- ინტროგენული.<br>- ექსტეროგენული.<br>➘ სწავლა-როგორც ქცევის განსაკუთრებული ფორმა;<br>- თამაშით სწავლა.<br>➘ აღზრდის ძირითადი ტრაგედია.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ᲓᲔᲕᲘᲓ ᲞᲔᲠᲙᲘᲜᲡᲘ – *განათლების თეორია:* | ➘ ადამიანის მეტაკოგნიტური განვითარება.<br>➘ ეფექტიანი სწავლების პრინციპები.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ᲰᲝᲕᲐᲠᲓ ᲒᲐᲠᲓᲜᲔᲠᲘ - *მრავალმხრივი ინტელექტის თეორია* | ➘ ინტელექტის ძირითადი ტიპები.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ᲯᲔᲠᲝᲛ ᲑᲠᲣᲜᲔᲠᲘ – *აღმოჩენებით სწავლის თეორია* | ➘ ფაქტორები, რომელიც განაპირობებს აღმოჩენებით სწავლის ეფექტურობას:<br>- განწყობა,<br>- სწავლისადმი მზაობა,<br>- სწავლის მრავალფეროვნება,<br>- სპირალური კურიკულუმი.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ᲯᲝᲜ ᲓᲘᲣᲘ – *სწავლა გამოცდილებით* | ➘ სკოლა-ლაბორატორია და სწავლა გამოცდილებით.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ᲙᲐᲠᲚ ᲠᲝᲯᲔᲠᲡᲘ – *ჰუმანისტური მიდგომა და სწავლა გამოცდილებით.* | ➘ მე-კონცეფცია და თვითაქტუალიზაცია.<br>➘ მასწავლებელი, როგორც ფასილიტატორი (ხელის შემწყობი).<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ᲑᲔᲜᲯᲐᲛᲘᲜ ᲑᲚᲣᲛᲘ *განათლების მიზნების ტაქსონომია* | ➘ განათლების მიზნების ტაქსონომია.<br>➘ კოგნიტური, აფექტური და ფსიქომოტორული სფეროების დონეები<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |
| ᲛᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲜᲢᲔᲡᲝᲠᲘ – *მონტესორის სკოლა* | ➘ სწავლების ძირითადი პრინციპები.<br>➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად. |

## II. სწავლება და შეფასება - 65%

1. სასწავლო გარემო

1.1. ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.
- ინდივიდუალური მიდგომები და სასწავლო გეგმები
- მულტიკულტურული და მულტილინგვური მიდგომები

1.2. ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და პრინციპები.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა:
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები
  - განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები

1.3. თითოეული მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობა:
- ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბება
- კონფლიქტის პრევენცია, კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარება
- მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება
- დამოუკიდებელი აზრის თავისუფლად გამოხატვა.

1.4. სასწავლო ფიზიკური გარემოს მოწყობა ეფექტიანი სწავლებისათვის მიზნის მისაღწევად:
- სასწავლო რესურსების, ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მიზნების ადეკვატურად
- სასწავლო მიზნის და სწავლების მეთოდის ადეკვატური ფიზიკური გარემო

1.5. კლასის მართვის სტილი:
- დემოკრატიული
- ავტორიტარული
- ქაოსური

1.6. დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება.

1.7. მოსწავლეთა ქცევის მართვა ჯგუფებში, წყვილებში, დისკუსიის დროს.

1.8. მოსწავლეებისთვის საკუთარი ქცევის შეფასების, თვითმართვის უნარის ჩამოყალიბება.

1.9. მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება.

2. მოტივაცია და კომუნიკაცია

2.1. შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.

2.2. მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები.

| | |
|---|---|
| | 2.3. მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მოტივაციის სტრატეგიის შერჩევა. |
| | 2.4. კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად.<br>- ვერბალური კომუნიკაცია<br>- არავერბალური კომუნიკაცია<br>- აქტიური მოსმენა |
| | 2.5. კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლები, კოლეგები და ა.შ.) ეფექტიანი თანამშრომლობისათვის |
| | 2.6. მოსწავლეების კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა. |
| | 2.7. მოსწავლეებთან კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბება მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად. |
| | 2.8. კითხვის დასმის სტრატეგიები. |
| 3. სასწავლო პროცესი | |
| | 3.1 სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად. |
| | 3.2. გაკვეთილის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად. |
| | 3.3. გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ასპექტები:<br>- სასწავლო მიზნები<br>- მოსწავლეთა შესაძლებლობები<br>- სასწავლო აქტივობები<br>- დროის განაწილება<br>- სასწავლო რესურსები და ა.შ. |
| | 3.4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენის დროს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება. |
| | 3.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და გამოყენება. |
| 4. შეფასების მეთოდები | |
| | 4.1. შეფასების მიზნები. |
| | 4.2. შეფასების ტიპები:<br>- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება<br>- მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება |

4.3. შეფასების მეთოდები:
- ტესტირება
- პორტფოლიო
- მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი
- მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება

4.4. შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება:
- შეფასების ძირითადი პრინციპები: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა

4.5. შეფასების შედეგების გამოყენება მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის და ა.შ.

5. სწავლების სტრატეგია და მეთოდები

5.1. სწავლების მეთოდები: პირდაპირი და არაპირდაპირი, ინდუქციური და დედუქციური, სოკრატული და სხვ.

5.2. საკლასო ორგანიზაციის მოდელები:
- საერთო საკლასო მუშაობა
- ინდივიდუალური მუშაობა
- ჯგუფური მუშაობა

5.3. სწავლების სტრატეგიების ეფექტური დაგეგმვა, გამოყენება და შეფასება;
- როლური თამაშები/სიმულაციები
- დისკუსია
- პრეზენტაცია
- პროექტები
- კოგნიტური სქემები/გრაფიკული ორგანიზატორები და ა.შ.

5.4. სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები:
- კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშწყობა
- პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარების ხელშეწყობა
- შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა
- მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა

5.5. სოციალური უნარების განვითარებისა და კლასში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

## III. პროფესიული გარემო – 20%

| | |
|---|---|
| 1. კოლეგებთან ურთიერთობა | 1.1 მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობის მიზნით კოლეგებთან თანამშრომლობა.<br>1.2 ახალბედა პედაგოგისთვის გამოცდილების გაზიარება.<br>1.3 საზოგადოებასთან ურთიერთობა:<br>- სასწავლო რესურსების მოძიება |
| 2. თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა | 2.1. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა<br>2.2. მოსწავლეთა შეფასების შედეგების გამოყენება თვითშეფასების მიზნით:<br>- საკუთარი პრაქტიკის კვლევა<br>- კოლეგების გამოცდილების გაზიარება |
| 3. სამართლებრივი აქტების ცოდნა | 3.1. საქართველოს კონსტიტუცია (მე-2 თავი):<br>- ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლება.<br>3.2. „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონი.<br>3.3. ეროვნული სასწავლო გეგმა: სწავლებისა და სწავლის ძირითადი პრინციპები:<br>- საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება<br>- საგანმანათლებლო რესურსები<br>- სასკოლო სასწავლო გეგმა<br>- მოსწავლის შეფასების სისტემა<br>- ინკლუზიური განათლება<br>- ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები<br>- სავალდებულო და არჩევითი საგნები<br>3.4. შრომის კოდექსი:<br>- შრომითი ხელშეკრულება<br>- შვებულება<br>- დასვენებით სარგებლობა<br>3.5. ბავშვთა უფლებების კონვენცია<br>3.6. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ დადგენილება. |

# დანართი №2

## *შეფასების სქემა*

# შეფასების სქემა

## I ვარიანტი

დახურულბოლოიანი დავალებები

*თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1*

| დავალება | პასუხი |
|---|---|
| **1** | ა |
| **2** | ბ |
| **3** | გ |
| **4** | ბ |
| **5** | ა |
| **6** | გ |
| **7** | გ |
| **8** | დ |
| **9** | დ |
| **10** | გ |
| **11** | დ |
| **12** | დ |
| **13** | გ |
| **14** | დ |
| **15** | ბ |
| **16** | ბ |
| **17** | ბ |
| **18** | გ |
| **19** | გ |

| დავალება | პასუხი |
|---|---|
| **29** | დ |
| **30** | გ |
| **31** | ბ |
| **32** | ბ |
| **33** | ა |
| **34** | ბ |
| **35** | გ |
| **36** | ა |
| **37** | გ |
| **38** | დ |
| **39** | ა |

| დავალება №20 შესაბამისობის დავალება | *მაქსიმალური ქულა –1* |
|---|---|

აპლიკანტი ქულას იღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი დავალების თანდართულ ცხრილს შეავსებს სწორი თანმიმდევრობით

| დავალება №20 | | | |
|---|---|---|---|
| (A) | I | II | III |
| (B) | ბ | ა | დ |

| დავალება №21 | *მაქსიმალური ქულა – 4* |
|---|---|

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 4 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას. მსჯელობა არგუმენტირებულია, ლოგიკური და მკაფიო.</u> აპლიკანტი ავლენს მეთოდის გააზრებულ, დამაჯერებელ ცოდნას.<br>• აპლიკანტი **აღწერს** მეთოდის სულ მცირე ორ ეტაპს: იდეების გენერირებასა და იდეების გადახედვას / შეფასებას ან იდეების კლასიფიკაცია-კატეგორიზაციას.<br>• **ასახელებს** ისეთ **ადეკვატურ პირობას/მოთხოვნას,** რომელიც უზრუნველყოფს მეთოდის ეფექტიან გამოყენებას.<br>• ასაბუთებს, **რატომ** არის მნიშვნელოვანი ამ პირობის დაცვა, რატომ უწყობს ის ხელს მეთოდის ეფექტიან გამოყენებას. მსჯელობა დამაჯერებელია, გამყარებული სპეციფიკური არგუმენტებით. |
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური.</u> ჩანს, რომ ესმის მეთოდის არსი, თუმცა რომელიმე ერთ მითითებაზე პასუხი ზოგადია და/ან სქემატური.<br>• აპლიკანტი **აღწერს** "გონებრივი იერიშის" **მხოლოდ ერთ ეტაპს:** იდეების გენერირებას.<br>• **ასახელებს** ისეთ **ადეკვატურ პირობას/მოთხოვნას,** რომელიც უზრუნველყოფს მეთოდის ეფექტიან გამოყენებას.<br>• **ასაბუთებს,** რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პირობის დაცვა, რატომ უწყობს ის ხელს მეთოდის ეფექტიან გამოყენებას. დასაბუთება დამაჯერებელია.<br>ან<br>• აპლიკანტი **აღწერს** "გონებრივი იერიშის" სულ მცირე ორ ეტაპს.<br>• **ასახელებს** ისეთ **ადეკვატურ პირობას/მოთხოვნას,** რომელიც უზრუნველყოფს მეთოდის ეფექტიან გამოყენებას.<br>• **ასაბუთებს,** რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პირობის დაცვა, თუმცა **დასაბუთება სქემატურია, ზოგადი და უნივერსალური** ან |

| | |
|---|---|
| | დასაბუთების ელემენტები იკითხება მეთოდის/პირობის აღწერაში.<br>ან<br>- აპლიკანტი მხოლოდ **ჩამოთვლის და არ აღწერს** ”გონებრივი იერიშის” ეტაპების აქტივობებს.<br>- **ასახელებს** ისეთ **ადეკვატურ პირობას/მოთხოვნას,** რომელიც უზრუნველყოფს მეთოდის ეფექტიან გამოყენებას.<br>- **ასაბუთებს,** რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პირობის დაცვა, დასაბუთება დამაჯერებელია. |
| 2 | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა.<br>აკლია პასუხი დავალების ერთ რომელიმე მითითებაზე. სხვა მითითებაზე აპლიკანტის პასუხი არის სწორი, ადეკვატური, შეესაბამება მოცემულ საკითხს / ორივე მითითებაზე პასუხს აკლია სისრულე, თუმცა სწორია და ადეკვატური.<br>- აპლიკანტი მხოლოდ აღწერს “გონებრივი იერიშის” სულ მცირე ორ ეტაპს. აღწერა არის სრული და დეტალური, პირობის დასახელებისა და არგუმენტაციის გარეშე.<br>ან<br>- აპლიკანტი **მხოლოდ ასახელებს და არ აღწერს** “გონებრივი იერიშის” ეტაპებს ან **აღწერს მხოლოდ ერთ ეტაპს, ასახელებს** მნიშვნელოვან პირობას / მოთხოვნას, რომელიც უნდა დაიცვას პედაგოგმა მეთოდის გამოყენებისას და **სქემატურად ასაბუთებს.**<br>ან<br>- **ასახელებს** მხოლოდ ერთ ეტაპს, **ასახელებს** ადეკვატურ პირობას და კარგად, **დამაჯერებლად ასაბუთებს.**<br>ზოგადად, ნაწერში ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის საკითხის არსი. |
| 1 | **პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა.**<br>აპლიკანტი უპასუხებს მხოლოდ რომელიმე ერთ მითითებას და პასუხი არის სქემატური, ზოგადი. მაგალითად,<br>- აღწერს მხოლოდ ერთ ეტაპს.<br>ან<br>- ასახელებს პირობას და ასაბუთებს სქემატურად (დასაბუთება ზოგადია და უნივერსალური).<br>ან<br>- საუბრობს “გონებრივი იერიშის” დადებით შედეგებზე ზოგადად, თუმცა სწორად.<br>ან<br>- ჩამოთვლილია “გონებრივი იერიშის” ყველა ეტაპი. |

| | |
|---|---|
| | ან<br><br>➡ მსჯელობს იმაზე, როდისაა აქტუალური ამ მეთოდის გამოყენება (ანუ ნაწილობრივ სცდება დავალების პირობას), თუმცა ჩანს, რომ აქვს ზედაპირული ცოდნა მეთოდის შესახებ. |
| 0 | **პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – პასუხი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. მასში არაფერია ისეთი, რაც ადასტურებს, რომ აპლიკანტისათვის ცნობილია დასახელებული მეთოდი. |

დავალება №22 *მაქსიმალური ქულა – 4*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 4 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას ამომწურავად და არგუმენტირებულად.</u> ამასთან, მსჯელობა ლოგიკურია, თანამიმდევრული და მკაფიო. აპლიკანტს ესმის ანალიტიკური აზროვნების არსი, ის, რომ ანალიტიკური აზროვნების განვითარება ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციის უკეთ გააზრებაში, რთული მიმართებების წვდომაში, საკითხის მრავალმხრივ ხედვაში.<br><br>პასუხი მოიცავს დავალების პირობაში მითითებულ ყველა კომპონენტს:<br><br>➡ აპლიკანტი სრულად **აღწერს** მოსწავლის **ანალიტიკური აზროვნების განვითარების** ხელშემწყობ **ორ** კონკრეტულ სტრატეგიას და აღწერაში ჩანს, როგორ დაეხმარება ეს სტრატეგიები მოსწავლეს ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში.<br>➡ დასაბუთებულია აღწერილი სტრატეგიების ადეკვატურობა. ნაჩვენებია, როგორ უვითარებს ისინი მოსწავლეს ანალიტიკური აზროვნების უნარს სწავლის დროს, როგორ ეხმარება მასალის უკეთ ათვისებაში. ამასთან, არგუმენტები დამაჯერებელია.<br><br>*შენიშვნა: ოთხი ქულა დაიწერება იმ შემთხვევაშიც, თუ აპლიკანტი ორივე სტრატეგიის ადეკვატურობას ასაბუთებს ერთი და იმავე, მაგრამ დამაჯერებელი არგუმენტებით.* |
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური.</u><br><br>➡ აპლიკანტი **აღწერს** მოსწავლის **ანალიტიკური აზროვნების განვითარების** ხელშემწყობ **ორ** კონკრეტულ და ადეკვატურ სტრატეგიას. პასუხი არის სწორი, შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა დასაბუთება ზოგადია და სქემატური. |

| | |
|---|---|
| | ან<br><br>➡ აპლიკანტი **აღწერს** მოსწავლის **ანალიტიკური აზროვნების განვითარების** ხელშემწყობ **ერთ** კონკრეტულ სტრატეგიას და მეორეს მხოლოდ ასახელებს, თუმცა დასაბუთება დამაჯერებელია, მსჯელობა ლოგიკურია და მკაფიო.<br>ან<br><br>➡ აპლიკანტი ასახელებს და სქემატურად აღწერს მოსწავლის **ანალიტიკური აზროვნების განვითარების** ხელშემწყობ ორ კონკრეტულ სტრატეგიას და ასაბუთებს ამ სტრატეგიების ადეკვატურობას. |
| 2 | **პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს ნაწილობრივი ცოდნა.** **აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ ერთ რომელიმე მითითებას. სხვა მითითებაზე** აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, შეესაბამება მოცემულ საკითხს:<br>➡ დასახელებულია ორი ადეკვატური სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი.**<br>➡ პასუხი დასაბუთებულია.<br>ან<br><br>➡ **სქემატურად არის აღწერილი** მხოლოდ ერთი ადეკვატური სტრატეგია.<br>➡ პასუხი დასაბუთებულია.<br>ან<br><br>➡ **აღწერილია** ორი ადეკვატური სტრატეგია.<br>➡ დასაბუთება არ არის.<br>ან<br>➡ აღწერილია ერთი და დასახელებულია რამდენიმე (ერთზე მეტი) ადეკვატური სტრატეგია. |
| 1 | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა.<br>➡ აპლიკანტი სრულად **აღწერს ერთ ადეკვატურ** პრაქტიკულ სტრატეგიას.<br>➡ პასუხი დასაბუთებული არ არის.<br>ან<br><br>➡ დასახელებულია მხოლოდ ერთი სტრატეგია.<br>➡ დასაბუთება სქემატურია, ზოგადი და უნივერსალური.<br>ან<br><br>➡ დასახელებულია რამდენიმე ადეკვატური სტრატეგია დასაბუთების გარეშე. |
| 0 | **პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა.</u> აპლიკანტს შეუძლია მისი გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. მსჯელობიდან იკვეთება, რომ მას ესმის გამოყენებული სასწავლო აქტივობის არსი და მნიშვნელობა. <u>პასუხი არის კარგად არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას:</u><br>• პასუხში სრულყოფილად **არის აღწერილი** მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის **მინიმუმ ორი დადებითი შედეგი.**<br>• პასუხი გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებით. აპლიკანტი **განმარტავს, რა განაპირობებს** ამ შედეგებს.<br>ან<br>• პასუხში სრულყოფილად არის აღწერილი მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის **მინიმუმ ორი დადებითი შედეგი.**<br>• პასუხი გამყარებულია **ერთი** დამაჯერებელი არგუმენტით, რომელიც ადეკვატურია აპლიკანტის მიერ დასახელებული <u>ორივე დადებითი შედეგისთვის</u>. |
| 2 | <u>აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური,</u> პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა არ არის სრულყოფილი.<br>• აპლიკანტი **აღწერს** განხორციელებული სასწავლო აქტივობის **მხოლოდ ერთ დადებით შედეგს** და ადეკვატურად ასაბუთებს საკუთარ პასუხს.<br>ან<br>• აპლიკანტი **აღწერს** სასწავლო აქტივობის **ორ** დადებით შედეგს, მაგრამ **არ ასაბუთებს** საკუთარ პასუხს.<br>ან<br>• **დასახელებულია** ორი დადებითი შედეგი და ორივე დასაბუთებულია, თუმცა სქემატურად.<br><br>***დავალება მოითხოვს დადებითი შედეგების აღწერას, განმარტებას და არა მხოლოდ დასახელებას.*** |
| 1 | <u>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული) ცოდნა.</u> |

| | |
|---|---|
| | ➡ აპლიკანტი **აღწერს** სასწავლო აქტივობის **ერთ** დადებით შედეგს, მაგრამ **არ ასაბუთებს** საკუთარ პასუხს.<br><br>ან<br><br>➡ **დასახელებულია** მხოლოდ ერთი დადებითი შედეგი და მოცემულია შესაბამისი არგუმენტი (პასუხი სქემატურია).<br><br>ან<br>➡ **დასახელებულია** რამდენიმე (ორზე მეტი) დადებითი შედეგი, მაგრამ არც ერთი არ არის დასაბუთებული. |
| 0 | <u>პასუხი არაადეკვატურია.</u> **აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br><br>აპლიკანტი საუბრობს ზოგადად რეპრესიებზე, მის უარყოფით შედეგებზე, მაგრამ არაფერს ამბობს მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებით შედეგებზე.<br><br>პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა. აპლიკანტი პირობაში მოცემულ ინფორმაციას იმეორებს კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. |

**დავალება №24** *მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | **პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი.** პასუხი არის არგუმენტირებული. აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ორივე მითითებას. მისი მსჯელობა ადეკვატურია და ლოგიკურად გამართული. **პრობლემის დაძლევის სტრატეგია კარგად არის აღწერილი და მისი მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.**<br>➡ აპლიკანტი **დეტალურად აღწერს სტრატეგიას**, რომელიც ხელს უწყობს ჰიპერაქტიური მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში.<br>➡ **ასაბუთებს საკუთარ პასუხს** – ხსნის, თუ **რატომ** და **როგორ** შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარებას მის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია, რატომ მოახდენს ის გავლენას ჰიპერაქტიური ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვაზე. **აპლიკანტი საუბრობს მის მიერ დასახელებულ სტრატეგიასთან დაკავშირებულ კონკრეტულ შედეგებზე/ეფექტებზე, რომლებიც მიიღწევა ჰიპერაქტიური მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვით** და არა ზოგადად სასწავლო პროცესში ჰიპერაქტიური ბავშვის ჩართულობის მნიშვნელობაზე და/ან ასეთი ჩართულობის არსებობის აუცილებლობაზე.<br>**დასაბუთებად ვერ ჩაითვლება აპლიკანტის მიერ დავალების რაიმე ფორმით პერიფრაზირება ან მხოლოდ იმის მითითება (ახსნის გარეშე), რომ შემოთავაზებული სტრატეგია ხელს შეუწყობს ჰიპერაქტიური ბავშის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში* |
| 2 | პასუხში **ჩანს საკითხის ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი.** აპლიკანტის პასუხი არის სწორი,ადეკვატური, უპასუხებს ორივე მითითებას, **მაგრამ პასუხი ნაკლებად დეტალურია.**<br><br>➡ აპლიკანტი **აღწერს** ჰიპერაქტიური ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვის ხელშემწყობ რაციონალურ და კონკრეტულ სტრატეგიას.<br>➡ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს, თუმცა **დასაბუთება ზედაპირულია** ან **ზოგადი და უნივერსალური.** მასში ძირითადად საუბარია ჰიპერაქტიური მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მნიშვნელობაზე.<br>ან<br>➡ აპლიკანტი მხოლოდ **ასახელებს** და **არ აღწერს** ჰიპერაქტიური ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვის რაციონალურ და კონკრეტულ სტრატეგიას.<br>➡ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს. **დასაბუთება დამაჯერებელია,** გამყარებული სპეციფიკური არგუმენტებით.<br>**ან**<br>➡ აპლიკანტი **ასახელებს** და **სქემატურად აღწერს** ადეკვატურ სტრატეგიას.<br>➡ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს, თუმცა დასაბუთებაც ასევე **ზოგადია და სქემატური.** |

| | |
|---|---|
| 1 | პასუხში ჩანს საკითხის არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა / პასუხი ნაწილობრივ სცდება დავალების პირობას.<br><br>- აპლიკანტის პასუხი მოიცავს **ორი სავალდებულო მითითებიდან მხოლოდ ერთს – სტრატეგიის სქემატურ აღწერას.** დასაბუთება ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ან ბუნდოვანია, რის გამოც შეუძლებელია აპლიკანტის პოზიციის გაგება.<br>ან<br>- აპლიკანტი ასახელებს რამდენიმე (ორზე მეტ) ადეკვატურ სტრატეგიას მათი დეტალური აღწერისა და დასაბუთების გარეშე.<br>ან<br>- აპლიკანტი **ასახელებს** ერთ ადეკვატურ სტრატეგიას და **ასაბუთებს ზოგადი და უნივერსალური არგუმენტით.**<br>ან<br>- აპლიკანტი საუბრობს ზოგადად ჰიპერაქტიურობის მახასიათებლებზე და არა საგაკვეთილო პროცესში ჰიპერაქტიური მოსწავლის ჩართვის გზებსა და საშულებებზე, ანუ სცდება დავალებაში მოცემულ პირობას. |
| 0 | **აპლიკანტის პასუხი ბუნდოვანია და გაუგებარი,** ძალიან მოკლე ან არარელევანტური შინაარსისა და არ იძლევა დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით **კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას.**<br><br>ან<br><br>აპლიკანტის პასუხი არსებითად დავალებაში მოცემული პირობის პერიფრაზია. |

| დავალება №25 | *მაქსიმალური ქულა – 3* |
|---|---|

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | **პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი.** პასუხი არის არგუმენტირებული. აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ორივე მითითებას. მისი მსჯელობა ადეკვატურია და ლოგიკურად გამართული. **პრობლემის დაძლევის სტრატეგია კარგად არის აღწერილი და მისი მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.**<br><br>➡ აპლიკანტი **დეტალურად აღწერს სტრატეგიას,** რომლის მიხედვითაც მასწავლებელი არც რეაგირების გარეშე ტოვებს მოსწავლის ქცევას და არც ურთიერთობას ამწვავებს.<br>➡ **ასაბუთებს საკუთარ პასუხს** – ხსნის, თუ **რატომ და როგორ** შეუწყობს ხელს აღწერილი სტრატეგია მოსწავლე-მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობების შენარჩუნებას. **დასაბუთებაში აპლიკანტი საუბრობს მის მიერ დასახელებულ სტრატეგიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კონკრეტულ შედეგებზე/ეფექტებზე,** რომლებიც მოჰყვება პედაგოგის რეაქციას და არა ზოგადად მოსწავლე-მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობის მნიშვნელობაზე.<br><br>**დასაბუთებად ვერ ჩაითვლება აპლიკანტის მიერ დავალების რაიმე ფორმით პერიფრაზირება ან მხოლოდ იმის მითითება (ახსნის გარეშე), რომ შემოთავაზებული სტრატეგია დადებითად აისახება მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაზე.* |
| 2 | პასუხში **ჩანს საკითხის ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი.** აპლიკანტის პასუხი არის სწორი, ადეკვატური, უპასუხებს ორივე მითითებას, **მაგრამ პასუხი ნაკლებად დეტალურია.**<br><br>➡ აპლიკანტი **აღწერს რაციონალურ და კონკრეტულ სტრატეგიას,** რომელშიც ჩანს, **როგორი** რეაგირება უნდა მოახდინოს მასწავლებელმა მოსწავლის ქცევაზე ისე, **რომ** არც რეაგირების გარეშე დატოვოს მოსწავლის ქცევა და არც ურთიერთობა გაამწვავოს.<br>➡ **ასაბუთებს საკუთარ პასუხს, თუმცა დასაბუთება ძალიან ზოგადი და უნივერსალურია.** მასში ძირითადად საუბარია მოსწავლე-მასწავლებელს შორის პოზიტიური ურთიერთობის არსებობის აუცილებლობაზე.<br>ან<br><br>➡ აპლიკანტი მხოლოდ **ასახელებს** და **არ აღწერს რაციონალურ** და **კონკრეტულ სტრატეგიას.**<br>➡ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს. **დასაბუთება დამაჯერებელია,** გამყარებული სპეციფიკური არგუმენტებით.<br>ან<br><br>➡ აპლიკანტი **ასახელებს და სქემატურად აღწერს** ადეკვატურ |

| | |
|---|---|
| | სტრატეგიას.<br>➡ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს, თუმცა დასაბუთებაც ასევე **ზოგადია და სქემატური**. |
| 1 | **პასუხში ჩანს აპლიკანტის საკითხის არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა.**<br><br>➡ აპლიკანტის პასუხი მოიცავს **ორი სავალდებულო მითითებიდან მხოლოდ ერთს – სტრატეგიის სქემატურ აღწერას.** დასაბუთება ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ან ბუნდოვანია, რის გამოც შეუძლებელია აპლიკანტის პოზიციის გაგება.<br>ან<br><br>➡ აპლიკანტი ასახელებს რამდენიმე (ორზე მეტ) ადეკვატურ სტრატეგიას მათი დეტალური აღწერისა და დასაბუთების გარეშე.<br>ან<br><br>➡ აპლიკანტი **ასახელებს** ერთ ადეკვატურ სტრატეგიას და **ასაბუთებს ზოგადი და უნივერსალური არგუმენტით.** |
| 0 | **აპლიკანტის პასუხი ბუნდოვანია და გაუგებარი.** ძალიან მოკლე ან არარელევანტური შინაარსისა და **არ იძლევა კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას** დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.<br><br>ან<br><br>**აპლიკანტის პასუხი არსებითად დავალებაში მოცემული პირობის პერიფრაზია.** |

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | **პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი.** პასუხი არის არგუმენტირებული. აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ორივე მითითებას. მისი მსჯელობა ადეკვატურია და ლოგიკურად გამართული. **პრობლემის დაძლევის სტრატეგია კარგად არის აღწერილი და მისი მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.**<br><br>➧ აპლიკანტი **დეტალურად აღწერს სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს გაკვეთილის ეფექტიან შეჯამებას.**<br>➧ **ასაბუთებს საკუთარ პასუხს** – ხსნის, თუ **რატომ და როგორ** შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარებას მის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია, რატომ იქნება გაკვეთილის შეჯამება ეფექტიანი ამ სტრატეგიის გამოყენებისას. **აპლიკანტი საუბრობს დასახელებულ სტრატეგიასთან დაკავშირებულ კონკრეტულ შედეგებზე/ეფექტებზე და არა ზოგადად გაკვეთილის შეჯამების მნიშვნელობაზე.**<br><br>**დასაბუთებად ვერ ჩაითვლება აპლიკანტის მიერ დავალების რაიმე ფორმით პერიფრაზირება ან მხოლოდ იმის მითითება (ახსნის გარეშე), რომ შემოთავაზებული სტრატეგია ხელს შეუწყობს გაკვეთილის ეფექტიან შეჯამებას.* |
| 2 | პასუხში **ჩანს საკითხის ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი.** აპლიკანტის პასუხი არის სწორი, ადეკვატური, უპასუხებს ორივე მითითებას, **მაგრამ პასუხი ნაკლებად დეტალურია.**<br><br>➧ აპლიკანტი **აღწერს** გაკვეთილის ეფექტიანი შეჯამების ხელშემწყობ რაციონალურ და კონკრეტულ სტრატეგიას.<br>➧ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს, თუმცა **დასაბუთება სქემატურია** ან **ზოგადი და უნივერსალური.** მასში ძირითადად საუბარია გაკვეთილის ეფექტიანი შეჯამების მნიშვნელობაზე.<br><br>ან<br><br>➧ აპლიკანტი მხოლოდ **ასახელებს** და **არ აღწერს** გაკვეთილის ეფექტიანი შეჯამების ხელშემწყობ რაციონალურ და კონკრეტულ სტრატეგიას.<br>➧ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს. **დასაბუთება დამაჯერებელია,** გამყარებული სპეციფიკური არგუმენტებით.<br>ან<br><br>➧ აპლიკანტი **ასახელებს** და **სქემატურად აღწერს** ადეკვატურ სტრატეგიას.<br>➧ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს, თუმცა დასაბუთებაც ასევე **ზოგადია და სქემატური.** |
| 1 | **პასუხში ჩანს საკითხის არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა / პასუხი** |

| | |
|---|---|
| | ნაწილობრივ სცდება დავალების პირობას.<br><br>➡ აპლიკანტის პასუხი მოიცავს **ორი სავალდებულო მითითებიდან მხოლოდ ერთს – სტრატეგიის სქემატურ აღწერას.** დასაბუთება ან საერთოდ არ არის, ან ბუნდოვანია, რის გამოც შეუძლებელია აპლიკანტის პოზიციის გაგება.<br>ან<br><br>➡ აპლიკანტი ასახელებს რამდენიმე (ორზე მეტ) ადეკვატურ სტრატეგიას მათი დეტალური აღწერისა და დასაბუთების გარეშე.<br><br>ან<br><br>➡ **ასახელებს** ერთ ადეკვატურ სტრატეგიას და **ასაბუთებს ზოგადი და უნივერსალური არგუმენტით.**<br>ან<br><br>➡ აპლიკანტი საუბრობს ზოგადად შემაჯამებელი გაკვეთილის ჩატარებაზე და არა გაკვეთილის ეფექტიან შეჯამებაზე, ანუ ნაწილობრივ სცდება საკითხს. |
| 0 | **აპლიკანტის პასუხი ბუნდოვანია და გაუგებარი,** ძალიან მოკლე ან არარელევანტური. არ იძლევა დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით **კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას.**<br><br>ან<br><br>**აპლიკანტის პასუხი არსებითად დავალებაში მოცემული პირობის პერიფრაზია** (მაგალითად, აპლიკანტი საუბრობს იმაზე, რომ შეჯამება ძალიან მნიშვნელოვანია და რომ მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს ამაზე). |

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | **პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი** – პასუხი არის არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ორივე მითითებას. მისი მსჯელობა ადეკვატურია და ლოგიკურად გამართული. **პრობლემის დაძლევის სტრატეგია კარგად არის აღწერილი და მისი მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.**<br><br>- აპლიკანტი **დეტალურად აღწერს სტრატეგიას,** რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოკიდებულების შეცვლას საშინაო დავალების მიმართ.<br>- **წარმოადგენს საკუთარი პასუხის დასაბუთებას** – ხსნის, თუ **რატომ და როგორ** შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარებას მის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია, რატომ მოახდენს ის გავლენას მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე საშინაო დავალების მიმართ. წარმოდგენილ **დასაბუთებაში აპლიკანტი საუბრობს მის მიერ დასახელებულ სტრატეგიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კონკრეტულ შედეგებზე/ეფექტებზე,** რომლებიც შეცვლის მოსწავლეთა ნეგატიურ დამოკიდებულებას საშინაო დავალების მიმართ და არა ზოგადად საშინაო დავალების მნიშვნელობაზე და/ან მის მიმართ მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე.<br><br>**დასაბუთებად ვერ ჩაითვლება აპლიკანტის მიერ დავალების რაიმე ფორმით პერიფრაზირება ან მხოლოდ იმის მითითება (ახსნის გარეშე), რომ შემოთავაზებული სტრატეგია დადებითად აისახება მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე საშინაო დავალების მიმართ.* |
| 2 | პასუხში **ჩანს საკითხის ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი.** აპლიკანტის პასუხი არის სწორი, ადეკვატური, უპასუხებს ორივე მითითებას, **მაგრამ პასუხი რომელიმე მითითებაზე ნაკლებად დეტალურია.**<br><br>- აპლიკანტი **აღწერს რაციონალურ და კონკრეტულ სტრატეგიას,** რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოკიდებულების შეცვლას საშინაო დავალების მიმართ.<br>- **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს, **თუმცა დასაბუთება ზედაპირულია ან ზოგადი და უნივერსალური.** მასში ძირითადად საუბარია ზოგადად საშინაო დავალების მნიშვნელობაზე და/ან მის მიმართ მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე.<br><br>ან<br><br>- აპლიკანტი **მხოლოდ ასახელებს** რაციონალურ და კონკრეტულ სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოკიდებულების შეცვლას საშინაო დავალების მიმართ.<br>- **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს. დასაბუთება დამაჯერებელია და გამყარებული სპეციფიკური არგუმენტებით. |

| | |
|---|---|
| | ან<br><br>➡ აპლიკანტი **ასახელებს და სქემატურად აღწერს** ადეკვატურ სტრატეგიას.<br>➡ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს, თუმცა დასაბუთებაც ასევე **ზოგადია და სქემატური.** |
| 1 | **პასუხში ჩანს საკითხის არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა.**<br><br>➡ აპლიკანტის პასუხი მოიცავს **ორი სავალდებულო მითითებიდან მხოლოდ ერთს – სტრატეგიის სქემატურ აღწერას.** დასაბუთება ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ან ბუნდოვანია, რის გამოც შეუძლებელია აპლიკანტის პოზიციის გაგება.<br>ან<br><br>➡ აპლიკანტი ასახელებს რამდენიმე (ორზე მეტ) ადეკვატურ სტრატეგიას მათი დეტალური აღწერისა და დასაბუთების გარეშე.<br>ან<br><br>➡ **ასახელებს** ერთ ადეკვატურ სტრატეგიას და **ასაბუთებს ზოგადი და უნივერსალური არგუმენტით.** |
| 0 | **აპლიკანტის პასუხი ბუნდოვანია და გაუგებარი,** ძალიან მოკლე ან არარელევანტური შინაარსისა და არ იძლევა დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით **კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას.**<br><br>ან<br><br>**აპლიკანტის პასუხი არსებითად დავალებაში მოცემული პირობის** პერიფრაზია. |

დავალება № 28 *მაქსიმალური ქულა 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | **პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი.** პასუხი არის არგუმენტირებული. აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ორივე მითითებას. მისი მსჯელობა ადეკვატურია და ლოგიკურად გამართული. **პრობლემის დაძლევის სტრატეგია კარგად არის აღწერილი და მისი მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.**<br><br>➡ აპლიკანტი **დეტალურად აღწერს სტრატეგიას,** რომელიც ხელს უწყობს მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის/თანამშრომლობის დამყარებას, მათი ნდობის მოპოვებას.<br>➡ **წარმოადგენს საკუთარი პასუხის დასაბუთებას** – ხსნის, თუ **რატომ და როგორ** შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარებას მის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია, რატომ მოახდენს ის გავლენას კომუნიკაციის ეფექტიანობაზე. **აპლიკანტი საუბრობს მის მიერ დასახელებულ სტრატეგიასთან დაკავშირებულ კონკრეტულ შედეგებზე/ეფექტებზე, რომლებიც მიიღწევა მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებით** და არა ზოგადად სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზე და/ან ეფექტიანი კომუნიკაციის არსებობის აუცილებლობაზე.<br><br>**დასაბუთებად ვერ ჩაითვლება აპლიკანტის მიერ დავალების რაიმე ფორმით პერიფრაზირება ან მხოლოდ იმის მითითება (ახსნის გარეშე), რომ შემოთავაზებული სტრატეგია ხელს შეუწყობს მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებას.* |
| 2 | პასუხში **ჩანს საკითხის ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარი.** აპლიკანტის პასუხი არის სწორი, ადეკვატური, უპასუხებს ორივე მითითებას, **მაგრამ პასუხი რომელიმე მითითებაზე ნაკლებად დეტალურია.**<br><br>➡ აპლიკანტი **აღწერს** მშობელთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებისა და მათი ნდობის მოპოვების ხელშემწყობ რაციონალურ და კონკრეტულ სტრატეგიას.<br>➡ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს, თუმცა **დასაბუთება ზედაპირულია** ან **ზოგადი და უნივერსალური.** მასში ძირითადად საუბარია მშობელთან ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.<br><br>ან<br><br>➡ აპლიკანტი მხოლოდ **ასახელებს** და **არ აღწერს** მშობელთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებისა და მათი ნდობის მოპოვების ხელშემწყობ რაციონალურ და კონკრეტულ სტრატეგიას.<br>➡ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს. **დასაბუთება დამაჯერებელია.**<br>ან<br><br>➡ აპლიკანტი **ასახელებს და სქემატურად აღწერს** მშობელთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებისა და მათი ნდობის მოპოვების ხელშემწყობ სტრატეგიას.<br>➡ **ასაბუთებს** საკუთარ პასუხს, თუმცა დასაბუთებაც ასევე **ზოგადია** |

| | |
|---|---|
| | და სქემატური. |
| 1 | პასუხში ჩანს საკითხის არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა.<br><br>- აპლიკანტის პასუხი მოიცავს **ორი სავალდებულო მითითებიდან მხოლოდ ერთს – სტრატეგიის სქემატურ აღწერას.** დასაბუთება ან საერთოდ არ არის, ან ბუნდოვანია, რის გამოც შეუძლებელია აპლიკანტის პოზიციის გაგება.<br>ან<br><br>- აპლიკანტი ასახელებს რამდენიმე (ორზე მეტ) ადეკვატურ სტრატეგიას მათი დეტალური აღწერისა და დასაბუთების გარეშე.<br>ან<br><br>- **ასახელებს** ერთ ადეკვატურ სტრატეგიას და **ასაბუთებს ზოგადი და უნივერსალური არგუმენტით.** |
| 0 | **აპლიკანტის პასუხი ბუნდოვანია და გაუგებარი,** ძალიან მოკლე ან არარელევანტური შინაარსისა და არ იძლევა დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით **კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას.**<br><br>ან<br><br>**აპლიკანტის პასუხი არსებითად დავალებაში მოცემული პირობის პერიფრაზია.** |

| დავალება №40 | *მაქსიმალური ქულა – 3* |
|---|---|

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა.</u> მსჯელობა არის კარგად არგუმენტირებული. აპლიკანტი სწორად, გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ორივე მითითებას – ასახელებს მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომას და აღწერს იმ ფაქტორებს/წინაპირობებს, რომლებიც განსაზღვრავს დაკვირვებით სწავლის ეფექტიანობას.<br>➡ პირველ მითითებაზე აპლიკანტი მასწავლებლის მიერ **დაშვებულ შეცდომად** ასახელებს **არაკომპეტენტური მოდელის შერჩევას** და იძლევა იმის განმარტებას, თუ რა გავლენა აქვს მოდელის არაკომპეტენტურობას დაკვირვებით სწავლაზე ან რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ მოდელი იყოს კომპეტენტური.<br>➡ მეორე მითითების პასუხად აპლიკანტი შესაძლო **ოთხი ფაქტორიდან/წინაპირობიდან – ყურადღება, დამახსოვრება (მნემური პროცესები), გამეორება (განხორციელებადობა), მოტივაცია – ასახელებს რომელიმე ორს მაინც** და განმარტავს, რატომ არის თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი დაკვირვებით სწავლისათვის. |
| 2 | <u>**პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა.**</u> მსჯელობა სწორი და ლოგიკურია. აპლიკანტი უპასუხებს დავალების ორივე მითითებას – **ასახელებს მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომას და აღწერს იმ ფაქტორებს/წინაპირობებს, რომლებიც განაპირობებს დაკვირვებით სწავლის ეფექტიანობას, თუმცა პასუხი სქემატურია. აკლია დეტალიზაცია, სიცხადე.**<br>➡ პირველ მითითებაზე აპლიკანტი მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომად ასახელებს **არაკომპეტენტური მოდელის შერჩევას,** თუმცა **არ განმარტავს** (არ ხსნის), თუ რა გავლენა აქვს მოდელის არაკომპეტენტურობას დაკვირვებით სწავლაზე / რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ მოდელი იყოს კომპეტენტური.<br>➡ მეორე მითითების პასუხად აპლიკანტი შესაძლო **ოთხი ფაქტორიდან/წინაპირობიდან – ყურადღება, დამახსოვრება (მნემური პროცესები), გამეორება (განხორციელებადობა), მოტივაცია –** ასახელებს რომელიმე ორს მაინც და მიუთითებს, რომ თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია დაკვირვებით სწავლისათვის, თუმცა არ განმარტავს, რატომ.<br>ან<br>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული – აკლია დავალების პირობის პირველი მითითება.<br>➡ აპლიკანტი შესაძლო **ოთხი ფაქტორიდან/წინაპირობიდან - ყურადღება, დამახსოვრება (მნემური პროცესები), გამეორება (განხორციელებადობა), მოტივაცია –** ასახელებს და აღწერს რომელიმე ორს მაინც; განმარტავს, რატომ არის თითოეული |

| | |
|---|---|
| | მათგანი მნიშვნელოვანი დაკვირვებით სწავლისთვის.<br>- მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომას სწორედ ამ ფაქტორების ჭრილში აანალიზებს, მაგრამ არ ასახელებს მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომად **არაკომპეტენტური მოდელის შერჩევას,** თუმცა ავლენს თეორიის ცოდნას.<br>ან<br>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული. **დავალების პირობის პირველ მითითებაზე პასუხში დაშვებულია უზუსტობა.**<br>- მოდელის არაკომპეტენტურობის მაგივრად მასწავლებლის შეცდომად აპლიკანტი რომელიმე სხვა, არაარსებით პირობას ასახელებს.<br>- დავალების მეორე მითითებაზე პასუხი სწორი და ამომწურავია. აპლიკანტი შესაძლო **ოთხი ფაქტორიდან/წინაპირობიდან – ყურადღება, დამახსოვრება (მნემური პროცესები), გამეორება (განხორციელებადობა), მოტივაცია –** ასახელებს რომელიმე ორს მაინც და განმარტავს, რატომ არის თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი დაკვირვებით სწავლისთვის.<br>ან<br>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა, თუმცა **პასუხი დავალების პირობის მეორე მითითებაზე არასრულია.**<br>- პირველ მითითებაზე აპლიკანტი მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომად ასახელებს **არაკომპეტენტური მოდელის შერჩევას** და იძლევა იმის განმარტებას, თუ რა გავლენა აქვს მოდელის არაკომპეტენტურობას დაკვირვებით სწავლაზე / რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ მოდელი იყოს კომპეტენტური.<br>- დავალების მეორე მითითებაზე კი აპლიკანტი შესაძლო **ოთხი ფაქტორიდან/წინაპირობიდან – ყურადღება, დამახსოვრება (მნემური პროცესები), გამეორება (განხორციელებადობა), მოტივაცია –** ასახელებს რომელიმე **ერთს** და განმარტავს, რატომ არის ის მნიშვნელოვანი დაკვირვებით სწავლისთვის ან მხოლოდ ასახელებს **ოთხივე ფაქტორს/წინაპირობას, თუმცა არ განმარტავს მათ, არ საუბრობს მათ მნიშვნელობაზე დაკვირვებით სწავლისათვის.** |
| 1 | **პასუხში ჩანს საკითხის არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა.**<br>- პირველ მითითებაზე აპლიკანტი მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომად ასახელებს **არაკომპეტენტური მოდელის შერჩევას** და განმარტავს ამის უარყოფით შედეგს.<br>- არ არის პასუხი მეორე მითითებაზე.<br>ან<br>- აპლიკანტი მასწავლებლის მიერ დაშვებულ შეცდომად მხოლოდ ასახელებს **არაკომპეტენტური მოდელის შერჩევას, მაგრამ არ განმარტავს** მის უარყოფით შედეგს. |

| | |
|---|---|
| | ➡ დავალების მეორე მითითებაზე კი აპლიკანტი შესაძლო **ოთხი ფაქტორიდან/წინაპირობიდან** ასახელებს რომელიმე ერთს, **თუმცა არ განმარტავს.**<br><br>ან<br><br>➡ აპლიკანტს მოჰყავს დაკვირვებით სწავლის მაგალითი პირადი გამოცდილებიდან, რომელშიც ნაწილობრივ იკითხება სწორი პასუხი. აპლიკანტი საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაზე და არა ბანდურას თეორიაზე დაყრდნობით ცდილობს დაკვირვებით სწავლის თავისებურებებისა და მასზე მოქმედი ფაქტორების ახსნას. ზოგადად, პასუხი სქემატურია. |
| 0 | პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხი არსებითად წარმოადგენს დავალების პირობის პერეფრაზს. |

- კითხვებზე – 42, 44 და 45 – **1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია“** – (კომენტარს არ საჭიროებს).

- კითხვებზე 41 და 43 – **1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„მცდარია“** და აპლიკანტს შესაბამის გრაფაში მოცემული აქვს არგუმენტირებული პასუხი **(კომენტარი),** მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით.

| | **კომენტარი** |
|---|---|
| 41 | ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მოსწავლეთა მშობლებს სკოლის ტერიტორიაზე შეკრების უფლება აქვთ მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც შეკრება არასაგაკვეთილო დროს არის დაგეგმილი.<br><br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 15, პუნქტი 1* |
| 43 | ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში დეტალურად არის გაწერილი ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც უნდა ემსახურებოდეს მანდატურის სამსახური. ხსენებული დებულებების თანახმად, მანდატურს მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევალება, შესაბამისად კონკრეტული მასწავლებლის პროფესიონალიზმის, მის მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხის კონტროლი სცილდება მის კომპეტენციას. აღნიშნული ამოცანა დირექტორს სკოლის საგნობრივი კათედრისთვის ან სამეურვეო საბჭოსთვის უნდა დაევალებინა.<br><br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 48(1).* |
| | ხაზგასასმელია, რომ არ არის სავალდებულო აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 0 ქულა | • არასწორადაა მონიშნული პასუხი: **(„ჭეშმარიტია”**-ს ნაცვლად მონიშნულა **„მცდარი”** ან, პირიქით).<br>• პასუხი არ არის მონიშნული ან მონიშნულია ორივე (ჭეშმარიტია/მცდარია) პასუხი.<br>• 41 ან 43 კითხვებზე – სწორად არის მონიშნული პასუხი **(„მცდარია”)**, მაგრამ:<br>  - არ არის მითითებული კომენტარი;<br>  - წარმოდგენილი კომენტარი არასწორია;<br>  - წარმოდგენილი კომენტარი არსებითად წარმოადგენს კითხვის პერიფრაზს შებრუნებული ფორმით. |

- კითხვებზე – **46, 48 და 50 – 1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია“** – (კომენტარს არ საჭიროებს).
- კითხვებზე **47** და **49 – 1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„მცდარია“** და აპლიკანტს შესაბამის გრაფაში მოცემული აქვს არგუმენტირებული პასუხი **(კომენტარი),** მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით.

| | **კომენტარი** |
|---|---|
| 47 | ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გადამისამართება (რეფერალი) შეიძლება განხორციელდეს ანტისოციალური ქცევის მქონე იმ არასრულწლოვანის მიმართ, რომელსაც შეუსრულდა 12 წელი და ექსპერტთა საბჭოსათვის მიმართვიდან 6 თვის განმავლობაში არ შეუსრულდება 18 წელი.<br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 48 (7), პუნქტი 1.* |
| 49 | ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არასრულწლოვანის მიმართ გადამისამართების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ექსპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სოციალური მუშაკები, იურისტები, პედაგოგები და ფსიქოლოგები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესა და წევრებს ნიშნავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.<br>ყურადღება: პასუხი სწორად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუკი აპლიკანტი უბრალოდ მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებას რეფერალის შესახებ იღებს განათლების სამინისტროსთან არსებული სპეციალური ექსპერტთა ჯგუფი (ანუ არ დააკონკრეტებს ჯგუფის შემადგენლობას და მისი წევრების დანიშვნის წესს).<br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 48 (7), პუნქტი 5.* |
| | ხაზგასასმელია, რომ არ არის სავალდებულო აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 0 ქულა | • არასწორადაა მონიშნული პასუხი: (**„ჭეშმარიტია”**-ს ნაცვლად მონიშნულა **„მცდარი”** ან, პირიქით).<br>• პასუხი არ არის მონიშნული ან მონიშნულია ორივე (ჭეშმარიტია/მცდარია) პასუხი.<br>• **47** ან **49** კითხვებზე – სწორად არის მონიშნული პასუხი (**„მცდარია”**), მაგრამ:<br>- არ არის მითითებული კომენტარი;<br>- წარმოდგენილი კომენტარი არასწორია;<br>- წარმოდგენილი კომენტარი არსებითად წარმოადგენს კითხვის პერიფრაზს შებრუნებული ფორმით. |